

ISSN 1987-6890

ՃՐԵԿԱԾՈՅՑՈՒՅԹ

EKONOMISTI

Հայաստանի ազգային - մասնագիտական պետական  
*International Scientific - Analytical Journal*

1

2 0 1 2

# ՀՅՈՒՅԹԱԾՑՈ

## საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

# იანვარი თებერვალი მარტი

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამართლის სამსახურის კოლეგია

საქართველოს მთხოვერებათა ეროვნული აკადემიის ფილ-ტორესაონლენტეგი:

ეორეობის მიზანი მისამართითა დღისტორიაზე:

ური ანანიაშვილი, როგორც ასათიანი, კლიმენტი აჩალაშვილი, თემურ ბერიძე, ბირობი ბერულავა, ვახტაგი გურული, რიგაზ გოგოსია, მიხეილ თოქაძაზვილი, რიგაზ პავლია, თემურ კანდელავი, მურმან კვარაცხელია, ალექსე კურატაშვილი, იაკობ მესხია, ლეგუჯა მემკაბიშვილი, სოლომონ კავლიაშვილი, გიორგი კაკაბა, უბანები სამადაშვილი, როლანდ სარჩიმელია, ავთანდილ ულაგარიძე, თემურ შეგინივა თინა წენის. ნილაზ ჰითანავა ეიცი ხარაულიშვილი. მიხეილ ჭიათური.

აპარატის დოკუმენტის მიზანი:

ნაციური არჩევაში, ნანა ბიბილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დათუნაშვილი, ეთერ პაპულია, ნაზირა ქაშულია, თემა ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილი), ისა ნათელაშვილი, ნოდარ ხალიური, ელენე ხარაბაძე, გაგუა ხშავიძეშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილი), რევაზ ჯავახიშვილი. მაგისტრი გიორგი ჭავჭავაძე (კურსის მიმღები).

უცხოელი წევრები: ანა ახცლედიანი (დიზი ბრიტანეთი), აასუსისმგებელი მღივანი უცხოეთში, ლარისა გალინსკაია (ლიტვა), ვლდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ბინდა პასნაშვილი (ლიტვა), დავით კურთანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილი), ანტანას მაქსტიტშვილი (ლიტვა), ვლადიმერ მაჩიკოვი (ლათვია), მიხეილ როენტლიგვილი (აშშ), სლავონი პარტიცევი (პოლონეთი), ლიანუტა სოროპინი (რუსთი), ანდრეი კორმანი (კოლონიათი).

ଓଡ଼ିଆରେ

## Paata Gugushvili Institute of Economics

# EKONOMISTI

**International Scientific-Analytical Journal  
Published from January 2009**

**January**  
**February**  
**March**

**1**

**2012**

**Editor-in-Chief** **Ramaz Abesadze**

## **SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD**

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:  
**Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze**

## DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharaishvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.

#### ACADEMIC DOCTORS:

**Nanuli Arevaladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), master Giorgi Kuparadze (executive secretary).**

FOREIGN MEMBERS:

**FOREIGN MEMBERS:**  
**Anna Akhvlediani** (Great Britain, executive secretary abroad), **Larisa Belinskaja** (Lithuania), **Eldar Ismailov** (Azerbaijan), **Gindra Kasnauskiene** (Lithuania), **David Kurtanidze** (USA, deputy editor-in-chief abroad), **Antanas Mackstutis** (Lithuania), **Vladimir Menshikov** (Latvia), **Slawomir Partycki** (Poland), **Mikhail Roketlishvili** (USA), **Dmitri Sorokin** (Russia), **Andrei Herman** (Poland)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>რედაქტორისაბან</b>	<b>5</b>
<b>სამრთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები</b>	
<b>გლობალური მაკავშირი, თამარ თაფლაძე – საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ</b>	<b>8</b>
<b>ეკონომიკური თეორია</b>	
<b>Альфред კურათაშვილი – Проблемы эффективного функционирования экономики и политический менеджмент</b>	<b>15</b>
<b>თამილა არნანია-ჯაჭულაძე – ინდივიდუალური ეკონომიკური ქცევა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები</b>	<b>22</b>
<b>გალიფა სესაძე, მარინა კაპანაძე, დიანა ლაჭუბიანი – კატასტროფების თეორია, როგორც სისტემების მდგრადობის კვლევის სინერგიური განვითარების ინსტრუმენტი</b>	<b>27</b>
<b>ანზორ ჯურაგაშვილი – სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და მისი წინააღმდეგობები</b>	<b>33</b>
<b>გასილ ხიზანიშვილი – სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობა</b>	<b>37</b>
<b>მარკეტინგი</b>	
<b>Berulava George – Relationship Orientation: The Construct and Research Propositions მეცნიერები</b>	<b>41</b>
<b>Ioseb Masurashvili – Influence of the American and Japanese Management Models for Business Development in South Korea სოცლის მეურნეობა</b>	<b>48</b>
<b>თენგიზ ქაგთარაძე – გლობალიზაცია და საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის პრობლემები</b>	<b>51</b>
<b>აკაკი პავლიაშვილი – სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ ურთიერთობაზე გადასვლის თავისებურებანი საქართველოში</b>	<b>59</b>
<b>სოციალურ-ეკონომიკური პროგლობები</b>	
<b>მარინა მუხიაშვილი – სოციალური სფეროს დარგების დაფინანსების პრობლემები საქართველოში ვინასური პრიზის</b>	<b>65</b>
<b>ლალი ხურცია – დიდი ბრიტანეთი განმეორებითი რეცესიის წინაშე</b>	<b>70</b>
<b>ტურიზმი</b>	
<b>გიული ქეშელაშვილი – სამკურნალო ტურიზმის ზრდის ტენდენციები საქართველოში</b>	<b>74</b>
<b>თამარ ბაჩიაშვილი – ტურიზმი და სასტუმროების მარკეტინგთან დაკავშირებული პრობლემები</b>	<b>78</b>
<b>თამარ ბაჩიაშვილი – ტურიზმი და სახელმწიფო პოლიტიკა</b>	<b>81</b>
<b>მაბისტრანტებისა და დოქტორობანთა სამეცნიერო ნაშრომები</b>	
<b>ირაკლი მაკალათია – მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტატისტიკის აქტუალური პრობლემები საქართველოში</b>	<b>84</b>
<b>მინიჭველოვანი დოკომენტები</b>	<b>92</b>
<b>ხსოვნა</b>	<b>94</b>
<b>ინცორმაცია</b>	<b>96</b>

## C O N T E N T S

<b>FROM EDITOR-IN-CHIEF</b>	<b>5</b>
<b>INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS</b>	
<i>Papava Vladimer, Tapladze Tamar – On the Economic Relations between Georgia and Russia</i>	<b>8</b>
<b>ECONOMIC THEORY</b>	
<i>Kuratashvili Alfred – Problems of Effective Functioning of Economy and Political Management</i>	<b>15</b>
<i>Armania-KepulaZe Tamila – The Individual Behavior and its Foundations</i>	<b>22</b>
<i>Sesadze Valida, Kapanadze Marina, Lachkebiani Diana – Theory of Catastrophes as a Synergetic Instrument for Researches of Systems' Sustainability</i>	<b>27</b>
<i>Kuratashvili Anzor – Socially Oriented Market Economy and its Contradictions</i>	<b>33</b>
<i>Khizanishvili Vasil – Social-economic Equality</i>	<b>37</b>
<b>MARKETING</b>	
<i>Berulava George – Relationship Orientation: The Construct and Research Propositions</i>	<b>41</b>
<b>MANAGEMENT</b>	
<i>Masurashvili Ioseb – Influence of the American and Japanese Management Models for Business Development in South Korea</i>	<b>48</b>
<b>AGRICULTURE</b>	
<i>Kavtaradze Tengiz, Kavtaradze Mzia – Globalization and Problems of Specialization of Georgia's Agriculture</i>	<b>51</b>
<i>Pavliashvili Akaki – Peculiarities of Conversion of Agriculture to Capitalist Relations</i>	<b>59</b>
<b>SOCIAL-ECONOMIC PROBLEMS</b>	
<i>Muchiashvili Marina – Problems of the Financing of Social Sphere in Georgia</i>	<b>65</b>
<b>FINANCIAL CRISIS</b>	
<i>Khurtsia Lali – Uk in front of Double-dip Recession</i>	<b>70</b>
<b>TOURISM</b>	
<i>Keshelashvili Giuli – Trends of Development of Health Tourism in Georgia</i>	<b>74</b>
<i>Bachiashvili Tamar – Tourism and the State Politics</i>	<b>78</b>
<i>Bachiashvili Tamar – Tourism and the Problems Connected with the Hotel Marketing</i>	<b>81</b>
<b>SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS</b>	
<i>Makalatia Irakli – Topical problems of the income and expenditure statistics in Georgia</i>	<b>84</b>
<b>SIGNIFICANT MEASURE</b>	
<i>MEMORY</i>	<b>92</b>
<i>INFORMATION</i>	<b>94</b>
	<b>96</b>

## რედაქტორისაბან

ისე, როგორც წინა წლები, 2011 წელიც ინსტიტუტისათვის მეტად დატვირთული სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობით გამოირჩეოდა. ამ წელს მთავრობის დადგენილების შესაბამისად შეუერთდა ივანე ჯავახიშვილის სახელმისამართის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც მისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული.

საანგარიშო პერიოდში მუშაობა მიმდინარეობდა და დასრულდა 8 სამეცნიერო პრობლემაზე. ესენია:

1. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზები და დაძლევის გზები (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ. ალფრედ პურატაშვილი).

2. საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარების ასპექტები (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე, ემპ ნანული არვაძე).

3. საქართველოს ეკონომიკის სექტორული და რეგიონული განვითარების აქტუალური პრობლემები (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მეწარმეობის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემდ ვახტანგ ბურდული).

4. ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ. გიორგი ბერულავა).

5. საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის პრობლემები საქართველოში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის განყოფილების გამგე, აკადემიური დოქტორი იზა ნათელაური).

6. საჯარო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის საჯარო ეკონომიკის განყოფილების გამგე, აკადემიური დოქტორი თეა ლაზარაშვილი).

7. საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მდგრადი ეკონომიკური განვითარების განყოფილების გამგე, აკადემიური დოქტორი მამუკა ხუსივაძე).

8. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში (ხელმძღვანელი აგრარულ პრობლემათა დაბორატორიის გამგე, აკადემიური დოქტორი თენგიზ ქავთარაძე).

შეიძლება გამოვყოთ კვლევის შემდეგი ძირითადი შედეგი:

1. დადგენილია საქართველოს ეკონომიკის ცალკეულ სფეროებსა და დარგებზე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის ნეგატიური შედეგები და განსაზღვრულია მათი დაძლევის ძირითადი მიმართულებები.

2. დადგენილია საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პერიოდები მათთვის დამასასიათებელი დადგბითი და უარყოფითი მხარეების ჩვენებით. შემოთავაზებულია რეფორმების შემდგომი გაძლიერების ძირითადი მიმართულებები და გზები.

3. ტექნოლოგიური წყობის მოდერნიზაციასთან ურთიერთკავშირში გამოვლენილია მსოფლიოსა და საქართველოში დარგობრივი სტრუქტურის განვითარების თანამედროვე პრობლემები; დადგენილია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებები და შემუშავებულია მისი განვითარების გზები.

4. ტექნოლოგიური წყობის მოდერნიზაციასთან ურთიერთკავშირში გამოვლენილია მსოფლიოსა და საქართველოში დარგობრივი სტრუქტურის განვი-

თარების თანამედროვე პრობლემები; დადგენილია საქართველოს ეკონომიკის დარღობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებები და შემუშავებულია მისი განვითარების გზები.

5. გამოვლენილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილების ტენდენციები. ჩამოყალიბებულია მისი ოპტიმიზაციის კრიტერიუმები, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის მოთხოვნებისა და კონკურენტუნარიანობის მსოფლიო რეიტინგის ჩარჩო მოთხოვნების გათვალისწინებით.

6. გამოკვლეულია პოსტმუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საჯარო სექტორის ფორმირების თეორიული ასპექტები და მისი ჩამოყალიბების ტენდენციები საქართველოში და განსაზღვრულია მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები.

7. გამოვლენილია საქართველოში მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის ძირითადი ხელშემშენებლი და ხელშემწყობი ფაქტორები. შემოთავაზებულია მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის ეტაპები და თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი ღონისძიებები.

8. გამოკვლეულია აგრარული რეფორმების განხორციელების დადებითი და უარყოფითი შედეგები და დასახულია შესაბამისი ღონისძიებები. შემთავაზებულია საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების ამაღლების გზები.

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ საანგარიშებო პერიოდში სულ გამოქვეყნდა 125 სამეცნიერო ნაშრომი (საზღვარგარეთ – 22, მონოგრაფია – 6, იმფაქტურული მქონე ჟურნალებში – 1).

თანამშრომელთა ნაშრომები გამოიცემოდა ისეთ საერთაშორისო გამომცემლობებში, როგორიცაა: *Universe*“ (ნიუ-იორკი), „Nova Science Publishers“ (ნიუ-იორკი), „CA&CCPress“ (სტოკოლმი), „Весь Мир“ და „Мыслъ“ (მოსკოვი).

სამეცნიერო სტატიები ქვეყნებოდა შემდგენ მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში: *International Journal of Social Economics, Les Cahiers de L'Orient, Problems of Economic Tran-sition* (აშშ), *Eurasian Studies* (თურქეთი), *Economic Systems, The Journal of Caucasian Studies, Central Asia and the Caucasus, Caucasus and Globalization, Problems of Post-Communism* (აშშ), *Caucasus International*.

2011 წლის 21-22 ოქტომბერს თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ იქნა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე “ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში”. კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიოს 10-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი.

აღნიშნულ წელს გამოიცა ინსტიტუტის მიერ დაარსებული საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი “ეკონომისტი” 4 ნომერი. “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის” მეოთხე ტომი, ასევე ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული.

2010 წელს ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები მონაწილეობდნენ ჟცხოვეთის 4 სამეცნიერო გრანტში.

გამოქვეყნდა 60-ზე მეტი საგაზითო სტატია და ინტერვიუ.

გრძელდებოდა მუშაობა დიდი ეკონომიკური ენციკლოპედიის მოსამზადებლად.

მუშაობას აგრძელებდა ინსტიტუტთან არსებული სადისკუსიო დარბაზი;

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (თავმჯდომარე პროფ. თ. ჩხეიძე) მოშენილი იქნა 4 სამეცნიერო მოხსენება. სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ

სხდომაზე ქ. ლუბლინის (პოლონეთი) იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტის გეონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა სლავომირ პარტიცკიმ წაიკითხა მოხსენება თემაზე – „თანამედროვე მსოფლიო გეონომიკური კრიზები, პერსპექტივები“.

ინსტიტუტი აგრძელებდა სამეცნიერო კვშირებს საზღვარგარეთისა და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებასთან.

ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ “ ინსტიტუტის დამხმარე სამსახურები”.

რამაზ აბესაძე

სამრთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

**ელადიმერ პაპავა**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, პატარა გუგუშვილის სახელობის  
ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

**თამარ თაფლაძე**

პატარა გუგუშვილის სახელობის  
ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

**საქართველოსა და რუსთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა არასოდეს ყოფილი კარგი. დღეისათვის ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაუარესდა. მიუხდავად იმისა, რომ ბოლო წლებში ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობები დაიბულია, ხოლო დიპლომატიური – საერთოდ გაწყვეტილი, ეკონომიკური ურთიერთობები არასოდეს შეჩერებულა.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები თავისი ხასიათით იყო რეგიონთაშორისი ურთიერთობები ერთიანი ქვეყნის სახალხომეურნეობრივი კომპლექსის მბრძანებლური ეკონომიკის სისტემაში. საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ეკონომიკური ურთიერთობებს განსაზღვრავდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ცენტრალური ორგანო – სსრკის ქ.წ. „გოსპლანი“ (ანუ სახელმწიფო საგვამო კომიტეტი). საქართველო, მისი მცირე ზომიდან გამომდინარე, კავკასიის სხვა მცირე საბჭოთა რესპუბლიკებთან (აზერბაიჯანი და სომხეთი) ერთად სსრკის ეკონომიკური დარაიონების სისტემაში ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონში შედიოდა [1].

საბჭოთა კავშირის დაშლისთან ერთად დაიშალა მბრძანებლური ეკონომიკაც, რამაც უკვე პოსტსაბჭოთა სივრცეში ცალკეულ საწარმოთა შორის არსებული სამრეწველო კავშირების გაწყვეტა გამოიწვია. საქართველოში ეს ტენდენცია დაჩქარდა. კერძოდ, პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს პირველმა ხელმძღვანელობამ წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოაცხადა რუსეთის ეკონომიკური ბლოკადა და გადაკეტა სარკინიგზო კვანძი ქალაქ სამტრედიაში, რის შედეგადაც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული სამრეწველო კავშირები უფრო ძრე და სწრაფად გაწყდა, ვიდრე ეს მოხდა სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, რამაც პირველ რიგში საქართველოს ეკონომიკა დააზარალა [2]. ეს იყო პირველი მცდარი ეკონომიკური ნაბიჯი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში, რომელიც განაპირობა საქართველოს ხელისუფლების არასწორმა მოქმედებებმა. ხაზს ვუსვამთ, რომ ამის შემდეგაც რუსეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო.

დარჩა რა სამანეთო ზონაში, საქართველოს (სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად) 1992 წლის შემოდგომიდან მოსკოვიდან საბჭოთა სამანეთო ბანკოტების (საბჭოთა მანეთის ნაცვლად რუსული მანეთი მხოლოდ 1993 წლის ზაფხულში შემოიღეს) მიღების პრობლემა გაუჩნდა [3, cc. 174-175]. ეს იყო რუსეთის რეაქცია, რომელიც გამოიწვია საბჭოთა კავშირის ზოგი ყოფილი რესპუბლიკის (მათ შორის საქართველოს) ცენტრალური ბანკიდან ქ.წ. „ჰაკ-რის“ ანუ ისეთი ფულადი გზავნილების გადარიცხვამ, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაბამისი უზრუნველყოფა, რამაც, თავის მხრივ, საქართველოში დროგ

ბითი ეროვნული ვალუტის – ეროვნული ბანკის კუპონის – შემოღება დააჩქარა [3, c. 175].

პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, სადაც გაერთიანდა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ბალტიის ქვეყნების გამოკლებით. საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შევიდა მოგვიანებით, 1993 წელს, მას შემდეგ, რაც ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში იძულებული შეიქნა დაეტოვებინა აფხაზეთი, რასაც მოჰყვა იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალთასიანი ტალღა. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების იმედით საქართველომ მიიღო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის გადაწყვეტილება იმ მიზნით, რომ მოსკოვის კეთილგანწყობა მოეპოვებინა, რომელიც ყოველთვის ედგა მხარში სეპარატისტულ მოძრაობას არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ყოფილ რესპუბლიკებშიც [4-5].

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში მიაღწიეს მრავალ მნიშვნელოვან შეთანხმებას, რაც ხელს უწყობდა წევრი-სახელმწიფოების ეკონომიკური კონტაქტების დალაგებას, გავრცელებული აზრის თანახმად, თანამეგობრობა თავიდანვე შეეჯახა სირთულების ინტეგრაციის პროცესებში [6-8]. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიიჩნევა საბაზო საფუძველზე ინტეგრაციის სქემების შემუშავებისაკენ სწრაფვა, რაც დამასახიათებელია საწარმოო კოოპერაციისათვის და რაც ნიშანდობლივი იყო სსრკის შედარებით ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემისათვის [9].

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში ორივე ქვეყანა, საქართველოც და რუსეთიც, დაკავებული იყო საკუთარი პრობლემებით – საბაზო ეკონომიკაზე გადასვლით და ამდენად, მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობები ამ ქვეყნების კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური დაინტერესების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

საქართველოს ეკონომიკაზე ძალიან ცუდი გავლენა იქონია რუსეთის 1998 წლის სავალუტო-ფინანსურმა კრიზისმა, რაც უარყოფითად აისახა საქართველოს ეროვნული ვალუტის – ლარის – გაცვლითი კურსისა და მთლიანად საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობაზე [10, cc. 196-197], რის შედეგად საქართველოსთან საგარეო ვაჭრობაში პირველობა რუსეთმა მხოლოდ თურქეთს დაუთმო (ისიც არა დიდი ხნით). ასე გაგრძელდა 2006 წლამდე, ანუ იქმდე, სანამ რუსეთმა ქართული ლინიისა და მინერალური წყლებისთვის, ასევე ქართული წარმოშობის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის არ დაკეტა თავისი ბაზარი.

რევოლუციამდელი პერიოდის ქართულ-რუსულ ურთიერთობებში განსაკუთრებით საყურადღებოა ეწ. „ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულების ტექსტის საქართველოს პარლამენტის მიერ იძულებითი რატიფიკაცია, რომლის თანახმადაც, საქართველომ რუსეთის ვალის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და პარიზის კლუბის მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ უარი თქვა ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებზე [11]. მართალია, პარაფირებულ ტექსტში ეწერა, რომ ეს არ ვრცელდება ალმასის ფონდსა და ყოფილი სსრკის „ვნეშეკონომბანკის“ ანგარიშებზე, მაგრამ 1993 წელს ხელმოწერილ ოფიციალურ დოკუმენტში ასეთი ჩანაწერი უკვე აღარ იყო, რაც ქართულმა მხარემ მხოლოდ ხელმოწერის შემდეგ შენიშნა. საქართველოს ხელისუფლების მრავალრიცხოვანი პროტესტის მიუხედავად, რუსეთის მხარე ხელმოწერილ ტექსტში რამის შეცვლას არ აპირებდა, ხოლო როდესაც საქართველოს დასჭირდა რუსეთის მიმართ საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია, მოსკოვმა ამ ხელშეკრულების იმ სახით რატიფიკაცია მოითხოვა, რა სახითაც იყო ხელმოწერილი. რადგანაც საქართველოს საგარეო ვალის რესტ-

რუქებული ზარიან გარიანტი არ არსებობდა, საქართველოს თავისი ეროვნული ინტერესების საზიანოდ მოუწია „ნულოვანი გარიანტის“ ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც პარაფირებული ტექსტისაგან განსხვავდებოდა.

აზერბაიჯანული ნახშირწყალდადის რესურსების საქართველოს გავლით ტრანსპორტირებას ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. კერძოდ, რუსეთი მიიჩნევდა (და სამწუხაროდ, დღემდე მიიჩნევს), რომ ამ პროექტის რეალიზაცია ასუსტებს მის ეროვნულ უსაფრთხოებას და ეწინააღმდეგავს მის ინტერესებს [12]. ამრიგად, რუსეთი არა მარტო არ იყო დაინტერესებული საქართველოს გავლით ტრანსპორტირების დერეფნის გაყვანით, არამედ ყველა ძალას ხმარობდა, რომ ხელი შეეშალა ამ პროექტებისათვის [12]. ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების გამო რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაპირისპირება შენარჩუნდა „გარდების რევოლუციის“ შემდეგაც: რუსეთმა ყველა ძალა და საშუალება გამოიყენა, რომ წინ ადგარმოდა მიღსაღენებთან დაბავშირებული პროექტების რეალიზებას [13-14]. რუსი ექსპერტებიც აღიარებენ, რომ რუსეთი ზოგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან, მათ შორის, საქართველოსა და აზერბაიჯანთან, „ენერგეტიკულ ომს“ აწარმოებს [15, c. 80].

ჯერ კიდევ საქართველოს 2003 წლის ნოემბრის „გარდების რევოლუციამდე“ რუსეთში უკვე პოპულარული იყო „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის იდეა[16], რომლის მიხედვითაც, რუსეთს ეკონომიკური ექსპანსიის საშუალებით შეუძლია და უნდა ადადგინოს კიდევ თავისი ეკონომიკური გავლენა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე [17, p. 76]. ზოგადად, ლიბერალური იმპერია, მისი ავტორების ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა შეიქმნეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების არა ძალადობრივი შეიარაღებული ოკუპაციის, არამედ ამ ტერიტორიებზე არსებული ძირითადი ეკონომიკური ობიექტების დასაკუთრების (შექმნისა და აქტივების განვითარების) გზით [18]. სამწუხაროდ, პოსტრევოლუციური საქართველო სულ უფრო და უფრო დრმად ერთვება „ლიბერალური იმპერიის“ მარწუხებში [19].

2006 წელს, პროდასავლური ორიენტაციის გამო, საქართველოს „დასასჯელად“ რუსეთმა მოიმიზება ქართული ღვინისა და მინერალური წყლების უხარისხობა და ამ პროდუქტებისა და მთლიანი ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის დახურა თავისი ბაზარი. ეს, მართალია, ერთი მხრივ, უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე [20], მაგრამ, მეორე მხრივ, იქცა სტიმულად, რომ საქართველოს თავისი პროდუქციის გასასაღებლად ახალი ბაზრები მოექმნა. ამის პარალელურად რუსეთმა საქართველოს ბლოკადა გამოუცხადა და ყოველგვარი საავიაციო, სარკინიგზო, საზღვაო, საგზომობილო მიმოსვლა და საფრთხოებიც კი შეაჩერა.

მოსკოვის მიერ ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აკრძალვა არ ვრცელდებოდა აფხაზეთზე. რუსეთის შემდეგ ქართული ღვინისა და მინერალური წყლების შეტანა აფხაზეთმაც აკრძალა. აქცე აღსანიშნავია, რომ რუსეთმა სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო აფხაზურ ღვინოსთან დაკავშირებით.

ქართულ-რუსული ურთიერთობების დაძაბულობამ კულტინაციას 2008 წლის აგვისტოში, რუსულ-ქართული ომის დროს მიაღწია, რის შემდეგაც ამ ორ ქვეყანას შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობები. ომმა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ ჰქვევეშ დააყენა ის, თუ რამდენად მიზანშეწონილია დამოუკიდებელ სახემწიფოთა თანამეგობრობის არსებობა, რომლიც მხოლოდ ფორმალურად აღიარებს მასში შემაგალი ქვეყნების საზღვრების დაურდეველობას [21, p. 1161]. რუსეთის აგრესის შემდეგ, რო-

გორც მოსალოდნელიც იყო, საქართველო გამოვიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან.

ბოლო პერიოდში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არანაირი ეკონომიკური ურთიერთობა არ არსებობს. ეს ასე არაა, რადგან საქართველო არის სამუშაო ძალის „ექსპორტიორი“ რუსეთში, ხოლო რუსეთი კი საქართველოში ინვესტიციების ერთ-ერთი მთავარი „იმპორტიორი“.

საგარეო ვაჭრობის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი შეზღუდვების გამო საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობა დღეისათვის საკმაოდ შეკვეცილია, თუმცა სრულიად შეწყვეტილი არ არის. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რუსეთში ქართული ექსპორტის წილი, საქართველოს ექსპორტის მთელ მოცულობასთან შედარებით, 2005 წლის (ანუ ერთი წლით ადრე), სანამ რუსეთი ქართული პროდუქციის თავის ბაზარზე შეტანას აკრძალავდა) 17,8 პროცენტიდან 2008 წელს 2,0 პროცენტამდე შემცირდა, 2010 წელს კი 2,2 პროცენტი შეადგინა [22]. იგივე ტენდენცია შეინიშნება საქართველოში რუსული იმპორტის წილის შეზღუდვის თვალსაზრისითაც: თუკი 2005 წელს რუსეთიდან საქართველოში იმპორტი 15,4 პროცენტს შეადგენდა, 2008 წელს ეს მაჩვენებელი 6,7 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2010 წელს 5,5 პროცენტი შეადგინა [22]. აქევე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში რუსეთს უკავია მეტყველები (თურქეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და გერმანიის შემდეგ), მაგრამ წინ უსწრებს აშშ-ს, ბულგარეთს, ჩინეთს და ა.შ. [22].

ცნობილია, რომ საქართველოს ბევრი მოქალაქე, მათ შორის ეთნიკურად ქართველებიც, რომლებმაც მიიღეს რუსეთის მოქალაქეობა და ცხოვრობენ რუსეთში, თავიანთი შემოსავლის ნაწილს საქართველოში მაცხოვრებელ ნათესავებს ურიცხავენ. რუსეთის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით სავიზო რეჟიმის შემოღებამ და 2006 წელს რუსეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველების (მათ შორის რუსეთის მოქალაქეებისაც) [23] გამოძევებამ, საბანკო სისტემის განვითარებასთან ერთად ხელი შეუწყო ფულადი გზავნილებისთვის საბანკო არხების გამოყენებას, რამაც მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა პოსტსაბჭოთა სივრცეში გავრცელებული სისტემა, რომელიც უფრო მეტყველებოდა ნათესავებისთვის ფულის გაგზავნას ნაცნობ-მეგობრების ხელით [24, p. 56]. ამ ტენდენციაზე 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომაც კი ვერ იქონია გავლენა. 2005 წელს (ანუ ქართველების რუსეთიდან გამოძევებამდე ერთი წლით ადრე) საქართველოში სულ გადმოირიცხა 403 მლნ აშშ დოლარზე მეტი, აქედან რუსეთიდან – 240 მლნ აშშ დოლარზე მეტი, რამაც მთელი ფულადი გზავნილების 59,6 პროცენტი შეადგინა. 2008 წელს ფულადი გზავნილების ოდენობა, 2005 წელთან შედარებით, გაიზარდა 2,6-ჯერ და 1002 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, სადაც 2,6-ჯერაა გაზრდილი ფულადი გზავნილები რუსეთიდან და შეადგენს თითქმის 634 მლნ აშშ დოლარს – უკვე ფულადი გზავნილებით მიღებული მთლიანი თანხის 63,3 პროცენტს [25]. 2009 წელს, გლობალური ფინანსური კრიზისის გამო, საქართველოში გადმორიცხულმა ფულადმა გზავნილებმა (სულ 842 მლნ აშშ დოლარი) უკვე 2008 წელს თანხის 84 პროცენტი შეადგინა, რუსეთიდან კი უფრო ცოტა – მხოლოდ 71,0 პროცენტი (რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების წილმა შეადგინა მთლიანი თანხის ნახევარზე მეტი – 53,5 პროცენტი) [25], რაც, პირველ რიგში, რუსეთში ეპონომიკური კრიზისის განსაკუთრებული სიმძიმით აისხება. 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, საქართველოში გაიზარდა ფულადი გზავნილების ოდენობა როგორც საერთოდ (940 მლნ აშშ დოლარი), ისე რუსეთიდან (530 მლნ აშშ დოლარი), შესაბამისად გაიზარდა რუსეთიდან საქართველო-

ში გადმორიცხული ფულადი გზავნილების წილიც, რომელმაც 56,4 პროცენტი შეადგინა [25].

გაცილებით რთულია საქართველოს ეკონომიკაში ჩადებული რუსული (და არა მარტო რუსული) ინვესტიციების მეტ-ნაკლებად ზუსტი ოდენობის დადგენა, რადგან სტატისტიკური ინფორმაცია იმდენად არასრულყოფილია, რომ მასზე დაყრდნობა არ იძლევა რეალური ვითარების შესახებ საფუძვლიანი დასკვნების გაპეტების საშუალებას. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ბევრი ფირმა, რომელმაც პირდაპირი ინვესტიციები განახორციელა, დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონებში, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს ამ ფულადი ნაკადების რეალური წარმომავლობა. ამასთან, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, რუსეთი, საქართველოში 2010 წელს განხორციელდული ინვესტიციების მიხედვით, ნიდერლანდის და აშშ-ის შემდეგ, მესამე აღგილზეა [26].

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხი [27]. საქართველო, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი-ქვეყანა, იმთავითვე თანახმა იყო ამ ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებაზე, თუკი მოსკოვი მისცემდა თბილისს შესაძლებლობას, გაეხსნა საკონტროლო-გამშვები პუნქტები საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის მონაკვეთებზე. თბილისის პირობები ემყარება იმ მოსაზრებებს, რომ ორ მეზობელ ქვეყანას შორის საქონლის საზღვარზე გადატან-გადმოტანა უნდა ხდებოდეს ეროვნული საბაჟო კანონმდებლობებით, რაც, სამწუხაროდ, ვერ ხორციელდება საქართველოს მხრიდან სეპარატისტული მთავრობების გადაწყვეტილებების გამო, რასაც მოსკოვი ღიად უჭერს მხარს.

მას შემდეგ, რაც მოსკოვმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა, თბილისის პოზიცია რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით უფრო მკაფიოდ გამოიყეთა: თუ ოფიციალური მოსკოვი ნებას არ მისცემდა ქართველ მებაჟებს ერუშავათ ამ ორ სეპარატისტულ ტერიტორიაზე, ანუ ორ ქვეყანას შორის არსებულ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებზე, საქართველო ოფიციალურად არ დათანხმდებოდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. 2011 წლის მარტში, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პირველად, ბერნში (შვეიცარია) რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე სათათბიროდ ერთმანეთს თვითიციალურად შეხვდნენ რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაციები. შვეიცარელების მიერ შეუძლიანებელი ჩატანებული მოლაპარაკებები დასრულდა კომპრომისული შეთანხმებით, რამაც შესაძლებლობა მისცა რუსეთს გახდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი [28]. ეს კი ქართულ კომპანიებს აძლევს ქმედით ინსტრუმენტს იმისათვის, რომ სურვილის შემთხვევაში დაბრუნდნებ რუსეთის ბაზარზე.

რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ქართულ მხარესთან შეთანხმებით დასრულებული მოლაპარაკებები იძლევა იმედს, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობები ქართულ-რუსული ურთიერთობების გასაუმჯობესებლად იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არასოდეს დათმობს ტერიტორიალური მოლიანობასა და სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Закавказский экономический район. Экономико-географический очерк. Под ред. А. А. Адамеску, и Е. Д. Силаева. Москва, «Наука», 1973.
2. Папава В., и Т. Беридзе. Проблемы реформирования грузинской экономики. *Российский экономический журнал*, 1994, № 3.
3. Гоциридзе Роман. Национальная валюта Грузии – Лари. В кн.: *Центральная Евразия: национальные валюты*. Под ред. Э. М. Исмаилова. Стокгольм: CA&CC Press, 2008.
4. *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in The Caucasus and Central Asia*, Gary K. Bertsch, Cassady Craft, Scott A. Jones, and Michael Beck, eds. New York: Routledge, 2000.
5. Lynch Dov. *Engaging Eurasia's Separatist States. Unresolved Conflicts and De Facto States*. Washington, D.C.: United States Institute of Peace Press, 2004.
6. Гринберг Р. С., Л. З. Зевин, и др. *10 лет Содружества независимых государств: иллюзии, разочарования, надежды*. Москва: ИМЭПИ РАН, 2001.
7. Козик Л. П., и П. А. Кохно. *СНГ: реалии и перспективы*. Москва: Издательский дом «Юридический мир ВК», 2001.
8. Шумский Н. Н. *Сотрудничество независимых государств: проблемы и перспективы развития*. Минск: «Технопринт», 2001.
9. Olcott Martha Brill, Anders Åslund, and Sherman W. Garnett. *Getting it Wrong: Regional Cooperation and the Commonwealth of Independent States*. Washington, D.C.: Carnegie Endowment for International Peace, 1999.
10. Какулия Мераб. До и после введения лари: национальная валюта Грузии в ретроспективе. В кн.: *Центральная Евразия: национальные валюты*. Под ред. Э. М. Исмаилова. Стокгольм: CA&CC Press, 2008.
11. Броладзе Нодар. «Нулевой вариант»: за и против. *Независимая газета*, 2001, 17 января, на сайте [http://www.ng.ru/cis/2001-01-17/5\\_variant.html#](http://www.ng.ru/cis/2001-01-17/5_variant.html#).
12. Rondeli Alexander. Pipelines and Security Dynamics in the Caucasus. *Insight Turkey*, 2002, Vol. 4, No 1.
13. LeVin Steve. *The Oil and the Glory: The Pursuit of Empire and Fortune on the Caspian Sea*. New York: Random House, 2007.
14. Tsereteli Mamuka. Beyond Georgia: Russia's Strategic Interests in Eurasia. *Central Asia-Caucasus Institute Analyst*, 2008, June 11, available at <http://www.cacianalyst.org/?q=node/4879>.
15. Дружиловский С. Б. К вопросу об альтернативной стратегии Российской Федерации в сфере энергетической политики. В кн.: *Средиземноморье – Черноморье – Каспий: между Большой Европой и Большим Ближним Востоком*. Под ред. Н. П. Шмелева, В. А. Гусейнова, А. А. Языковой. Москва: Издательский дом «Граница», 2006.
16. Чубайс Анатолий. Миссия России в XXI веке. *Независимая газета*, 2003, 1 октября, на сайте [http://www.ng.ru/printed/ideas/2003-10-01/1\\_mission.html](http://www.ng.ru/printed/ideas/2003-10-01/1_mission.html).
17. Kissinger Henry. *Does America Need a Foreign Policy? Toward a Diplomacy for the Twenty-First Century*. London: The Free Press, 2002.
18. Crane Keith, D. J. Peterson, and Olga Oliker. Russian Investment in the Commonwealth of Independent States. *Eurasian Geography and Economics*, 2005, Vol. 46, No. 6.
19. პაპავა ვლადიმერ, და თამარ თავდადე. “ლიბერალური იმპერია” რუსეთი მოდელი და პოსტრევოლუციური საქართველოს გამოცდილება. კუთხმისტი, 2009, № 1.

20. Livny Eric, Mack Ott, Karine Torosyan. Impact of Russian Sanctions on the Georgian Economy. In *Georgia in Transition*. Lorenz King, Giorgi Khubua, eds. Frankfurt am Main: Peter Lang, 2009.
21. Allison Roy. Russia Resurgent? Moscow’s Campaign to ‘Coerce Georgia to Peace’. *International Affairs*, 2008, Vol. 84, No. 6.
22. საქართველოს საგარეო გაჭრობა ქავენების მიხედვით. საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახური, საიტზე [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=136&lang=geo](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=136&lang=geo).
23. Papava Vladimer. Russia’s Illiberal “Liberal Empire”. *Project Syndicate*, 2007, February 28, available at <http://www.project-syndicate.org/commentary/russia-s-illiberal-liberal-empire->.
24. Kakulia Merab. Labour Migrants’ Remittances to Georgia: Volume, Structure and Socio-Economic Effect. *Georgian Economic Trends*, 2007, October.
25. ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით. საქართველოს ეროვნული ბანკი, საიტზე <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>.
26. 2010 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 16%-ი ჩემცირდება. *Civil.Ge*, 2011, 12 მარტი, საიტზე <http://www.civil.ge/geo/article.php?id=23765>.
27. Barysch Katinka, Robert Cottrell, Franco Frattini, Paul Hare, Pascal Lamy, Maxim Medvedkov, Yevgeny Yasin. *Russia and the WTO*. London: Centre for European Reform (CER), 2002, available at [http://www.cer.org.uk/pdf/p394\\_russia\\_wto.pdf](http://www.cer.org.uk/pdf/p394_russia_wto.pdf).
28. Papava Vladimer. Russia’s Accession to the WTO: The Perspective from Tbilisi. *International Alert*, 2011, December, available at <http://www.international-alert.org/our-work/caucasus-dialogues-perspectives-region/russia-s-accession-wto-perspective-tbilisi>.

**Papava Vladimer**

*Doctor of Economic Sciences, Professor,*

*Corresponding Member of the National Academy of Sciences of Georgia,  
Principal Research Fellow at the Paata Gugushvili Institute of Economics,*

**Tapladze Tamar**

*Researcher at the Paata Gugushvili Institute of Economics*

## ON THE ECONOMIC RELATIONS BETWEEN GEORGIA AND RUSSIA

### Summary

After the collapse of the Soviet Union, economic relations between Georgia and Russia have developed in a contradictory manner and appear even more complicated at present. The paper explores the post-Soviet economic relations between Georgia and Russia. During the two decades of post-Soviet development a lot of unresolved problems has been accumulated between Georgia and Russia. Despite the extremely strained political relations, and breaking off diplomatic relations, economic activities between the two countries have never stopped. Positive results of the Georgian-Russian negotiations about Russia’s accession to the WTO create the real possibilities to improve the relations between these two countries.

ეკონომიკური თემათი

Альфред Курамашвили

Доктор экономических наук

ПРОБЛЕМЫ ЭФФЕКТИВНОГО ФУНКЦИОНИРОВАНИЯ ЭКОНОМИКИ  
И ПОЛИТИЧЕСКИЙ МЕНЕДЖМЕНТ

Для решения проблем эффективного функционирования экономики определяющее значение имеет эффективный Политический менеджмент.

Следовательно, кризис в Политическом менеджменте является главной причиной кризиса в экономике.

Притом, одной из важнейших причин кризиса в самом Политическом менеджменте, а значит, одной из главных причин возникновения экономических и политических кризисов в мире является, мягко говоря, неопределенность и в большинстве случаев ошибочность в решении проблемы Политической ориентации общества и государства, что (т.е. отмеченная неопределенность и ошибочность) связана с устоявшимися и, вместе с тем, с глубоко ошибочными взглядами в сфере общественных наук.

Такое состояние дела, по моему глубокому убеждению, вызвано ошибочным, но утвердившимся в современном так называемом цивилизованном мире, а также в определенной степени в развивающемся мире (идущем по пути капитализма) взглядом, согласно которому будто бы будущее принадлежит капитализму(?!), тогда как в действительности капитализм находится не впереди, а сзади(?!), ибо капитализм – это не светлое будущее, а уродливое прошлое человечества(?!).

Необходимо здесь же обратить внимание на то, что при этом ошибочно трактуется даже истинная сущность капитализма, ибо в общественной науке и в политике во всем так называемом цивилизованном мире под влиянием глубоко ошибочных марксистских взглядов даже ярые антимарксисты считают, что будто бы критерием капиталистичности является наличие в обществе и в государстве частной собственности и рыночных отношений, тогда как в действительности определяющей сущностной природой капитализма, по моему глубокому убеждению, является – господство денег, прибыли, капитала над человеком.

Притом деньги, прибыль, капитал господствуют даже над самими капиталистами, и, видимо, даже над некоторыми всемирно известными учеными, ничего не говоря уже о порабощенном народе (о порабощенных народах).

Считаю необходимым здесь же отметить, что всемирно известный ученый, активный и небеспристранный пропагандист капитализма – профессор Университета Корвина (Будапешт, Венгрия) и Гарвардского университета (США) Янош Корнаи, анализируя и сравнивая капиталистическую и социалистическую системы, пишет:

«Сущность постсоциалистической трансформации можно свести к тому, что широкий круг стран перешел от социализма к капитализму. Тем не менее нам следует продолжать объективное и беспристрастное сравнение двух систем, ведь мы живем в трудные времена и значительная часть населения может чувствовать ностальгию по старому режиму. Мы должны убеждать наших сограждан в том, что движемся в правильном направлении» [1, с. 4].

В ответ на вышеприведенные слова всемирно известного ученого, профессора Яноша Корнаи мне представляется принципиально важным обратить внимание на то, что:

**Во-первых, речь должна идти не о постсоциалистической трансформации, что глубоко ошибочно, ибо в действительности не было ни социализма, ни трансформации, а должна речь идти о постпсевдосоциалистической контрреволюции, так как это была не трансформация – это была не эволюция, а контрреволюция – это был переворот назад, притом это был переворот не от социализма – в капитализм, а от псевдосоциализма – в дикий капитализм, путем оплодотворения псевдосоциализма на почве дикого капитализма.**

Аналогично и также глубоко ошибочно трактует постпсевдосоциалистическую контрреволюцию и «отец» польских экономических реформ профессор Лешек Бальщерович, о чём свидетельствует уже само название его книги: «Социализм, капитализм, трансформация» [2].

**Во-вторых, профессор Янош Корнаи хотя и считает, что «следует продолжать объективное и беспристрастное сравнение двух систем», но тут же он сам весьма пристрастно отмечает, что, по его словам: «Мы должны убеждать наших сограждан в том, что движемся в правильном направлении», т.е. – к капитализму(?!).**

**Но где же здесь аргументы уважаемого профессора?!**

**Неужели всемирно известный ученый, профессор Янош Корнаи находится в пленау капитализма?!**

Ведь если капитализм действительно имеет преимущества перед так называемым социализмом, то в этом должны убеждать наших сограждан не мы, а должна убеждать их в этом – сама жизнь, ибо ученые не должны выступать в качестве наемных пропагандистов капитализма, так же, как они не должны выступать в качестве наемных пропагандистов так называемого социализма.

Истинные ученые должны быть именно беспристрастными, и они должны пропагандировать лишь истину и справедливость, а не находиться в рабство, в пленау той или иной политической системы!!!

Более того, истинные ученые в своих научных трудах должны не просто описывать факты и отражать (фиксировать), тем самым, имеющиеся явления – с пристрастием к той или иной политической системе (что чаще всего имеет место в общественной науке), ибо это не наука – это не научная деятельность. А они должны создавать – творить – принципиально новые идеи, как композиторы сферы науки.

Таким образом, назначением истинных ученых должно быть (*и является*) не просто описание (*тем более не просто пристрастное описание*) действительности или пересказ чужих идей, а должно быть конструирование принципиально новых всемирно значимых научных идей – принципиально новых научных направлений и новых научных теорий, которые могли бы стать, и которые должны стать интеллектуальной основой построения и эффективного функционирования новой – Истинно человеческой общественно-государственной системы, ибо, **во-первых**, говоря словами Леонардо да Винчи, «Теория – полководец, практика – солдаты» [3, с.53], и, **во-вторых**, как отмечал В.Г. Белинский: «Нет идей, нет и науки! Знание фактов только потому драгоценно, что в фактах скрываются идеи; факты без идей – сор для голов и памяти» [4, с.94].

Что касается преимуществ той или иной политической системы, *то в действительности* преимущество имеет (имел) не капитализм перед социализмом, а имеет (имел) преимущество социокапитализм [5], т.е. социально ориентированный капитализм – перед псевдосоциализмом, что вовсе не равнозначно наличию преимуществ капитализма перед социализмом(?!).

Считаю принципиально важным и необходимым здесь же обратить особое внимание на то, что в конце 70-х и в начале 80-х годов XX века, т.е. еще до Перестройки – в условиях наличия тоталитарного режима и господства коммунистической

*идеологии* – я писал об объективных преимуществах социализма перед капитализмом, но под социализмом мной подразумевался не марксистский неосуществимый социализм, или социализм в традиционном понимании, а подразумевался социализм в моем понимании последнего, ибо я предлагал свое принципиальное новое видение социализма, не имеющее ничего общего с марксистским и традиционным пониманием социализма, в виду чего преданные «слуги» марксизма и коммунистической идеологии в те годы яростно боролись даже на государственном уровне против меня – как против антимарксиста, однако даже тогда я победил, а в дальнейшем жизнь подтвердила правоту моих идей.

В частности, под социализмом мной подразумевалось общество, критерием которого (т.е. критерием социалистичности) является не отсутствие частной собственности и рыночных отношений, не так называемая общественная собственность на средства производства, не планомерность и т.д. (ибо такой подход основывается на философии, называемой мной философией средств и, *по моему убеждению*, представляет собой глубоко ошибочный подход), а подразумевалась реализация социальной цели – реализация интересов народа, что основывается на философии социальной цели [6], и что фактически представляет собой критерий Истинно человеческого общества и государства.

И, думается, не должно подлежать сомнению то, что **Истинно человеческое общество и государство – общество и государство, служащее интересам каждого человека, безусловно, будет иметь преимущество перед капитализмом и перед всеми другими политическими системами**.

Следовательно, с точки зрения интересов народа, *мягко говоря*, даже просто неудобно говорить о преимуществах капитализма.

Неужели капитализм, т.е. господство денег, прибыли, капитала над человеком – может иметь преимущество перед какой либо общественно-государственной системой с точки зрения интересов народа??!

Удивительно, но факт, что так считают некоторые всемирно известные апологеты капитализма(?!).

Да, капитализм действительно имеет «преимущества» перед всеми другими политическими системами, но лишь в деле «цивилизованного» ограбления и порабощения народов отдельными лицами(?!).

Если же в общественно-государственной системе не имеет место господство денег, господство прибыли, господство капитала над народом, то тогда, как неоднократно отмечалось мной и ранее, это уже не капитализм, а потому данный политический строй должен носить другое название [6, с. 276].

Возвращаясь к анализу причин кризиса в Политическом менеджменте, необходимо обратить внимание на то, что, кроме отмеченной выше неопределенности и ошибочности в решении проблемы Политической ориентации общества и государства, одной из главных – принципиально важных – причин кризиса в Политическом менеджменте является отсутствие политической и юридической ответственности должностных лиц за результаты их деятельности, которая была бы сбалансирована с их правами, что требует неотлагательного внедрения в жизнь соответствующих политико-правовых механизмов на основе Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц [7].

Считаю необходимым особо обратить внимание также на чрезмерно важную – философскую, методологическую – причину возникновения мирового экономического кризиса начала XXI века, определяющую и концентрированно выражющую многие другие причины его возникновения.

Этой причиной является ошибочный, *по моему глубокому убеждению*, методологический подход, как в науке, так и в политике, связанный с

экономической целевой направленностью функционирования общества и государства, и называемый мной философией средств – философией экономической самоцели средств [6], что является методологической «основой» антисоциальной политической ориентации общества и государства, а соответственно, является глубоко ошибочной методологической «основой» Политического менеджмента, вызывающего, как локальные, так и глобальные кризисные явления.

В связи с исследованием теоретических основ возникновения и преодоления современного мирового экономического кризиса, заслуживает серьезного внимания тот факт, что в общественных науках, *к сожалению*, не существует истинных критериев предварительной оценки прогрессивности научных идей, а потому настоящие ученые – творцы принципиально нового – нередко находятся в тени, тогда как «серые» представители сферы науки, которые лишь пересказывают чужие, *притом отсталые от требований жизни*, идеи, или же которые глупости и нелепости пропагандируют как будто бы принципиально новые научные идеи, могут быть объявлены чуть ли не гениями(?!).

И эта проблема – проблема «серости» в науке – одна из главных проблем, существующих в общественных науках в современном мире и вызывающих глобальные кризисные явления.

Именно проблемами в общественных науках вызваны возникновение Мирового экономического кризиса в начале XXI века и другие глобальные кризисные явления.

В связи с вышеотмеченым с полной уверенностью можно утверждать, что если бы ведущие ученые развитых капиталистических государств мира давали соответствующие научные рекомендации лидерам своих государств, и если бы лидеры ведущих капиталистических государств мира не основывались на ошибочные взгляды представителей науки, и, в частности, на ошибочные взгляды представителей науки своих государств, то возникновение Глобального кризиса в начале XXI века не должно было иметь место.

Ведь не представляет собой секрет то, что *многие, притом даже очень известные по своему положению в научном мире представители сферы общественных наук*, занимаются в основном лишь поверхностным и односторонним – в рамках лишь одной узкой научной дисциплины – исследованием проблем, без учета необходимости системного, комплексного – обществоведческого подхода к ним, тогда как общество – это один целостный организм, требующий именно системного, комплексного исследования его проблем.

Данное явление вызвано тем, что очень мало кто способен всесторонне – комплексно – исследовать проблемы мирового развития и, тем более, делать научно обоснованные выводы и конструировать принципиально новые научные направления и новые научные теории, которые могли бы служить научной основой эффективного функционирования общества и государства, а стало быть, и основой предотвращения глобальных кризисов впредь.

И ведь именно потому – основным результатом их «исследований» является то, что будто бы экономические кризисы – это закономерность для любой общественно-политической системы(?!).

Следовательно, вместо того, чтобы искать и находить генетические корни происхождения экономических кризисов и заниматься углубленным исследованием теоретических основ и разработкой политico-правовых и социально-экономических механизмов их предотвращения, представители сферы науки и сферы политики в основном ищут лишь пути выхода из кризиса, ибо считают, что будто бы предотвращение глобальных кризисов вообще не представляется возможным(?!).

Однако следует учесть, что экономические кризисы – это не землетрясения, которые, видимо, во всяком случае, на уровне современных знаний, действительно невозможно предотвратить, хотя землетрясения предмет отдельных исследований в сфере других наук.

**Что касается конкретно Мирового экономического кризиса начала XXI века, то, по моему глубокому убеждению, он является качественно новым кризисом – притом является Всеобщим кризисом капитализма, и, прежде всего, кризисом развитого капитализма.**

Главная специфическая особенность Мирового экономического кризиса начала XXI века заключается в том, что он является явно выраженным результатом кризиса в мозгах – в сознании – тех ученых, на результаты исследований которых опирались в процессе управления обществом и государством лидеры (*и вообще власти*) ведущих капиталистических стран мира в преддверии этого кризиса.

Из вышеотмеченного логически следует, что глубинные причины возникновения Мирового экономического кризиса в начале XXI века, так же как и причины возникновения любого другого мирового экономического кризиса ошибочно искать лишь в самой экономике.

Данное убеждение обосновывается мной тем, что экономикой управляет не сама экономика, а управляет ею политика, в виду чего непосредственно определяющие причины возникновения Мирового экономического кризиса в начале XXI века необходимо искать, прежде всего, в Политическом менеджменте.

Из отмеченного выше логически следует, что любой Глобальный социальный кризис является непосредственным результатом кризиса в Политическом менеджменте, основанном на ошибочных теоретических взглядах, либо основанном на непонимании или на игнорировании прогрессивных научно-теоретических идей.

Таким образом, одной из главных проблем возникновения Мирового экономического кризиса начала XXI века, по моему глубокому убеждению, является то, что лидеры развитых капиталистических государств мира в своей деятельности основывались не на прогрессивные научные идеи, а основывались они на идеи, способные лишь тормозить развитие общества, государства и человечества в целом.

Следовательно, среди проблем, непосредственно способствующих возникновению мировых экономических кризисов, на передний план выдвигается проблема компетентности тех лидеров государств, по вине (по некомпетентности и т.д.) которых возник, в частности, мировой экономический кризис в начале XXI века.

Вместе с тем, проблема компетентности очень остро стоит не только в сфере политического менеджмента, но и в сфере науки и, в частности, в сфере общественных наук, непосредственно связанных с решением проблем разработки путей и механизмов эффективного функционирования общества, государства и человечества в целом.

Исходя из вышеотмеченного, важнейшей задачей общественных наук во всем мире является внедрение принципиально новых путей и механизмов преодоления проблем научного творчества, и, в частности, путей и механизмов, предлагаемых мной уже многие годы [8], ибо без творческого развития науки эффективное функционирование общества, государства и человечества в целом не представляется возможным.

Вместе с тем, новые научные идеи всегда наталкивались и наталкиваются на большие искусственные препятствия – в основном со стороны «крупных» по своему должностному положению лиц, а также «крупных» по наличию у них

**ученых степеней, званий и т.д., но весьма слабых по своим научным – творческим способностям и результатам.**

И это не удивительно, ибо «*Общеизвестно, – как я отмечал еще в 1984 году, – что новое в науке и в жизни вообще всегда с трудом, с борьбой пробивало себе дорогу.* В этой связи образно и весьма интересно писал Людвиг Бёрне: «После того, как Пифагор открыл свою теорему, он принес в жертву сто волов. С тех пор крупный рогатый скот трепещет всякий раз, когда открывается новая истин...»» [9, с.59].

**А значит, «Крупный Рогатый Скот» всегда всячески препятствует научному творчеству, тогда как без творческого развития науки немыслимо и неосуществимо эффективное функционирование общества, государства и человечества в целом.**

Таким образом, Мировой экономический кризис начала XXI века еще раз подтверждает, что **решение проблем научного творчества является глобальной – международной, всемирной – проблемой, ибо эффективное функционирование государств и благосостояние народов во много зависят, прежде всего, от творческого развития науки – как от идеино-теоретической основы Политического менеджмента и социально-экономического прогресса.**

Именно на основе творческих – истинно научных идей должны быть решены проблемы Политического менеджмента, а, соответственно, должны быть решены проблемы преодоления и предотвращения мировых экономических кризисов, так же, как и проблемы социально-экономического прогресса вообще.

Притом, как в научных исследованиях, так и в практике управления обществом, государством и человечеством в целом, необходимо учитывать, что пока будет существовать капитализм – всегда будут существовать и экономические кризисы – как хроническая болезнь и как вечный спутник капитализма.

Поэтому, исходя из интересов человека, общества, государства и человечества в целом, необходимо преодолеть капитализм и, в том числе, капитализм, оплодотворенный на почве псевдосоциализма, и необходимо идти по принципиально новому пути – в принципиально новом направлении, которое поведет человечество к счастливому будущему.

Следовательно, в результате углубленного научного анализа рассмотренных выше проблем еще и еще раз приходим к логическому выводу о необходимости избавиться от капитализма и идти по пути строительства Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства [10].

Таким образом, будущее должно принадлежать не капитализму, не социализму и не их конвергенции, а Истинно человеческому обществу и государству – обществу и государству, служащему интересам каждого человека!!!

**Вместе с тем, необходимо особо обратить внимание на то, что, как я отмечал еще в 1980 году, в деле строительства и эффективного функционирования Истинно человеческого общества и государства все пути, формы и методы оправданы, если они служат интересам Человека – интересам каждого члена общества, и если они исключают при этом эксплуатацию человека человеком и все другие анти-социальные явления [11, с. 93].**

#### **Использованная литература**

- 1. Корнаи Я.** Инновации и динамизм: взаимосвязь систем и технического прогресса. Журнал «Вопросы экономики», 2012, №4, с. 4.
- 2. Бальцерович Л.** Социализм, капитализм, трансформация: "Очерки на рубеже эпох /Пер. С польск. – М.: "Наука", Изд-во УРАО, 1999.

- 3.** См. Голованов Я. К. Этюды об ученых. 3-е издание, дополненное. Москва: «Молодая гвардия», 1983.
- 4.** Слово о науке: Афоризмы. Изречения. Литературные цитаты. Книга вторая. Сост., автор предисловия и введений к главам Е.С. Лихтенштейн. М.: «Знание», 1981.
- 5.** Кураташвили Альфред А. Новый методологический подход в исследовании проблем и преподавании общественных наук. Материалы научно-методической конференции: “Проблемы совершенствования исследований и преподавания в общественных науках” (15 марта 1990 г.). Тбилиси: “Мецниереба”, 1990.
- 6.** Кураташвили Альфред А. Философия социальной цели. *Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003.
- 7.** Кураташвили Альфред А. Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц. *Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003.
- 8.** Кураташвили Альфред А. Проблемы научного творчества (Размышления по кардинальным проблемам творческого развития общественных наук). Материалы научной конференции: «Наука и общество» (13-14 декабря 1984 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1984.
- 9.** Кураташвили Альфред А. Некоторые размышления по проблемам социально-экономической науки. Материалы научной конференции: «Наука и общество» (13-14 декабря 1984 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1984.
- 10.** Кураташвили Альфред А. Революционные пути и механизмы преодоления проблем научного творчества. Материалы Международной научной конференции: «Актуальные проблемы научного творчества» (11-12 .03.2009). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2009.
- 1.** Кураташвили Альфред А. Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: “Актуальные проблемы теории” (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: “Мецниереба”, 1980.

*Kuratashvili Alfred*  
*Doctor of Economic Sciences, Professor*

#### PROBLEMS OF EFFECTIVE FUNCTIONING OF ECONOMY AND POLITICAL MANAGEMENT

##### Summary

In scientific work erroneous political management is considered as the reason of global crises, and effective political management – as a way to effective functioning of economy, society, the state and mankind as a whole.

**თამილა არნანია-კებულაძე**  
აკადმიური წერვის უნივერსიტეტი,  
ტომას ბატას უნივერსიტეტი

**ინდივიდუალური ეკონომიკური ქცევა და მისი განვითარები**

დღეს სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ბევრად არის განპირობებული ეკონომიკის მიკრო დონეზე ფუნქციონირების თავისებურებებით და იმ გადაწყვეტილებებით, რომლებსაც იღებენ ეკონომიკური აგენტები მიკროეკონომიკურ დონეზე. ასეთი შეხედულება განსაკუთრებით აქტუალური არა. „ლუკასის კრიტიკა“ (1976 წ.) შემდეგ გახდა. რობერტ ლუკასის (Robert Lucas) თანახმად, მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია ისეთი „სიღრმისეული პარამეტრების“ გათვალისწინება, როგორიცაა ინდივიდუალური ქცევა და სწორედ ამ უგანასენელის გათვალისწინებით უნდა იქნას განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგები. ასეთი მიდგომიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძებს ეკონომიკური ქცევის ბუნების განსაზღვრა.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება არ იძლევა ეკონომიკური ქცევის ცალსახა და სრულყოფილ განმარტებას. ჩვეულებრივ, ეკონომიკური და რაციონალური ქცევა გაიგივებულია და ეკონომიკური ქცევა განიხილება როგორც სარგებლინაობის მაქსიმიზირებასა და დანახარჯების მინიმიზირებაზე მიმართული ქმედებათა ერთობლიობა. ეკონომიკური ქცევა წარმოდგენილია, როგორც „ეკონომიკური ადამიანის“, „Homo Economicus“-ის (ა.სმიტი, დ.რიკარდო) იმანქნტური თვისება, რომელიც მიმართულია კონკურენტულ გარემოში საპურარი ეგოისტური ინტერესების მაქსიმალურ დაქმაყოფილებაზე.

რა ფაქტორებით განისაზღვრება ადამიანთა ეკონომიკური ქცევა?

ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსის ჯონ დიუის (John Dewey) თანახმად, ინდივიდთა ქცევა დიდწილად ემყარება ადამიანის მიერ სწავლისა და საკუთარ ქმედებებზე საზოგადოების მხრიდან დადებითი ანდა უარყოფითი რეაქციის გააზრების პროცესში შექმნილ ჩვევებს.

ამ შეხედულებამ დიდი გავლენა იქონია ინსტიტუციონალურ ეკონომიკურ სკოლაზე, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა ეს მოსაზრება და განიხილა ადამიანი, როგორც ბიო-სოციალური არსება, რომლის ქცევა განპირობებულია არა მხოლოდ ამ ადამიანის ცხოვრების გამოცდილებით, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიული წარსულით. ასეთი შეხედულების საფუძველზე ეკოლუციური თეორიის უუძემდებლებმა რ.ნელსონმა და ს.უინტერმა შემოიღეს „რუტინის“ (routine) ცნება, რომელიც მათ მიერ განსაზღვრული იყო როგორც „ქცევის ნორმალური და პროგნოზირებადი ნიმუშები“ და მის კონტექსტში იყო განხილული ორგანიზაციების ქცევა. მოგვიანებით რუტინების ცნება გავრცელდა ინდივიდუალურ ქცევაზეც. ამის შედეგად ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ადამიანთა ქცევა „ეკონოდინირებულია წესებითა და ნორმებით და სოციალურ ურთიერთქმედების პროცესში წამოჭრილი ტიპიური პრობლემების რუტინული გადაჭრით“ [15].

ქცევის საერთო წესების ერთობლიობა, რომელსაც ეკონომიკური აგენტები ირჩევენ ერთობლივი სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისათვის, საერთო მენტალური მოდელების სახელწოდებით არის ცნობილი. საერთო მენტალური მოდელები იცვლებიან დროსა და სივრცეში და ეს ცვლილებები ატარებენ ბიოლოგიურ, სოციალურ და ინდივიდუალურ ხასიათს და განაპირობებენ განსხვავებული კულტურების ჩამოყალიბება-განვითარებას.

გ.ჰოფსტედის (Geert Hofstede) შეხედულებით, ადამიანთა ქცევა განპირობებულია მენტალური პროგრამებით ანუ „აზროვნების, ურთიობებისა და საქმიანობის ნიმუშებით“ და გამოყოფს მენტალური პროგრამების სამ დონეს, რომლის საფუძველში მოქცეულია გენეტიკურად განპირობებული ადამიანის ბუნება; შეალებურ მდგრმარეობას იყავებს სწავლის/აღზრდის მეშვეობით ჩამოყალიბებული კულტურა, ხოლო ზედა საფეხურზე იმყოფება პიროვნების ინდივიდუალურობა, რომელიც წარმოადგენს ადამიანის გენეტიკური განპირობებულობისა და ადზრდა/სწავლის შედეგს. ანუ, გ.ჰოფსტედის აზრით, პიროვნების ინდივიდუალურობა დეტერმინირებულია ბიოლოგიური საწყისებისა და პიროვნების სოციალიზაციის პროცესით.

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს ფართო მეცნიერული დისკუსიები იმის თაობაზე, თუ რა როდს ასრულებენ და რა მნიშვნელობა გააჩნია ბიოლოგიურ ფაქტორებს და, პირველ რიგში, ადამიანის გენეტიკას, ადამიანის ქცევაში, რა არის განმსაზღვრელი ადამიანთა ქცევაში - გენეტიკურ-ბიოლოგიური თუ სოციალური ფაქტორები. ამ დისკუსიაში ეკონომისტებთან ერთად ფართოდ არიან ჩართული სოციოლოგები, ფიქოლოგები, ანთროპოლოგები, გენეტიკები და სხვ.

ავტორთა ერთი ჯგუფის [4;5;14] შეხედულებით, არსებობს უდაო მტბიცებულებები იმისა, რომ ადამიანთა ქცევა გენეტიკურად არის დეტერმინირებული ანუ ადამიანთა გარკვეული ჯგუფები გენეტიკურად და მემკვიდრეობითობით არიან „დაპროექტებული“ გარკვეული ქცევის მოდელისათვის [4;5]. ამ მოსაზრების მომხრენი თვლიან, რომ ადამიანთა ქცევის განსხვავებები წარმოადგენენ „თანდაყოლილი თვისებების, ევოლუციის გვერდითი პროდუქტებისა (byproduct of evolution) და ტესტოსტერონის შედეგს“ [14] და, მაშასადამე, ზოგი ადამიანი უკეთ არის მომზადებული გარკვეული მანერით ქცევისათვის მათი „გენეტიკური, მემკვიდრეობითი და ბუნებრივი თვისებების გამო“ [14].

ამგვარი განცხადებები ადამიანთა ქცევის ბიოლოგიურ-გენეტიკურ და მემკვიდრეობით ხასიათზე უგულებელყოფს ადამიანის აღზრდის, ცხოვრების გარემოს მნიშვნელობას და მეცნიერთა სხვა ჯგუფის თანახმად, ადამიანთა ქცევის სტილი/მანერა გარემოთ არის განპირობებული [2].

ფსიქოლოგების კვლევების მიხედვით, გარემოს განმსაზღვრელ ფაქტორებს შეუძლიათ უკუაგდონ გენეტიკური და მემკვიდრეობითობის ფაქტორები და მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ინდივიდთა ქცევაზე [3;10].


ტერმინი „გარემო“ განმარტებულია, როგორც „ინდივიდის ირგვლივ არსებული კონტექსტი და სიტუაციები“ [7;გვ.10]. განასხვავებენ გარემოს რამდენიმე კლასიფიკაციას. ასე, Law M. და მისი თანაავტორები [7] განიხილავენ პერსონალურ, სოციალურ და ფიზიკურ გარემოს. Shalinsky [11] განიხილავდა გარემოს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ფიზიკური ფაქტორები (ანუ მისი სიტყვებით, ძირითადი და ბუნებრივი ფაქტორები) და ფსიქოსოციალური ფაქტორები, რომლებშიც გაერთიანებულია სუბიექტებს შორის ურთიერთობები, ოჯახი და მთავრობა.

გარდა ამისა, განსაზღვრავენ ფიზიკურ (არასულიერ) და სოციალურ (სულიერ) გარემოს [6]. გარემოს კლასიფიკაცია ხდება, აგრეთვე, ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორიცაა კულტურა, ეპონომიკა, სამართალი, პოლიტიკა, ფიზიკური ან/და სოციალური ფაქტორები და სხვა [7].

როგორც ვხედავთ, მეცნიერები გამოყოფენ გარემოს მრავალ ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ქცევაზე. ამასთან, მოცემულ განსაზღვრებაში შეიძლება დამოკიდოთ გარემოს ხიდრცობრიბი ფაქტორები (მაგალითად, კულტურა, პოლიტიკა, ეპონომიკა და სხვ.), რომლებიც განსხვავდება სხვადასხვა საზოგადოებებში, ორგანიზაციებში და ა.შ., მაგრამ მნიშვნელოვა-

ნია გარემოს განხილვა აგრეთვე დროის თვალსაზრისით, ვინაიდან ადამიანთა ქცევა შეიძლება შეიცვალოს და იცვლება დროში. ამასთან, შეიძლებელია გამოყოფილი იუოს დროის ფაქტორების ორი ტიპი. ერთის მხრივ, ეს არის მოძრაობა წარსულიდან დღემდე, ეს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესშია. ანუ ეს არის ადამიანის ცხოვრების გავლილი პერიოდი, რომლის მანძილზე ინდივიდს უყალიბდება გარკვეული უხარები, ჩვევები, წარმოდგენები და ა.შ. და რომლებიც თავის ერთობლიობაში ადამიანში ავითარებენ გარკვეულ შესაძლებლობებსა და უპირატესობებს (პრეფერენციებს), ხოლო ეს უკანასკნელნი გავლენას ახდენენ ადამიანის ქცევაზე (მოდელი A).

#### მოდელი A




მაგრამ ინდივიდი არსებობს დროის კონკრეტულ (მიმდინარე) პერიოდში, რომელიც ხასიათდება კონკრეტული პირობებით. იგი ახდენს შეგუებას ობიექტურად არსებულ პირობებთან, რომლებიც ზღუდავენ მისი არჩევანის თავისუფლებას და, მაშასადამე, შესაძლებლობას. ამასთან, ინდივიდს შეიძლება გაუჩნდეს ახალი მიზნები და პიროვნება ცვლის თავის გეგმებს. ანუ განსხვავებულ სიტუაციურ გარემოში ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ცვლილებები ზე-გავლენას ახდენენ პიროვნების პრეფერენციებზე (ამაზე უფრო დაწვრილებით იხ.[1, გვ. 27-30; 8, 12; 13]) და, მაშასადამე - ქცევა (მოდელი B).

#### მოდელი B



ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანთა ქცევაზე გავლენას ახდენენ ბუნებრივი ხასიათის ფაქტორები, როგორიცაა ბიოლოგიურად და გენეტიკურად განპირობებული და მემკვიდრეობით გადაცემადი მიღრეკილებანი, ადამიანთა სოციალიზაციის პროცესში მიღებული ჩვევები, ჩამოყალიბებული მენტალობა და ათვისებული ქცევების ნორმები და, აგრეთვე, პიროვნების მიმდინარე არსებობისა და მის ირგვლივ შექმნილი ვითარება, რომელიც აყენებს ინდივიდს გარკვეულ ჩარჩოებში და რომლის ფარგლებში მას - ინდივიდს - უწევს გადაწყვეტილებათა მიღაბა და მოქმედება საკუთარი ინტერესების დაქმაყოფილებისათვის (მოდელი C).

#### მოდელი C



მაშასადამე, ინდივიდის ქცევა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ფენო-მენს, არამედ ეს არის სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგი. შემოთავაზებული ინდივიდუალური ქცევის ოთხფაქტორიანი მოდელი ასახავს ინდივიდუალური ეკონომიკური ქცევის ოთხ განმსაზღვრელ, მუდმივ ურთიერთგავლების მომხდელ ელემენტს, კერძოდ, ინდივიდის გენეტიკურად განპირობებულ და მემკვიდრეობით გადაცემად თვისებებს, სიგრცობრივ გარემოს, ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების მანილზე აღზრდა-განათლებისა და სოციალიზაციის პროცესში შეძენილ თვისებებს და, აგრეთვე, მიმდინარე პერიოდში კონკრეტულ სიტუაციურ გარემოს ზეგავლენით განპირობებულ არჩვანით, რომლებიც თავის ერთიანობაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინდივიდთა ქცევაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **არნანია-კეპულაძე თ.,** 2010, ინდივიდუალური უპირატესობათა თეორია: ჰეტეროდოქსია ორთოდოქსიის წინააღმდეგ. ქ. “ეკონომისტი”, №4, გვ. 26-31.
2. **Barker, R.G.,** Ecological Psychology, Stanford, CA: Stanford University Press, 1968.
3. **Hillenbrand Trilby,** 2008, The Relationship between IQ Phenotypic Variance and IQ Heritability as a Function of Environment.
4. **Gneezy Uri, Leonard Kenneth L, List John A.,** 2006, Gender Differences in Competition: The Role of Socialization.
5. **Gneezy Uri, Leonard Kenneth L, List John A.,** 2008, Gender Differences in Competition: Evidence from Matrilineal and aA Patriarchal Society. Working Paper 13727.
6. **Knapper, C., Lerner,S. and Bunting,T.,** 1986, Special Groups and the Environment – An Introduction. Environments, 18(3), 1-5.
7. **Law Mary, Barbara A.Cooper, Susan Strong, Debra Stewart, Patty Rigby,** 1996, The Person-Environment-Occupation Model: A transactive approach to occupational performance, *Revue Canadian D'Ergotherapie*, Volume 63, No1, pp.9-23.
8. **Machina M.,** 1987, Choice Under Uncertainty: Problems Solved and Unsolved // Journal of Economic Perspectives. Vol. 1. P. 121–154.
9. **Michelson, W.,** 1997, From Sun to Sun, Toronto, ON: Roman and Allanheld.
10. **Price Joseph,** 2008, Gender Differences in the Response to Competition. *Industrial & Labor Relations Review*. Volume 61, Issue 3. P. 319-333.
11. **Shalinsky, W.,** Disabled Persons and their Environments. Environments, 1986, 17(1), 1-8.
12. **Simon H.A.,** 1978, Rationality as Process and as Product of Thought // American Economic Review. Vol.68. № 2. P. 1–16.
13. **Tversky A.,** 1991, Rational theory and Constructive choice: a Reference Dependant Model // Quarterly Journal of Economics. Vpl.107.№ 4. P. 1039-1061.
14. **Tierney John,** 2005, What Women Want. New York Times. (Late Edition (East Coast)). New York, N.Y.: May 24, pg. A.21.
15. **Vanberg, V. J.,** 2001, Rational Choice vs. Program-based Behaviour – Alternative Theoretical Approaches and their Relevance for the Study of Institutions. Jena, January 11 – 13.

***Armania-Kepula Ze Tamila***

*Akaki Tsereteli University, Kutaisi, Georgia  
Tomas Bata University in Zlin, Czech Republic*

## **THE INDIVIDUAL BEHAVIOR AND ITS FOUNDATIONS**

### **Summary**

The article discusses the features of an individual behavior foundations.

The contemporary literature defines predominantly genetical-biologically aptitude of human behavior and environmental-based factors of behavior, included physical factors, psychological factors, social factors etc.

The author distinguishes the special factors and temporal factors of environment. The special factors are understood as politic-economic-culture-based differences between societies, organizations, etc. The temporal factors are divided on the two parts: first, individuals formation environment explained as development/movement from past to now or it is the process of individuals upbringing and socialization and, second, situational environment or present time, specific for every moment and influenced individuals decision-making and behavior.

Based on such perceptions, the author introduces individual behavior model where an individual behavior is considered as interdependence of four basic elements: individual's nature-based aptitude, special factors, past period or individuals formation/socialisation process, and situational environment existed in each given moment and impacted person's possibilities to realize own goals and therefore individuals decision-making and behavior.

**გალიდა სესაძე  
სრული პროფესორი,  
მარინა კაპანაძე  
დოქტორანტი,  
დიანა ლაჭვებიანი  
დოქტორანტი**

**პატასტროზების თეორია, რომორც სისტემების მდგრადობის პლანის  
სინერგიული ინსტრუმენტი**

ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეიძლება გამოვყოთ ისეთი ფაქტორების სიმრავლე, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გლობალური კატასტროფა თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგებით. ასეთი კატასტროფების რიგს მიეკუთვნება დემოგრაფიული ავეთქება, ენერგეტიკული, გეონომიკური, ხედლეულის კრიზისები, სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო კრიზისული სიტუაციები, მოსახლეობის ფენებს შორის ცხოვრების დონის განსხვავებულობის გაზრდა, ქვეყნის განვითარებაში მყისიერი ნახტომი და სხვა მოვლენები და პროცესები.

გარევაული ფაქტორების ზემოქმედებისას ზოგადად სისეტემა, მათ შორის ეკონომიკურიც, იმყოფება მდგრად წონასწორულ მდგომარეობაში იმ შემთხვევაში, თუ პოტენციალურ ფუნქციას გააჩნია მკაცრი მინიმუმი. როდესაც მოქმედი ფაქტორები გადააჭარბებენ განსაზღვრულ მნიშვნელობას, სისტემა მდორედ შეიცვლის მდგომარეობას თუ კრიტიკული წერტილი გადაუგვარებელია. დატვირთვის გაზრდისას კრიტიკული წერტილი ხდება გადაგვარებული, გადაგვარებული კრიტიკული წერტილი როგორც სტრუქტურულად არამდგრადი იშლება, ან საერთოდ ქრება. ამ დროს სისტემა ნახტომისებურად გადადის ახალ მდგომარეობაში (მდგრადობის დაკარგვა, დანგრევა, პლასტიკური და ფორმაცია და სხვ.) [1].

განსაკუთრებულობები, ბიფურკაციები, კატასტროფები (ნახტომები) წარმოიქმნებიან ექსტრემულის მოძებნის, ოპტიმიზაციის, მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების ამოცანებში.

შესაძლებელია თუ არა ამ სიტუაციებში გამოყენებულ იქნეს კატასტროფების მათემატიკური აპარატი?

ზოგადად, სისტემის კვლევისათვის, კატასტროფების თეორიაში დამუშავებულია შემდეგი მიღგომა:  $f$  ფუნქცია იშლება ტეილორის მწერივად. განსაზღვრული რაოდენობის მმართველი პარამეტრებისათვის მოითხოვება მწერივის იმ რაოდენობის წევრების მოძებნა, რომლებიც აღექვაბურად ასახავენ სისტემის მდგომარეობას კრიტიკული წერტილების მახობლობაში. გამოთვლების სიზუსტე დამოკიდებულია ტეილორის მწერივების წევრების სწორად უგულებელყოფაში და “უფრო მნიშვნელოვანი” წევრების გათვალისწინებაში. გლუვი ფუნქციისათვის ყველაზე მეტად გაგრცელებული კრიტიკული წერტილების სახეებია: ლოკალური მინიმუმი, მაქსიმუმი და გადაღუნვის წერტილები. ორი და მეტი ცვლადების შემთხვევაში ამოცანა რთულდება გეომეტრიული შესაძლებლობების ფართო დიაპაზონის გამო [1].

კატასტროფების თეორიის ფუნქციების რ. ტომი. კატასტროფების თეორია ჩამოყალიბდა უიტნის გლუვი გარდასახვის განსაკუთრებულობების კვლევისა და პუნქარესა და ანდრონოვის დინამიკური სისტემების ბიფურკაციის თეორიის ბაზაზე. სტატიის მიზანს წარმოადგენს ელემენტალური

კატასტროფების თეორიის ძირითადი დებულებების გადმოცემა და მისი გამოყენება სოციალური, ეკონომიკური სისტემების კვლევაში [2].

დაგუშვათ სისტემა აღიწერება შემდეგი სახის განტოლებათა სისტემით:

$$F_i(X_j, C_\alpha) = 0, \quad 1 \leq i \leq N; \quad 1 \leq j \leq N; \quad 1 \leq \alpha \leq k \quad (1)$$

სადაც:  $C_\alpha$  - პარამეტრია

კატასტროფების თეორია ექრდნობა (1) განტოლების ამონასსნის ხარისხობრივ დამოკიდებულებას  $C_\alpha$  პარამეტრის მნიშვნელობებზე,

(1) განტოლების  $X_j$  ამონასსნი აღწერს სისტემის მდგომარეობას, (1) განტოლება დამოკიდებულია  $C_\alpha$  პარამეტრებზე, რომლებსაც მმართველ პარამეტრებს უწოდებენ. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს გრადიენტული დინამიკური სისტემების მდგომარეობის წონასწორობის განტოლება, რომლებიც შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$F_i(X_j, C_\alpha) = \frac{\partial V(X_j, C_\alpha)}{\partial X_i} = 0 \quad (2)$$

(2) გამოსახულებაში  $V(X_j, C_\alpha)$  ფუნქციას უწოდებენ პოტენციალურ ფუნქციას. კატასტროფების ელემენტარული თეორია წარმოადგენს მეცნიერებას იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება პოტენციალური ფუნქციის წონასწორობის მდგომარეობა  $X_i(C_\alpha)$  მმართველი პარამეტრის ცვლილების დროს.

შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით  $V$  პოტენციალური ფუნქციის ფუნქციონალური თვისებების შესწავლაზე. წერტილებში, რომლებშიც სრულდება პირობა  $V_i = \frac{\partial V}{\partial X_i} = 0$  უწოდებენ კრიტიკულს. იმ შემთხვევაში, როდესაც კრიტიკულ წერტილებში სრულდება პირობა  $\det V_{ij} \neq 0$ ;  $(V_{ij} = \frac{\partial V}{\partial X_i \partial X_j})$ , კრიტიკულ წერტილებს უწოდებენ მორსისებურს, და თუ სრულდება პირობა  $\det V_{ij} = 0$ -მაშინ მათ უწოდებენ არამორსისებურს.

მომავალში, ჩვენ განვიხილავთ ერთი ცვლადის შემთხვევას  $i = 1$  და  $X_1 = X$ . ტომის თეორემის მიხედვით, არსებობს ცვლადების ისეთი მდორე ცვლილება, რომ არამორსის ტიპის კრიტიკული წერტილის მიდამოში  $V$  შეიძლება ჩაიწეროს კანონიკური სახით,  $(C_\alpha = 0)$ .

$$V = X^{k+1} \quad (3)$$

ფუნქციას  $X^{k+1} = CG(1)$  უწოდებენ  $A_k$  ტიპის კატასტროფის ჩანასახს. წარმოადგენს  $X$  არამორსოვისებრ ფუნქციას. მმართველი  $C_\alpha$  პარამეტრების გათვალისწინებით არამორსოვისებრი კრიტიკული წერტილის მიდამოში (3) მიიღებს სახეს:

$$V = \frac{1}{k+1} X^{k+1} + \sum_{\alpha=1}^{k-1} C_\alpha X^\alpha = Cat(1, k). \quad (4)$$

მოხერხებულობის გამო კატასტროფის ჩანასახში გამოვყავით თანამამრავლი  $1/k + 1$ . ფუნქციას  $Cat(1, k)$  უწოდებენ კატასტროფის ფუნქციას, ან უბრალოდ კატასტროფას.

შემდგომში შემოვიფარგლოთ შემთხვევით  $A_3(k = 3)$ , ამ შემთხვევისათვის პოტენციალური ფუნქცია მიიღებს სახეს:

$$V = \frac{1}{4} X^4 + \frac{a}{2} X^2 + bX. \quad (5)$$


მოხერებულობისათვის (5)-ში დაგუშვით, რომ  $C_2 = a/2, C = b$

$A_3$ -ტიპის კატასტროფას უწოდებენ ნაოჭის ტიპის კატასტროფას, რომელიც აღწერილია (5) ფუნქციათა ოჯახით და დამოკიდებულია ორ მმართველ  $a$  და  $b$  პარამეტრზე. ნებისმიერი წერტილი  $(a, b) \in R^2$  სივრციდან, გარდა სეპარატორისის წერტილებისა

$$\left(\frac{a}{3}\right)^3 + \left(\frac{b}{2}\right)^2 = 0 \quad (6)$$

პარამეტრიზაციას უაკეთებს ფუნქციას ერთი ან სამი იზოლირებული კრიტიკული წერტილებით. კრიტიკული წერტილების მდებარეობას ძებნიან შემდეგი კუბური განხტოლების ამოხსნის გზით:

$$\frac{\partial V}{\partial X} = X^3 + aX + b = 0 \quad (7)$$



ნახ.1.  $X$  მდგომარეობის ცვლადის დამოკიდებულება  $a$  და  $b$  მმართველ პარამეტრებზე

(7) განტოლება განსაზღვრავს ორგანზომილებიან მრავალსახეობას, რომელიც განლაგებულია სამგანზომილებიან სივრცეში საკოორდინატო დერძებით  $X - a - b$ . გრაფიკულად წარმოდგენილია ნახ.1-ზე, საიდანაც ჩანს, რომ  $A_3$  პატასტროფას უწოდებენ ნაოჭის კატასტროფას.

გამოვიყვლიოთ  $A_3$  კატასტროფა სტანდარტული კვლევისაგან განსხვავებული წესით. (7)-ში მდგომარეობის ცვლადი შევცვალოთ  $X = b^{1/3}\xi$ , განტოლება დადის შემდეგ სახემდე:


$$\xi^2 + \frac{1}{\xi} = \lambda, \quad \lambda = \frac{a}{b^{2/3}} \quad (8)$$

$(a,b)$  მმართველი პარამეტრების მაგიერ გვექნება  $(\lambda, b)$ , ამასთან  $X$ -ის დამოკიდებულება  $b$ -ზე დაიყვანება მაშტაბის შემცირებაზე  $X = b^{1/3}\xi$ .  $\xi - \lambda - b$ . ახალ ცვლადებში პარამეტრი  $\lambda$  ხდება მნიშვნელოვანი, რომელიც განსაზღვრავს  $\xi$ -ის  $\lambda$ -ზე დამოკიდებულების ხასიათს. (8) განტოლება გვაძლევს უკვე ერთგანზომილებიან მრავალსახოვნებას სიბრტყეზე საკოორდინატო დერძებით  $\xi, \lambda$ .  $\xi(\lambda)$  ფუნქციის გრაფიკი მოცემულია ნახ.2-ზე.

ბიფურგაციის წერტილი  $\lambda = \lambda_b = \sqrt[3]{\frac{27}{4}}$  წარმოადგენს სეპარატრისას, რომელიც ყოფს (7), (8) განტოლების ნამდვილ ფესვებს. როცა  $\lambda < \lambda_b$ , მაშინ ჩვენ გვაქვს ერთი ნამდვილი ფესვი, და როცა  $\lambda > \lambda_b$ -მაშინ სამი ნამდვილი ფესვი. სეპარატრისის განტოლება  $\lambda = \lambda_b$  ადვილად შეგვიძლია დავიყვანოთ (6) სახემდე. (7) განტოლების ფესვების ანალიზური სახე მოცემულია ნაშრომში [2].

$$\text{ბიფურგაციის } \lambda_b \text{ წერტილში} \quad (8) \quad \text{განტოლების } \text{ფესვებია} \quad \xi_1 = -\frac{2}{\sqrt[3]{2}},$$

$$\xi_2 = -\frac{1}{\sqrt[3]{2}}.$$



ნახ. 2. (8) განტოლების  $\xi$  ამონასნის დამოკიდებულება  $\lambda$  პარამეტრზე

ამასთან ამ წერტილში  $X$  მდგომარეობის ცვლადი განიცდის ნახტომს.

$$\Delta X_b = b^{1/3} (\xi_1 - \xi_{2,3}) = -\frac{3}{\sqrt[3]{2}} b^{1/3}. \quad (9)$$

ნახ.2-დან ჩანს, რომ  $\lambda = 0$  კრიტიკული წერტილი და ბიფურქაციის წერტილი  $\lambda_b$  არ ემთხვევიან, როცა  $b \neq 0$ .

ამრიგად, ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარეობს, რომ კატასტროფების თეორიის ობიექტს წარმოადგენს სისტემის ნახტომის ებრი გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, რაც ანალოგიურია სისტემაში მიმდინარე მყისიერი ცვლილებებისა. როდესაც სისტემა ხასიათდება მდგომარეობის მხოლოდ ერთი ცვლადით და მმართველი პარამეტრების რიცხვი ორზე მეტი არ არის, მაშინ ასეთი სისტემა შეიძლება აისახოს ოთხი სტანდარტული კანონიკური ფორმით, რომლებსაც ელგუნტური კატასტროფები ეწოდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ.გუგუშვილი. მართვის სისტემები, მესამე ნაწილი. სინერგეტიკა. სტუ. თბილისი. 690 გ., 2004.
2. ვ.სესაძე, ვ.კეკენაძე, ნ.სესაძე. სინერგეტიკა, არაწრფივი სისტემების სინთეზი. მონოგრაფია, სტუ. თბილისი. 275 გ., 2009.

*Sesadze Valida*  
*Full Professor,*  
*Kapanadze Marina*  
*Doctorant,*  
*Lachkebian i Diana*  
*Doctorant*

## **THEORY OF CATASTROPHES AS A SYNERGETIC INSTRUMENT FOR RESEARCHES OF SYSTEMS' SUSTAINABILITY**

### **Summary**

In this article is discussed the theory of catastrophes, as the synergetic instrument for researches of systems' sustainability. The goal of this article is to represent the main provisions of the theory of elementary catastrophes and using them in researches of social systems and sustainability of economic systems. It is shown that, when the system is characterized by only one state variable and the number of managing parameters is not more than two, such system can be reflected in four standard canonical form, which are called elementary catastrophes.

**ანზორ ქურატაშვილი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

**სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა  
და მისი წინააღმდეგობები**

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობების კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ წინააღმდეგობების დაძლევის გარეშე შეუძლებელია აღნიშნული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსიდან და სპეციფიკური ნიშნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ მას არ ახასიათებდეს შინაგანი, მდიდრებული წინააღმდეგობები.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ჩემ მიერ განიხილება როგორც საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც ერთდროულად ახასიათებს, ერთი მხრივ, წმინდა ეკონომიკური მიმართულება, ანუ მაქსიმალური მოგების მიღებისახევა სწრაფვა, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური ორიენტაცია, ანუ ორიენტაცია ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე.

ამრიგად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური მიმართულება, ანუ ეკონომიკური მიზანი, და ამავე დროს ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსს და მის სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც განაპირობებენ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობას, ჩემი აზრით, წარმოადგენს წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის, რადგან „საბაზრო მეურნეობა, – როგორც პროფესორი რევაზ გოგოხია სამართლიანად აღნიშნავს, – თავისი ბუნებით, არსით არასოციალურია“ [1, გვ. 12].

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს აგრეთვე სხვა წინააღმდეგობი, რომლებიც ამ საბაზრო ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობან გამომდინარეობს შემდეგი წინააღმდეგობები:

– წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციისათვის მისი სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას შორის;

– წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა ეკონომიკურ მიზანსა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციას შორის;

– წინააღმდეგობა მეწარმეთა კერძომესაკუთრულ ეკონომიკურ მიზანსა და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის;

– წინააღმდეგობა უკანონო შემოსავლების მიღების მსურველთა – კორუფციონერთა – წმინდა ეკონომიკურ მიზანსა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის და ა.შ.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები რეალურად არსებობს და ეს წინააღმდეგობები, როგორც უპყვებელი აღინიშნა, გამომდინარეობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო

ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან, რადგან როგორც საერთოდ საბაზრო ეკონომიკის, ისე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მართვაგებელი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, მაგრამ ამასთან ერთად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მისი ფუნქციონირების სოციალური ორიენტაცია, რაც აშკარად წინააღმდეგობაში მოდის ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიზანთან.

მაშასადამე, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკა მაქსიმალური მოგების მიღებას – ეკონომიკურ მიზანს ემსახურება, მაგრამ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი სპეციფიკური ნიშები სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკურ მიზანთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, მისთვის დამახასიათებელია სოციალური ორიენტაცია, რაც იწვევს აღნიშნულ წინააღმდეგობებს.

სწორედ ეკონომიკურ მიზანს ემსახურება თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, რაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინააღმდეგობაში მოდის ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციასთან და ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით მისი სახელმწიფო კონკრეტული რეალიზაციის აუცილებლობასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობებში, ცხადია, მოსალოდნელია გარევეული დადგითი სოციალური შედეგები, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი (ანუ თავისუფალი) საბაზრო ეკონომიკა მაინც ვერ იქნება სოციალურად ორიენტირებული, რადგან საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას აუცილებლად სჭირდება სათანადო სახელმწიფო კონკრეტული რეალიზაციის რეალიზაცია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკურ მიზანს ემსახურება აგრეთვე საწარმოთა ფუნქციონირება, რადგან საწარმოთა მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება, რაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინააღმდეგობაშია მის სოციალურ ორიენტაციასთან.

მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც საერთოდ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისათვის, აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის სათანადო გამოყენება.

ამასთან, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გამოყენებაში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც მართვა-მომსახურის რეგულირება სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენებით (სათანადო კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საშუალებით), ისე ეკონომიკის დეველოპმენტისა და როგორც, ჩემი აზრით, რეგულირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, და რაც, ანუ დერეგულირება უნდა დარეგულირდეს აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებით.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან წინააღმდეგობაშია აგრეთვე მეწარმეთა კერძომესაკუთრული ეკონომიკური მიზანი, რაც სრულიად ბუნებრივია, და რაც გამომდინარეობს უშუალოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან.

სრულიად აშკარაა აგრეთვე უანონო შემოსავლების მსურველთა ეკონომიკური მიზანი, რაც მკვეთრად გამოხატულ წინააღმდეგობაში მოდის საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან.

გარდა აღნიშნული წინააღმდეგობისა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს მთელი რიგი სხვა წინააღმდეგობებიც, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო

ეკონომიკის ძირითად წინააღმდევგობასთან და გამომდინარეობს ამ წინააღმდევბიდან, ანუ გამომდინარეობს წინააღმდევგობიდან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ მრიენტაციას შორის.

საბაზრო ეკონომიკის სოციალური წინააღმდევგობების პრობლემაზე საინტერესო და საფუძვლიანი მეცნიერებული გამოკვლევა აქვს ჩატარებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ლეო ჩიჭავას.

მეცნიერებულ ნაშრომში: „საბაზრო ეკონომიკა: სოციალური წინააღმდევგობების პრობლემა“, პროფესორი ლეო ჩიჭავა აღნიშნავს, რომ „ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, მუდმივად გრძელდება მდიექტურ წინააღმდევგობას: საბაზრო ეკონომიკა დამყარებულია უპირველეს ყოვლისა პირადი ინტერესის „პროგოცირებასა“ და დაქმაყოფილებაზე, ხოლო საზოგადოებას, მოსახლეობას გააჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთო ინტერესები, ეკონომიკური და სოციალური საზოგადოებრივი მოთხოვნილებები“ [2, გვ. 60-61].

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ზემოაღნიშნული ნაშრომი ეძღვნება არ უშუალოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდევგობებს, არამედ საბაზრო ეკონომიკის სოციალური წინააღმდევგობების პრობლემის კვლევას, მაგრამ თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია სოციალური ორიენტაცია, რაც ამავე დროს არ გამორიცხავს როგორც საერთოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი, ისე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდევგობების არსებობას.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ციტატა პროფესორ ლეო ჩიჭავას ნაშრომიდან და მასში ასახული წინააღმდევგობა პირად ინტერესსა და საზოგადოების საერთო ინტერესებს შორის, პირად მოთხოვნილებებსა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს შორის, რაც ნამდვილად დამახასიათებელია თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, ჩემი აზრით, შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდევგობა, რაც დაკავშირებულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდევგობასთან – წინააღმდევგობასთან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ, ჩემი აზრით, სოციალურად არაორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდევგობები დაკავშირებულია ძირითადად სხვადასხვა მესაკუთრებების ეკონომიკურ ინტერესებთან – დაკავშირებულია სხვადასხვა მესაკუთრებების სწრაფვასთან რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებისაკენ, რაც თავისთვის დამახასიათებელი წინააღმდევგობაში მოდის ამავე დროს ხალხის ინტერესებთან, ანუ ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან.

ხოლო რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, აქაც არსებობს წინააღმდევგობები სხვადასხვა მესაკუთრეთა ეკონომიკურ ინტერესებს შორის, მაგრამ, როგორც უმაღ აღინიშნა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდევგობას წარმოადგენს წინააღმდევგობა ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

სწორედ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდევგობიდან გამომდინარეობს ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ყველა

ლა სხვა წინააღმდეგობა, რომელთა გადაჭრა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
2. ჩიკავა ლ. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Журнал: "Общество и экономика", 1998, № 1.

**Kuratashvili Anzor**  
Academic Doctor of Economics

### SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY AND ITS CONTRADICTIONS

#### Summary

In scientific work are considered the contradictions of socially oriented market economy the solution of which is necessary condition of effective functioning of this market economy system.

**გასილ ხიზანიშვილი**

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ  
მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში

**სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობა**

თანასწორობა სოციალური ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. თანასწორობის იდეა შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს როგორც თანაბარი ღირსების მქონე აბსტრაქტული იდეალის გავრცელების მცდელობა საზოგადოებრივი თანაცხოვრების სხვადასხვა სფეროში.<sup>1</sup>

საზოგადოდ, თანასწორობის იდეა და საზრისი მდგრმარეობს ფასეულობათა თანასწორობაში შემდეგი კითხვით: „რატომ თანასწორობა?“. თანასწორობა თამაშობს მთავარ როლს სამართლიანობის თეორიაში და წარმოადგენს მისი კონცეფციის ფუნდამენტურ მიზანს.<sup>2</sup> თანასწორობის პრინციპს გააჩნია ცენტრალური მნიშვნელობა სამართლიანობის თეორიისათვის. ის გაიგება არა როგორც უბრალოდ ალოკაციის\* ან დისტრიბუციის პრინციპი, არამედ როგორც ადამიანებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება.<sup>3</sup>

სოციალური თანასწორობა არის პოლიტიკური თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური ცნება, რომელიც აღნიშნავს ადამიანთა თანაბარ ხელმისაწვდომობას სოციალური თავისუფლების, უფლებისა და კეთილდღეობის (სიკეთის) მიმართ.<sup>4</sup> სოციალური თანასწორობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეკონომიკური სისტემის უცხო დანამატი. მეტიც, არსებითად ის არის სოციალური საბაზრო ეკონომიკის ინტეგრალური კომპონენტი.

თანასწორობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: 1) კეთილდღეობის თანასწორობა; 2) შესაძლებლობათა თანასწორობა; 3) რესურსების თანასწორობა;

შესაძლებლობათა და რესურსების თანასწორობა განსაზღვრავს და განაპირობებს კეთილდღეობის თანასწორობას. მატერიალური და არამატერიალური აქტივების თანასწორობა საბაზრო ეკონომიკაში სასტარტო პირობების გათანაბრჯბასა და სასტარტო პირობების დეგალიზებაში თანაბარი პერსპექტივისათვის. მეორე კითხვაზე კი პასუხს სცემს თავად კეთილდღეობის თეორიის მთელი ისტორია, რაც წარმოადგენს ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებულ კერძო და საზოგადო სიკეთის მორიგების მცდელობას.<sup>5</sup>

ეკონომიკურ თანასწორობას გააჩნია ორი ფუნდამენტური კითხვა: 1) თანასწორობა რისი? და 2) თანასწორობა ვის შორის? პირველის პასუხი მდგომარეობს შედეგის თანასწორობაში, უპირატესობის დაშვების გათანაბრჯბასა და სასტარტო პირობების დეგალიზებაში თანაბარი პერსპექტივისათვის. მეორე კითხვაზე კი პასუხს სცემს თავად კეთილდღეობის თეორიის მთელი ისტორია, რაც წარმოადგენს ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებულ კერძო და საზოგადო სიკეთის მორიგების მცდელობას.<sup>5</sup>

<sup>1</sup> <http://www.term.e.ru>.

<sup>2</sup> <http://www.plato.stanford.edu>.

\* ალოკაცია [ფრანგ. allocation] ასიგნება, გაცემა (ფულისა), ფრანგულ ქართული ლექსიკონი ტმ. I, თბ. 1963 წელი, გვ. 52.

<sup>3</sup> Kipnis, K., Meyers, D.T., Economic justice: private rights and public responsibilities, Totowa, 1988, P. 104.

<sup>4</sup> <http://www.filpedia.ru>.

<sup>5</sup> <http://www.economuch.com>

თანასწორობის საკითხის უკეთ გარკვევაში გვეხმარება უთანასწორობის პრობლემის ანალიზი. უთანასწორობა, რაშიც ყველა მისი მკვლევარი თანხმდება, განისაზღვრება იმით, რომ ერთი სოციალური ჯგუფი საზოგადოებაში იძნის განსაკუთრებულ პოზიციას, რაც მას საშუალებას აძლევს თავისი თავის სასარგებლოდ მოახდინოს საზოგადოებრივი სიმდიდრის დიდი ნაწილის არაპროპორციულად გადანაწილება.<sup>6</sup>

უთანასწორობის პრობლემის განსილვისას შესაძლოა გამოვყოთ რამოდენიმე არგუმენტი მისი შემცირებისა და შესაბამისად საზოგადოებაში შემოსავლების გადანაწილების სასარგებლოდ.

ეკონომიკური კეთილდღეობის პოზიციიდან უთანასწორობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს სოციალურ თანასწორობასა და საზოგადოებრივ კუთილდღეობას შორის არსებული შესაძლო ურთიერთკავშირი. საზოგადოებრივი კუთილდღეობის ფუნქციის განსაზღვრულ ვარაუდებოთა სრული თანასწორობის პირობებში ის აღწევს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს. ამიტომ შემოსავლების გადანაწილებით გამოწვეული უთანასწორობის ნებისმიერი შემცირება იწვევს საზოგადოებრივი კუთილდღეობის ზრდას. განსხვავებული მოსაზრების მიხედვით კუთილდღეობის ამაღლებამ შესაძლებელია მოითხოვოს შემოსავლების უთანასწორობაც.

მეორე არგუმენტი საზოგადოებაში შემოსავლების გადანაწილების სასარგებლოდ ატარებს მაკროეკონომიკურ ხასიათს – ეს არის სოციალური უთანასწორობის დონესა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის არსებული გარკვეული ურთიერთკავშირი. არსებითად, ეს არგუმენტი წინააღმდეგობრივია და გამოიყენება გადანაწილების პროცესის როგორც მომხსრე, ისე მოწინააღმდეგებ მხარის მიერ. ერთის მხრივ, რაც უფრო ნაკლებად ინტენსიურ ხასიათს ატარებენ გადანაწილების პროცესები, მით უფრო ძლიერია ინდივიდების სტიმულირება მწარმოებლური შრომის მიმართ, რაც კლინიდება მათ მიერ რეალური შემოსავლების მიღების შესაძლებლობებში. ამ აზრით, უთანასწორობა – ეს არის ფასი, რომელიც იძულებით გადაიხდება საზოგადოების მიერ ეფექტიანი ეკონომიკური სისტემისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდისათვის. თუმცა, უთანასწორობის საქმაოდ მაღალი დონე ქვეყანაში იწვევს პირიქით – ეკონომიკური ზრდის შემცირებას (ეკონომიკური განვითარება დასაწყისში იწვევს უთანასწორობის გადიდებას, ხოლო შემდეგ მის შემცირებას ანუ უთანასწორობის ზრდასთან ერთად ხდება ეკონომიკური ზრდის ტემპის მომატება მხოლოდ გარკვეულ დონემდე, საიდანაც უთანასწორობის შემდგომი ზრდის კვალიდაკვალ ეკონომიკური ზრდის ტემპები მცირდება). ამიტომ მიზანშეწონილია, რომ თანასწორობის რეგულირება წარმოებდეს გადანაწილების პოლიტიკის გატარებით და არ მოხდეს მისი საქმაოდ მაღალი დონის დაშვება.

ვიდრე გავანალიზებთ ეკონომიკურ ზრდასა და უთანასწორობას შორის დამოკიდებულებას, აუცილებელია განვმარტოთ, თუ რა ფორმით იზომება თავად უთანასწორობა. მის ინდიკატორად გამოიყენება საერთო შემოსავლის განაწილება ინდივიდებს შორის ეკონომიკაში. თვალსაზრის წარმოდგენას ეკონომიკაში უთანასწორობის თაობაზე იძლევა ლორენცოს მრუდი, რომელიც გვიჩვენებს შემოსავლების თუ რა წილი მოდის მოსახლეობის შესაბამის ნაწილზე.<sup>7</sup>

შესამე მიზანი დაკავშირებულია უთანასწორობის უფრო მეტად მგაფიო გამოვლინებასთან – სიდარიბის პრობლემასთან. სოციალური სამართლიანობის პრინციპებისა და საყოველთაოდ მიღებული ნორმების თანახმად, დემოკრატი-

<sup>6</sup> <http://www.globalaffairs.ru>

<sup>7</sup> <http://www.finansy.ru>

უდ სახელმწიფო სიღარიბის მოცულობის შემცირება წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად მიზანს, რომლის რეალიზაციაც ხორციელდება შემოსავლების გადანაწილების პოლიტიკის დახმარებით. შემოსავლების გადანაწილების მექანიზმები სხვადასხვაგვარია და ამა თუ იმ მექანიზმის გამოყენება დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული სოციალური უთანასწორობის დონეზე, მის სტრუქტურაზე, მიზანებზე, უთანასწორობის შემცირების მიზნის სპეციფიკასა და პოლიტიკის ამოცანებზე. ამიტომ, შემოსავლების გადანაწილების როგორი ამოცანის გარევევამდე, მიზანშეწონილია უთანასწორობის სპეციფიკის, მისი თავისებურებებისა და შეფასების კრიტერიუმების დადგენა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების პროცესი უშეალიოდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ უთანასწორობასთან. უთანასწორობის მადალი დონე, როგორც წესი, ასოცირდება სიღარიბის მაღალ დონესთან, ეკონომიკური ზრდის დაბალ ტემპებთან და პოლიტიკურ არასტაბილურობასთან, რაც საფრთხის წინაშე აყენებს ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნის პროცესებს. შესაბამისად, იმისათვის, რომ განხორციელდეს ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ეკონომიკური ზრდის დაქარებისა და სიღარიბის შემცირებისაკენ, აუცილებელია დეტალური წარმოდგენის ქონა ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ უთანასწორობის მოცულობაზე, უთანასწორობის პროფილსა და დეტერმინანტებზე, ისევე როგორც უთანასწორობაში არსებულ დროებით ცვლილებებზე.<sup>8</sup>

ეკონომიკური უთანასწორობა ანუ „განსხვავება სიმდიდრესა და შემოსავლებში“ მოიცავს ეკონომიკური აქტივებისა და შემოსავლების ყველა სხვაობას განაწილების სფეროში. იგი ერთნაირად ეხება როგორც ცალკეულ ადამიანებს და ადამიანთა ჯგუფებს საზოგადოების შიგნით, ისე ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. ეკონომიკური უთანასწორობის ასპექტი ძირითადად დაკავშირებულია საბოლოო შედეგების თანასწორობასთან და მიეკუთვნება შესაძლებლობათა თანასწორობის იდეას. საზოგადოებაში არსებობს ეკონომიკური უთანასწორობის მრავალი მიზანი. ეს მიზანები ხშირადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკური უთანასწორობის უმთავრესი მიზანთაგანია შრომის ფასის განსაზღვრა ბაზარზე. ასევე, პრეცენტურიათა განსხვავებულობა საზოგადოებაში ხშირად უწყობს ხელს ეკონომიკური უთანასწორობის წარმოქმნას.<sup>9</sup>

გაძლიერებული სოციალური და ეკონომიკური დიფერენციაცია უარყოფითად ზემოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის სახალხო მუურნეობრივ პოტენციალზე, კერძოდ კი მრეწველობის, პირველ რიგში მის მაღალტექნოლოგიურ და მთლიანად მეცნიერებატევადი დარგების განვითარებაზე. მზარდი და გაძლიერებული უთანასწორობა, ეს არის თანამედროვე მსოფლიო ტენდენცია გლობალიზაციის პირობებში.

ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებისათვის მსოფლიოში განიხილება შესაძლო მიმართულებები, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე მათგანი. ესენია: შრომის ანაზღაურების დონის ზრდა მუშაკის კვალიფიკაციის ხარისხის (დონის) გათვალისწინებით, რაც ნიშნავს განათლების ფაქტორის წინ წამოწევას მაღალკალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდების ზრდისათვის და შესაბამისად, დიფერენციალით წარმოქმნილი უთანასწორობის შემცირებას შემოსავლებში; საშემოსავლი გადასახადის განაკვეთის ცვლილება ანუ მისი პროგრესული ფორმის შემოღება, სადაც მდიდრები იხდიან გადასახადის მეტოდების ვიდრე დარიბები, რაც იწვევს შემოსავლების ჯამის შემცირებას; მი-

<sup>8</sup> <http://www.eerc.ru>

<sup>9</sup> <http://www.en.wikipedia.org>

ნიმალური სახელფასო ზღვარის დაწესება, რაც პირდაპირ აისახება დარიბთა შემოსავლების ზრდაზე<sup>10</sup>

მთლიანობაში, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, მშრომელთა აქტიურობის გაძლიერება, პროფესიული მოძრაობების ორგანიზაცია, გადასახადების გადახდაზე კონტროლის დაწესება, სახელმწიფოს დოზირებული ჩარევა ბაზარზე და ა.შ., შეიძლება მივიჩნიოთ იმ ფაქტორებად, რომლებიც ამცირებენ ეკონომიკური უთანასწორობის რისკს საზოგადოებაში.

სოციალური უთანასწორობა წარმოადგენს საზოგადოების ცხოვრების ფენომენს, რომელიც მუდმივად და უშუალოდ კვლავწარმოებადია ცხოვრების სოციალურ სფეროში. ხოლო ეკონომიკური უთანასწორობის ცნება განისაზღვრება როგორც ინდივიდებს შორის არსებული უთანასწორობა მატერიალური სიკეთის კვლავწარმოების პროცესში, გაცვლაში, განაწილებასა და მოხმარებაში მათი როლისა და მონაწილეობის მიხედვით.<sup>11</sup>

სოციალური უთანასწორობა მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ უთანასწორობასთან, რაც ხასიათდება საზოგადოების დეფიციტური რესურსების – ფულის, ძალაუფლების, განათლებისა და პრესტიჟის არათანაბარი განაწილებით მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის, რომელიც ნათლად გვიჩვენებს მკვეთრ დიფერენციაციას სოციალურ სტრატიფიკაციასთან მიმართებაში.<sup>12</sup>

***Khizanishvili Vasil  
PhD in Economics***

## **SOCIAL-ECONOMIC EQUALITY**

### **Summary**

Equality is one of the most important concept of social philosophy. Social equality means equal accessibility of people towards the social liberties, the rights and prosperity. Equality as economical categories can be separate in three parts: 1. Equality of prosperity; 2. Equality of opportunities; 3. Equality of resources.

The tendency of the modern world is characterized by growing social-economic inequality which is characterized by a deficit of social public resources – money, power, education and prestige with unequal distribution among the different social classes of people which shows a distinct differentiation towards the social stratification.

<sup>10</sup> <http://www.en.wikipedia.org>

<sup>11</sup> <http://www.coe.int.ru>

<sup>12</sup> <http://www.refport.ru>

Berulava George  
D.Sc. (Econ), Professor  
P. Gugushvili Institute of Economics,  
I. Javakhishvili Tbilisi State University

## RELATIONSHIP ORIENTATION: THE CONSTRUCT AND RESEARCH PROPOSITIONS

*The purpose of the research paper is to explain the causes of the failure and success of business firms in creating and maintaining lasting relationships. For this reason relationship orientation construct is proposed. The construct reflects firm's core capabilities in creating and maintaining successful relationships with partners. To fully understand this construct the factors influencing relationship orientation and its outcomes are defined. Research propositions on the relations between proposed construct and its antecedents and consequences are suggested.*

**Keywords:** relationship orientation, trust, commitment, adaptation, organizational culture, capabilities

### **1. Introduction**

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილების ზონალური სურათი ძირითადი დარგების მიხედვით მსხვილ მასშტაბებში შემდეგნაირად წარმოგვიდგება: მეცნიერების დარგის (მისი სასაქონლო პროდუქციის მოხედვით) 76,8%, მხოლოდ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის I ზონაზე მოდის, 20,3% – II, IV და VIII ზონებზე, დანარჩენ ზონებს ამ მხრივ მეტად უმნიშვნელო ხევდრითი წონა უკავია. მეხილეობის 70,0% IV ზონაზე მოდის, 9,8% – I ზონაზე, 7,4% II-ზე, 5% – VII ზონაზე, 3,5% - V-ზე, დანარჩენ ზონებზე (თითქმის კველა დანარჩენ ზონაზე) ამ დარგის უმნიშვნელო ხევდროთი წონა მოდის. მეხაიერების 60,2% – XI ზონაზე, 20,5% – X ზონაზე მოდის. ეს დარგი წარმოდგენილია აგრეთვე XII (6,2%) და XIII (12%) ზონებშიც. ციტრუსების 46,7% მოდის XI ზონაზე, 31,5% – XIII, 21,7% – X ზონაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ცალკეულ ზონებს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. წარმოების სტრუქტურის ინტენსიფიკაციის დონის, სოფლის მეურნეობის ცალკეული დრგის გაძლიერდის სისტემის განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით, ეს თავისებურებები გამომდინარეობს ზონალური სპეციალიზაციის საერთო ნიშნებიდან და მოთხოვნებიდან. სავსებით შეესაბამება ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების რაციონალური გამოყენების ამოცანებს და ადასტურებს ამა თუ იმ ზონის სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე მაპროფილებელი ძირითადი დარგების და მასთან უპირატესი სხვა დარგების შეწონასწორებული განვითარების საერთო ტენდენციის სისტორეს. მომავალში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ზონალური სპეციალიზაციის სრულყოფა სწორედ ამ პირობებისა და ნიშნების შემდგომი სრულყოფისა და განვითარების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის საკითხები სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს შორის სწორი პროპორციების დადგნის პრობლემის ნაწილია. იგი უშუალოდ დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრასთან, შრომითი რესურსებისა და მიწის ფონდების სოფლის მეურნეობის მწარმოებლური ძალის უფრო რაციონალურად გამოყენებასთან. ის მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის, რაციონალური ორგანიზაციისა და ეკონომიკის საკითხებს როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ისე ცალკეული ეკონომიკური რეგიონის, რაიონის, თითოეული კონკრეტული საწარმოს მიხედვით.

გაადგილებისა და სპეციალიზაციის ამოცანას შეადგენს სოფლის მეურნეობის დარგებისა და პირუტყვის სახეობათა ისეთი ტერიტორიულ-გეოგრაფიული დანაწილება, რომ მიღწეული იქნას ამ სხვადასხვაგვარი ბუნებრივი პირობების მაღალებულებითიანად გამოყენება და სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლება, პროდუქციის ერთეულზე რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯების პირობებში.

ბუნებრივ პირობათა შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწის, როგორც სოფლის მეურნეობრივი წარმოების ძირითადი და ამასთან შეუცვლელი საშუალების ნაყოფიერად გამოყენებას.

სოფლის მეურნეობის გაადგილება და სპეციალიზაცია ერთი და იგივე პროცესის, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ორი სხვადასხვა მხარეა.

სოფლის მეურნეობის გაადგილება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოების სივრცობრივი (ტერიტორიული) გაადგილებაა (ადმინისტრაციული რაიონის, მხარის, და ქვეყნის მასშტაბით), რომელიც ხორციელდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე, ამა თუ იმ სახის პროდუქტებზე საერთო სახელმწიფოებრივი მოთხოვნილების და მისი წარმოების კონკრეტულ-ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების შესაბამისად.

გაადგილება წარმოადგენს რაოდენობრივ მხარეს და პასუხობს კითხვას – მოცემულ რეგიონში, მეურნეობაში რა სახისა და რა რაოდენობის პროდუქცია უნდა იქნას წარმოებული. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი გაადგილება ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათალისწინებით მიწის, წარმოების საშუალებებისა და შრომის მაღალ ტექნიკურად გამოყენების საშუალებას იძლევა.

ერთგვაროვანი პროდუქტების თაგმოყრა მეურნეობრივად დამოუკიდებელ საწარმოებში ქმნის პირობებს თითოეულ ამ საწარმოს შიგნით სამუშაო ადგილების მიხედვით შრომის დანაწილებისათვის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სპეციალიზაციის გაფართოებას.

სპეციალიზაცია მჭიდრო კავშირში იმყოფება საზოგადოებრივი შრომის დანაწილების სხვა ფორმებთან – საწარმოს შიგნით შრომის დანაწილებასა და შრომის ტერიტორიულ მოწყობასთან. წარმოების სპეციალიზაცია განპირობებულია საწარმოო ძალების განვითარების დონით და წარმოადგენს მისი შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს. ძირითადად განასხვავებენ სპეციალიზაციის სამ ტიპს: საგნობრივს, დეტალურსა და ტექნოლოგიურს. სხვადასხვა შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს სპეციალიზაციის გადრმავების განსხვავებული შესაძლებლობანი. სპეციალიზაცია წარმოების განვითარების, პროდუქციის თვითდირებულების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სპეციალიზირებულ მეურნეობაში ინერგება დარგებისა და კულტურების ყოველმხრივ გამართლებული შეთანაწყობა, რაც გაცილებით უფრო წარმოების ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია ასახავს თვისობრივ მხარეს და პასუხობს კითხვაზე, რომელი მთავარი დარგები უნდა განვითარდეს. ის ითვალისწინებს, ერთი მხრივ, საჟუკეოსო დარგების შერჩევას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოების ტექნოლოგიური პროცესებით, მეორე მხრივ, გულისხმობის შეფარდებების (პროპრციების) დაგენას შერეულ დარგებს შორის.

საქართველოში სამთო მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით ჩამოყალიბებულია ცხრა ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ეკონომიკური მხარე (რეგიონი), რომლებიც ქმნიან ერთიან სამეურნეო სისტემას.

ქვეყნის ბუნებრივი კლიმატური პირობები მრავალი კულტურის წარმოების საშუალებას იძლევა. ეს სულაც არ ნიშანავს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის პირობებში ვაწარმოოთ ყველა კულტურა. დარგების მრავალრიცხოვნობას მიეკუთვნით მის დაქუცმაცებამდე. ეს კი ამცირებს წარმოების კონცენტრაციის დონეს, რაც უარყოფითად მოქმედებს მეურნეობრიობის ეფექტიანობაზე. გონიერული სპეციალიზაციის მნიშვნელობა მდგრმარეობს იმაში, რომ იგი ქმნის წარმოების მთავარი ფაქტორის – მიწის, შრომის, კაპიტალური დაბანდებების, ძირითადი აქტივების ეფექტიანი გამოყენების, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის პირობას, აგრეთვე ხელს უწყობს წარმოების ინტენსიურ ტექნოლოგიებზე გადასვლას.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის დონე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი როგორც ქვეყნის მასშტაბით მთლიანად და რეგიონების მიხედვითაც, რეგორმადე მიღებულ სპეციალიზაციის დონესთან შედარებით დაბალია. მისი მიხეზია ის, რომ ბოლო პერიოდში მთავარი ყურადღება მიექცა მარცვლეულის, კარტოფილისა და მეცხველეობის პროდუქტების ანუ პირველადი საჭიროების პროდუქტების წარმოებას, ქვეყნის სოფლის მეურნეობის მაღალი სასაქონლო, მაპროფილებელი პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ხილი, ყურძენი, თამბაქო)

წარმოება კი კატასტროფულად შემცირდა გასაღების პაზრების დაკარგვისა და გადამამუშავებელი ბაზის სრული მოშლის გამო. ამის გარდა, ახალი სამხარეო რეგიონური მოწყობის პირობებში, ერთ რეგიონში მოხვდა მთისა და ბარის რაიონები, რომელთაც მკვეთრად განსხვავებული საწარმო სპეციალიზაციის მიმართულებები გააჩნიათ. მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთი; რაჭა-ლეჩეუმი და ქვემო სვანეთი; მცხეთა მთიანეთი; სამცხე-ჯავახეთი. სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემებით, დღეს მათი (მთისა და ბარის) გამოცალკევება შეუძლებელი გახდა.

კვლევის შედეგად დავრწმუნდით, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონალური სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონის ამაღლების საკითხებზე არ წარმოებს სათანადო მუშაობა. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა დამატებაში დანერგოს სოფლის მეურნეობის რაციონალური სპეციალიზაციის, გაადგილებისა და მეურნეობის გაძლოლის სისტემის შესახებ რეკომენდაციები. მეცნიერული რეკომენდაციებისა და ნორმატივების პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა გამომდინარეობდეს მათ ტიპიურობაში, ვინაიდან ისინი უნდა შეესაბამებოდნენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გარკვეულ საწარმოო ტიპებს. მათი წლიური და პერსპექტიული გეგმები და ღონისძიებების უნდა ეყრდნობოდეს ისეთ რეკომენდაციებს, რომლებიც წარმოადგენს რა ტიპიურს, საჭიროებენ შემდგომ კონკრეტიზაციას ადგილებზე, თითოეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

საჭიროა მეურნეობის თითოეული საწარმოო ტიპის მიხედვით შეირჩეს ტიპიური საწარმო, რომელიც ძირითადი ნიშნებით ყველაზე მეტად ემსგავსება ტიპში შემავალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ერთობლიობას და მის მაგალითზე დამუშავდეს ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმები. შესაბამისი საპროექტო, სამეცნიერო დაწესებულებების, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებისა და თვით მეურნეობათა ხელმძღვანელების მიერ შედეგნილი ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმა იქნება ერთგვარი ტიპიური პროექტი, რომელიც შეიცავს ნორმატიულ მასალებს, მეურნეობის საკვანძო საკითხების ტიპიურ გადაწყვეტას, სხვადასხვა მაჩვნებლებს, რისი გამოყენებაც შეიძლება ანალოგიური სამუშაოს ჩატარებისას მოცემულ საწარმოო ტიპში შემავალ სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. აღნიშნული ტიპიური საწარმოს მაგალითზე დამუშავებული ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმა კონკრეტულ პირობებში მოიცავს მეურნეობის გაძლოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის კველა კლემენტებს. იგი მნიშვნელოვნად გაადგილებს ანალოგიური სამუშაოს შესრულებას საწარმოთა ტიპში გაერთიანებულ სხვა მეურნეობებში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, კაპიტალური დაბანდებების და ა.შ. პერსპექტიულ დაგეგმვას, მეურნეობისადმი დიფერენცირებული სელმძღვანელობის განხორციელებას.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თავისებურებანი მეტაკლები ზომით ართულებენ წარმოების რაციონალურ გაადგილებას, სპეციალიზაციის გაღრმავებას, კონცენტრაციის გაძლიერებას და მიგვანიშნებენ მათი გულდასმით გათვალისწინების საჭიროებაზე, ამ პრობლემათა დრმა მეცნიერულ დონეზე დამუშავებისა და გადაწყვეტის აუცილებლობაზე.

აგრარულ-სამრეწველო ინტეგრირების მომავალი პერსპექტივები მოითხოვენ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური სპეცილიზაციის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხების გონივრულ გადაწყვეტას.

„უნივერსალიზმი“, რომელიც ჯერ კიდევ შემოგვრჩა, წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გზაზე. მიუხედავად დღემდე ჩატარებული დიდი სამუშაოებისა, საქართველოს სოფლის

მეურნეობის გაადგილების, სპეციალიზაციისა და მეურნეობის გაძლოლის სისტემების შემუშავების პრობლემა არაა გადაწყვეტილი. საჭიროა რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიხედვით ადგილობრივ-ეკონომიკური პირობების ყოველმხრივი გათვალისწინება. ამასთან, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ცალკეული კულტურებისა და დარგების შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით შეფასებას და სოფლის მეურნეობის გაძლოლის სისტემის ცალკეული ელემენტების დასაბუთებას.

ახლა უკვე აღარ ქმარა ის, რომ სწორად განვსაზღვროთ და გავაანალიზოთ სპეციალიზაციის ფაქტიური დონე, მასზე მოქმედი ფაქტორების გაფლენის შედეგები. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდი შესაძლებლობები, სწრაფი ტემპები და დარგთაშორისი კავშირების განვითარების ტენდენციები აუცილებლად მოითხოვს წინასწარ განისაზღვროს და მეცნიერულად დასაბუთდეს არა მარტო უახლოეს, არამედ შორეულ პერსპექტივაშიც სპეციალიზაციის მიმართულება, კონცენტრაციის დონე და მათ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებები. საყოველთაოდ ადიარებულია, რომ როგორიც არ უნდა იყოს კულტურებისა და დარგების შეფარდება ზონაში, რაიონსა ან ცალკეულ მეურნეობაში, შემდგომიგო მოითხოვს გაუმჯობესებას. ერთხელ დადგენილი სპეციალიზაცია და კულტურებისა და დარგების შეთანაწყობა იცვლება დროის, ადგილისა და პორტების მიხედვით.

გეგმაზომიერად უნდა განხორციელდეს დარგების გაადგილება და საწარმოთა სპეციალიზაცია, მოქმედო მათ შორის სწორი კავშირულთიერობა. ამ შესაძლებლობათა სინამდვილედ გადაქცევისათვის საჭიროა წარმოებაზე მოქმედ ფაქტორთა დეტალურად შესწავლა, რაც საფუძვლად დაედება სწორი ორიგინრებას საწარმოთა მეურნეობრივი პროფილის ჩამოყალიბებაში. ამისათვის სათანადოდ უნდა გავითვალისწინოთ სპეციალიზაციის განმსაზღვრელი ეკონომიკური და ბუნებრივი ფაქტორები, კერძოდ, როგორიცაა სახალხო მეურნეობრივი ინტერესები, თითოეული დარგისა და კულტურის ეკონომიკური ეფექტურობა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაღალაყოფიერი გამოყენების უზრუნველყოფა. სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს ცალკეულ რეგიონებში, რაიონებში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში განვავითაროთ ისეთი დარგები და კულტურები, რომლებიც მხოლოდ თვალსაჩინო ეკონომიკურ ეფექტს იძლევიან, მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას, მისი სპეციალიზაციისა და დარგთა რაციონალური შეთანაწყობის საქმეს.

ეკონომიკურად გაუმართლებელი დარგებისა და კულტურების დასაღვენად საჭიროა დაგეურდნოთ არა ერთი, არამედ რამდენიმე წლის მონაცემებს. თუ რომელიმე დარგი ან კულტურა სისტემატურად ზარალიანია და ხელს უშლის მოცემული მეურნეობის გაფართოებული კელავწარმოების გზით განვითარებას, მაშინ ის წარმოებიდან უნდა იქნეს ამოღებული. სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად სწორად უნდა შეიიჩეს მიწები სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. ამა თუ იმ კულტურის გაშენება კი არ უნდა ხდებოდეს ზოგიერთი ხელმძღვანელის უბრალო ნება-სურვილის მიხედვით, არამედ უნდა ემყარებოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ შესაძლებლობებს, სწორად უნდა დადგინდეს სხვადასხვა დარგისა და კულტურების გავრცელების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების ხელსაყრელობის ეპიცენტრები. მეურნეობაში არსებული დამატებითი და დამხმარე დარგები ორგანულად (ტექნოლოგიურად) დაკავშირებულნი უნდა იყენებ ძირითად დარგებთან, ავსებდნენ მათ, უზრუნველყოფდნენ მეურნეობის რაციონალური სტრუქტურის შექმნას და წარმოადგენდნენ მეურნეობის აუცილებელ ელემენტს. ისინი ხელს უნდა უწყობდნენ

ძირითადი დარგების განვითარებას, უზრუნველყოფნების მიწების მთლიანად ათვისებას, იძლეოდნენ დამატებით პროდუქციას და გარეგულ როლს ასრულებდნენ საწარმოთა რენტაბილობაში. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად გზად მიჩნეულ უნდა იქნეს დანაკვთულ პირობებში მიმოფანტული პატარ-პატარა მიწის ნაკვეთების რაც შეიძლება გამსხვილება, დაბლობებში არსებული საგარეულების მასივებად გაერთიანება. სარევლიანი, ბუჩქნარ-ჯაგნარებით დაფარული წვრილ-წვრილი ნაკვეთების გაწმენდა და გაერთიანება, რომელიც მოგვცემს ნათესებისა და ნარგავების გაფართოების დიდ შესაძლებლობას, გაადვილებს ტექნიკის გამოყენებას და აამაღლებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას.

უნდა გადაისინჯოს კულტურათა და დარგთა გაადგილებისა და დაგეგმვის სისწორე არა მარტო რეგულირების რეგიონებისა და რაიონების, არამედ თითოეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიხედვითაც. საჭიროა აღმოიფხვრას კულტურათა და დარგთა ხელოვნური დაქსაქსულობა და განისაზღვროს თითოეული რაიონის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სწორი საწარმოო მიმართულება. ჯერ რეგიონების, ხოლო შემდეგ რაიონებისა და ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიხედვით უნდა განვსაზღვროთ წარმოების ძირითადი მიმართულებები, დავაზუსტოთ, რა სახეობის პროდუქცია უნდა აწარმოოს რაიონმა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო. ამოცნა იმაში მდგომარეობს, რომ შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ოფიციალური სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მონაწილეობით უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვალისწინებული პროგრამა, ასევე აგრარულ სამრეწველო ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებანი და პარამეტრები, მისი განხორციელების ვადები და ეტაპები.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ღლონტი თ. ილია ჭავჭავაძე და სოფლის მეურნეობა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1988.
2. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი I, თბ., 1930, გვ. 298.
3. იქვე. გვ. 290-293.
4. ეცხოველი ნ., კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ. 1957, გვ. 4-5.
5. პაპუნიძე ვ., საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბ. 1970.
6. ქავთარაძე თ., აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო, „მეცნიერება“, თბ. 2003.

*kavtaradze Tengiz*  
Academic Doctor of Economics,  
*Kavtaradze Mzia*  
Professor

## **GLOBALIZATION AND PROBLEMS OF SPECIALIZATION OF GEORGIA'S AGRICULTURE**

### **Summary**

In this work there is studied the problems of specialization of agriculture under globalization, reviewed the stages of specialization development; defined indicator of specialization, according to the scale of a country as well as of regions. This is still more low level until reform than being to specialization. Its reason is that in the last period basic attention concentrated to grain, potato and livestock products or output of primarily needs products. Outlining the levels of agricultural specialization and concentrations levels increasing appropriate activities.

**აკაკი პავლიაშვილი**  
ქ. გორის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**სოფლის მეურნეობის კაპიტალის ურთიერთობაზე გადასცლის  
თავისებურებაზე საჩართველოში**

ცნობილია, რომ სამეურნეო რეფორმის გატარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას საქართველოში, ამ მხრივ აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებში დაწყებული პროგრესული ცვლილებები.

საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურმა თავისებურებამ, მდიდარმა მეურნეობრივმა ტრადიციამ, განაპირობა მრავალწახნაგოვანი სასოფლო-სამეურნეო დარგების აღორძინება და ახალ-ახალი კულტურების წარმოების შესაძლებლობა. ცალკეული რეგიონები და სოფლები შესაბამისი პირობებიდან გამომდინარე სკეციალდებიან ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო დარგისა და კულტურული ჯიშობრივი შედგენილობის სრულყოფა-გამრავლებაში. ამიტომ მოსახლეობა ირჩევს პრიორიტეტული კულტურების წარმოების ზრდისადმი მისწრაფების გზას, რომელსაც ბაზარი კარნახობს. სწორედ ეკვლა ზემოაღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა ტრადიციული დარგების კიდევ უფრო გაფართოება-სრულყოფა შესაბამისი აგრობოტანიკური არეების მიხედვით. კერძოდ, აღმოსაფლეთ საქართველოს გარდამავალ სასოფლო-სამეურნეო ზოლში მარცვლეულის, ბოსტნეულისა და ხილის ინტენსიური წარმოების დამკვიდრება, მეცხოველეობის დარგის აღმაშენება.

სასოფლო-სამეურნეო დარგთა კაპიტალისტურ ურთიერთობაზე გადასცლას, ბუნებრივია, თან სდევდა შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების დანერგვა-განვითარება. ბევრ შემთხვევაში ძველი, ტრადიციული ცოდნა-გამოცდილება ვეღარ აქმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და დღის წესრიგში დგება როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი ხასიათის ეკოლუციური განვითარება-გარდაქმნა. ამდენად, აქტიურად იწყება ორ-სამ მინდროვანი სისტემიდან მრავალმინდროვან და მაღალთესლდრუნვაზე გადასცლის პროცესი, რომელიც პირველად ფეხს იკიდებს შედარებით მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ფართობებში. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, უმჯობესდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა მეურნეობის წარმოების წესებიც, მაღლდებოდა მათი ტექნიკური აღჭრულების დონე, სადაც ფართოდ იკიდებს ფეხს ქარხნული წესით დამზადებული იარაღ-მოწყობილობა. XX საუკუნის დამდეგს სოფლის მეურნეობაში გამოჩნდა ტრაქტორი და სხვ.

მიუხედავად ამ და სხვა არსებითი ხასიათის გარემოებისა, განსაკუთრებით XIX ს 80-იანი წლებიდან, მკვეთრად ვითარდება გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების დანერგვა, ჩნდება ახალი – ე.წ. „კრმერციული“ ჟულტურები, ფართოვდება ტრადიციული დარგების, განსაკუთრებით მემცნიარეობის არიალი, მეტ-ნაკლებად უმჯობესდობად მუცხოვანებისა და სხვ.

სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება თავის გამოხატულებას პოულობს დარგთა სპეციალიზაციაში. ამ მხრივ რეფორმის შემდგომ აერიოდში უწინარესად იწყებს გაფართოებას მარცვლეულის, ვენახის, ხეხილის, თამბაქოს, სუბტროპიკული კულტურების ფართობები. მეცხოველეობის დარგებიდან მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მეღორეობა და მეაბრეშუმეობა. აღნიშნული დარგები ვითარდება ქვეყნის შესაბამის კლიმატურ-ბუნებრივ გარემოში, სადაც განსაკუთრებულ ადგილს იქვერს სპეციალური და ტექნიკური კულტურები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პრესკეტიულ განვითარებაზე თავის დროზე თომორიული დასაბუთება მისცა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც 1895წ.

წერდა: „სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა კურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარი საზეოო, სამდებრო, საფოიაქო მცენარეობისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორიც მაგალითად პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა. პურს, თუ უწინ, როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ახლა მისი მოვანა ჩვენთვის, როცა ამისთანა სწრაფი გზებია, როგორც რკინის გზა და ზღვისა, როცა შესაძლოა თითქმის ორი კვირის განმავლობაში თუნდა ამერიკიდან მოვიტანოთ ჩვენი სამყოფი პური, – რუსეთს აღარ ვიტყვი, – უფრო იაფად და უფრო კარგიც, ნუთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი პავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდესაც ჩვენის ქვენის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით“. [1, გვ. 216]

სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ უკელაზე დიდი ადგილი ეპავა მარცვლეულის წარმოებას, რომელიც რეფორმის შემდგომ პერიოდში მისი ფართობი ძირითადად სათიბ-სამოვრებისა და ტყის გაკაფვის ხარჯზე იზრდებოდა. სათეს კულტურებს შორის აღმოსავლეთ საქართველოში წამყვანი ადგილი ეკავა სორბალსა და ქერს, მეტნაკლებად სიმინდს, შვრიას, ჭვავს, ფეტვს, ლობიოს, ბრინჯს. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ უკელაზე დიდი ადგილი ეკავა სიმინდის წარმოებას, სადაც ლობიოც იყო დაოქსილი, პური და ქერი შედარებით ფართოდ იწარმოებოდა რაჭა-ლეჩხეუშში, სვანეთსა და ზემო იმერეთში. ასე რომ, 1874 წლის მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოში ყველა სახის მარცვლეულის მოსავალი 11 მილიონ, ხოლო დასავლეთ საქართველოში 14 მილიონ ფუთამდე აღწევდა [2, გვ. 380].

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის ნათესების ფართობი საქართველოში 600-700 ათას დასეტინას აღწევდა. 1892 წლს მარცვლეულის მოსავალმა შეადგინა 40 მილიონი ფუთი, აქედან პური იყო 14, სიმინდი – 16, ქერი 5 მილიონი ფუთი. აღსანიშნავია, რომ ზემოადნი მნიშვნელობის ნაწილი საზღვარგარეთაც კი გადიოდა – უმეტესად დასავლეთ ევროპაში. 1896 წლის მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ბაზარზე გაიტანა 2,2 მილიონი ფუთი მარცვალი, სულ კი ისინი ყოველწლიურად ბაზრებს აწვდიდნენ 3-4 მილიონ ფუთ მარცვლეულს, რაც მთელი წარმოებული პროდუქციის 15-20 პროცენტს შეადგენდა. ამ მხრივ უფრო მეტი სავაჭრო ხასიათი მიიღო მარცვლეულის მეურნეობამ, კერძოდ კი მესმინდეობამ. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში წარმოებული პროდუქციის – სიმინდის მნიშვნელოვანი ნაწილი მთის მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გადიოდა. ასე მაგალითად, 1862 წლს ქვენის გარე ბაზრებზე გატანილი იქნა 1 მილიონ ფუთზე მეტი. XX საუკუნის 80-იან წლებში კი მარტო დასავლეთ საქართველოდან დასავლეთ ევროპის ქვეუნებში სისტემატიურად გადიოდა 5-6 მილიონი ფუთი სიმინდი, რაც მთელი წარმოებული პროდუქციის 30-35 პროცენტს შეადგენდა. ამ მხრივ საქმარისია აღინიშნოს, რომ მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან უცხოეთის ბაზრებზე გატანილი იქნა სიმინდი მილიონ ფუთობით: 1884 წ – 1.8, 1886 წ – 5.7, 1889 წ – 6.2, 1892 წ – 6.5, 1895 წ – 5.4. მართალია, შემდგომ სიმინდის ექსპორტის მოცულობა თანდათანობით შემცირდა და პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში თითქმის სულ შეწყდა, მაგრამ თავის დროისათვის ამ საექსპორტო ოპერაციებმა დიდი გავლენა მოახდინა საერთოდ სოფლის მეურნეობასა და ცხოვრებაზე, რამდენადაც ის დაუკავშირა მსოფლიო ბაზრებს და აიძულა, ბოლოს შეაჩვია კიდეც ანგარიში გაეწია მის მოთხოვნილებათათვის.

ზემოაღნიშნული გარემოების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა აგრეთვე დასავლეთ ეკონომიკის ამერიკული პროდუქციის შეტანა და რუსული ხორბლის კონკურენცია შიდა ბაზარზე, რომელთაც მნიშვნელოვნად შეაფერხეს მარცვლეულის წარმოება მთლიანად საქართველოში და, ბუნებრივია, ამ დარგში კაპიტალისტური მეურნეობების გაფართოება-აღმოცენების პროცესიც. ამავე პერიოდში დიდი გარდატეხა იწყება მევენახეობა-მედგინეობაში, სადაც მიუხედავად მდიდარი ტრადიციებისა, მოსახლეობის მნიშვნელოვნანა ნაწილმა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა XIX საუკუნეში, როდესაც გლეხეცის ნამოღვაწარს ხელივები გაეხსნა გარე ბაზარზე გასატანად.

ცნობილია, რომ საქართველო მევენახეობისა და საერთოდ მრავალწლიან ნარგავთა კლასიკურ ქვეყნადაა აღიარებული. ამ შესანიშნავ კულტურას საქართველოს მოსახლეობისათვის მარტო ეკონომიკური მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, არამედ იგი წარმოადგენდა მის სულიერ და ზნეობრივ საზრდოსაც. სწორედ ამიტომ მისცა მას უმაღლესი შეფასება ილია ჭავჭავაძემ, რომელიც 1886 წ წერდა: „გენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხენვება და მეცადინეობა. ამიტომაც ჩვენებურ გლეხეცის ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ“.

დიდი ილიასივე ხიტყვებით ვენახი ნაყოფია „დიდი ხნის ჯაფისა და შრომისა, იგია თავნი, ხელ-ნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრისა და თოთქმის უტყვი ისტორია მთელს ოჯახის ეკონომიკურ ყოფაცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვაწისა... იგი შევსარის ვენახს, ჯერ როგორც თავისთავად ძვირად დირებულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნაშრომ-ნაღვაწის სახსოვარს და ნაშთსა“. ამიტომ, დიდი ილია იყო რა ყველაზე მძაფრი კრიტიკოსი თბილისის გუბერნიაში ბატონიუმობის გაუქმების შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შედგენილი პროექტისა, სადაც ერთ-ერთი პუნქტი ვენახების მემამულეთა ხელში გადასვლას ეხებოდა, წერდა: „ეს ყველაზე საშინელი და თვითნებური კანონია.... ყოვლად შეუძლებელია მიღწევა იმისა, რომ გლეხმა დასთმოს თავისი ბადი. ის უწინარეს სიცოცხლეს დასთმობს, ვინებ ბადს, რომელშიც ჩაუმარხავს მთელი თავისი შეძლება, თავისი დრო, თავისი შრომა, თავისი უკანასკნელი კაპიტა... ამ კანონის გატარება გამოიწვევს ბატონიური მონობისაგან განსათავისუფლებელი ხალხის საშინელ მდელვარებას“.

მართალია, საქართველოს ცალკეულ პერიოდებში მევენახეობის დარგი განიცდიდა დაქვეითება-განადგურებას (გამუდმებული ომები, თარეში და შიდა აშლილობა) და დვინო ძვირადდირებული ხდებოდა, მაგრამ მისი აღორძინება უმოკლეს დროში ხერხდებოდა. ამიტომ იყო, რომ ქართველი მეურნე, რომელიც დამოკიდებული იყო ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ბუნების მოვლენებზე და სხვ, ყოველთვის ცდილობდა დვინის წლობით შენახვას, რაზეც მიგვანიშნებს სამაისოდ ერთობ მდიდარი საღვინე ჭურჭლის მრავალსახეობა და მოცულობა, საკულტო დანიშნულებისათვის მარაგი და სხვ.

მართალია, პირველ ხანებში მეფის მთავრობა უჭივის თვალით უკურებდა ამ დარგის სამრეწველო განვითარების პერსპექტივას, მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობების საერთო აღმავლობაში მევენახეობა-მედგინეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა. ასე რომ, XIX საუკუნის შუახანებისათვის აღილობრივი ჯიშის ყურძნისაგან დამზადებულმა დვინოებმა სათანადო აღიარება პპოვა, მაგრამ როდესაც მეფის ნაცვალის – გორონცოვის მითითებით იწყება ეპროპული ჯიშების შემოტანა, რასაც მოპყვა სხვადასხვა დაავადებების გავრცელება, ადგილობრივი ვაზი დაავადდა და ერთხანს მნიშვნელოვნადაც შემ

ცირდა მისი ფართობები და ბუნებრივია, ღვინის წარმოებაც. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით საბედისწერო აღმოჩნდა გურია-სამეგრელოს მეგრია-ხეობის ზონებისათვის, სადაც დიდად დაზარალდა ოჯალებისა და ჩხავერის უნიკალური ჯიშები და რომელთა ადგილი, სამწევაროდ, დაიკავა ერთობ მდარე ხარისხის იზაბელას ჯიშმა.

რაც შექებროდა კახეთის მევენახეობა-მედვინეობის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონს, აქაც გავრცელდა სხვადასხვა დაავადებები, მაგრამ ძირითადად მაინც შენარჩუნებული იქნა მისთვის დამახასიათებელი ძირძველი ჯიშები და ღვინის კახურად დაყენების წესებიც. ამგვარად, XIX საუკუნის 80-90-იანი წლებისათვის მევენახეობა-მედვინეობის საქონლიანობამ 55-60%-ს მიაღწია ნაცვლად რევორმამდელი პერიოდისა, როდესაც იგი 30-40%-ს არ აღემატებოდა. აღსანიშნავია, რომ 1894 წლის არაზუსტი მონაცემებით ბაზარზე გავიდა: დასავლეთ საქართველოდან 2362, შიდა ქართლიდან 660, თბილის-ბორჩალოს ბაზრებიდან – 590 ათასი, კახეთიდან 1 500 000 ვედრო ღვინო. მარტო რუსეთში 1883-1893 წწ უოველწლიურად საქართველოდან გადიოდა 400-500 ათასი ვედრო ღვინო [3, გვ. 56].

ადსანიშნავია, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში, კერძოდ, XIX ს. 70-იან წლებში, მევენახეობა-მედვინეობის მნიშვნელოვანი აღმავლობა შეინიშნება ქართლის რეგიონშიც. ამავე პერიოდიდან თანდათან გამოკვეთილი ხდება მებოსტნეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობის, მეჩაიეობისა და სხვათა ადგილი საქართველოს ეკონომიკაში, როგორც სასაქონლო წარმოების დარგებისა.

ცნობილია, რომ XVIII საქართველოში მეურნეობის გაბატონებულ ფორმას ნატურ-გაცვლა წარმოადგენდა, რომლის გეერდითაც არსებობდა აგრეთვე საქართველო-საბაზრო წარმოების პრაქტიკაც. რამდენადაც აღნიშნული პერიოდისათვის ვაჭრობის განვითარების საგანს ძირითადად წარმოადგენდა: პური, ღვინო, ენდორო, აბრეშუმი, ხილი, რძის ნაწარმი, ტყავი, მატყელი და სხვ. XVIII ს. II ნახევრიდან, როდესაც შეიქმნა შედარებით ხელსაყრელი პირობები მსხვილი მიწათმფლობელური მეურნეობების ჩამოსაყალიბებლად, სადაც მნიშვნელოვანი ფართობები ბაზ-ვენახებს ეთმობოდა, ბუნებრივია იგი გამოწვეული იყო ამ პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნილებით.

XVIII-XIX სს მიჯნაზე მეტნაკლებად სავაჭრო ხასიათს იღებს მეხილეობაც, რომლის ძირითად მწარმოებლად გვევლინება გორისა და ახალციხის მაზრები.

მეხილეობის სავაჭრო ურთიერთობაში გააქტიურებაზე მიგვანიშნებს XIX-ის 90-იანი წლების მონაცემები, როდესაც მარტო გორის მაზრაში მისმა საშუალო წლიურმა მოსავალმა 70 ათასი ფუთი შეადგინა. აქედან გარე ბაზარზე გადიოდა 20-22 ათასი მანეთის პროდუქტი. ამავე პერიოდისათვის გორის მაზრაში (1897 წ) 995 ღესებინა ხეხილის ბაზი აღირიცხა. ამავე საუკუნის 60-იანი წლებისთვის ინტენსიურად მიმდინარეობს ევროპული ჯიშების შემოტანა და ადგილობრივთან შერწყმა. აღნიშნულ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს: ი. ფურცელაძემ, კ. ერისთავგამა, ბ. კეცხოველმა, ს. ხეთაგურმა, მმებმა ფრიდონოვებმა, გ. თაქთაქიშვილმა და სხვ. [4, გვ. 138].

ხილის სამრეწველო დანიშნულებით წარმოებაზე მიგვითითებს რკინიგზის ტვირთბრუნვის მასალები, კერძოდ, 1884 წ მონაცემები, როდესაც მარტო დას. საქართველოს სადგურებიდან გატანილი იქნა 42 700 ფუთი ნედლი და გამხმარი ხილი, 1890 წ კი 242 364 ფუთი, ხოლო სოხუმიდან რუსეთის ბაზრებზე: 1875 წ ხურმა (გამხმარი) 2708, 1876 წ 1131 ფუთი ვაშლი, 1875 წ – 6762, 1876 წ – 3010, ატამი – 1875 წ – 2000, 1876 წ – 804 ფუთი კაკალი, 1875 წ –

4408, 1976 წ – 10022 ფუთი, სულ 1882 წ ამავე სადგურიდან გატანილი იქნა გაშლი 2387 ფუთი. ატამი – 1180 და კაპალი – 1145 ფუთი [5, გვ. 29].

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის საქართველოში ხილის ბადებს ეკავა 11-12 ათას დესეტინამდე, ბოსტნეულს – 10 ათასი და ეს ორივე დარგი ერთად იძლეოდა 5 მილიონი მანეთის შემოსავალს, საიდანაც ბაზარზე გადიოდა დაახლოებით 3 მილიონი მანეთის ხილ-ბოსტნეული.

ამავე პერიოდიდან დიდი ცვლილებები შეინიშნებოდა მეცხოველეობის განვითარების მიმართულებითაც. თუ აქმდე იგი მაღალი დონით გამოირჩეოდა მხოლოდ თანხეთის, დუშეთის, ბორჩალოს, სიღნაღის, ახალქალაქის მაზრები, აგრეთვე მთა რაჭა, სვანეთის, აფხაზეთი და აჭარის მესაქონლეობის რაიონები, სადაც შესაბამისი სასამოვრო მეურნეობები არსებობდა, ამიერიდან მეტნაკლები გამოცოცხლება დაეტყო მთისწინა და ბარის ზონების მეცხოველეობასაც. მართალია მეცხოველეობის პროდუქციის ძირითადი მომსმარებელი შიდა ბაზარი იყო და მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი გადიოდა მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მასზე იმდენად გაზრდილ მოთხოვნილებას პქონდა ადგილი, რომ ბევრჯერ საამისოდ მისი წარმოება ახალ-ახალ ზონებში მიმდინარეობდა.

ამგვარად, თუ მოკლედ შევაჯამებთ კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვა-განვითარების თავისებურებას რეფორმის შემდგომ საქართველოში, კერძოდ სოფლის მეურნეობაში, იგი საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობდა, რაც გამოიხატა სავაჭრო მიწათმოქმედების განუხერელ ზრდასა და დარგთა სპეციალიზაციის გამოკვეთაში. ამიერიდან, როგორც წესი, საქართველოს მთიანი ზონის რაიონები ბაზრებს ამარაგებდა მესაქონლეობის პროდუქტებით. კახეთი ძირითადად დვინით და აბრეშუმით, გურია – სამეგრელო სიმინდით და მეფრინველეობის პროდუქტებით. აფხაზეთი თამბაქოთი, სიმინდით და ა.შ. რომლითაც სულ მალე შეემატათ აქამდე ნაკლებად ან საერთოდ უცნობი სასოფლო სამეურნეო დარგების წარმოება და უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა მათგანმა საქართველოს სახით მეორე სამშობლო ჰქონდა.

სავაჭრო მიწათმოქმედების ამ ახალ ეპოქაში შემოსულ კულტურათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გავრცელება ჰქონდა თამბაქომ. თუ XIX ს. პირველ ნახევარში იგი უფრო გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში, მან ამავე საუკუნის შემცირებული უფრადდება მიიპყრო აღმოსავლეთ საქართველოშიც. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის რუსეთი თამბაქოს შემოსატანად საქმართველო დიდ დონით თანხას იხდიდა და როდესაც დარწმუნდა, რომ მისი წარმოება საქართველოში იყო შესაძლებელი, ხელი შეუწყო მის განვითარებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ჭავჭავაძე ი, თხზულებანი, სრული კრებული, ტ. IV-VIII, თბ., 1955.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970.
- საქართველოს სახალხო მეურნეობა (1921-1967), პ. გეგეშიძის რედაქტორით, 1967.
- დ. პავლიაშვილი, საქართველოს მეხილეობის მოკლე ისტორია, ტ. 1, 1969.
- დ. პავლიაშვილი, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების ისტორია საქართველოში, 1998.

*Pavliashvili Akaki  
Associated Professor of Gori University*

**PECULIARITIES OF CONVERSION OF AGRICULTURE TO CAPITALIST  
RELATIONS**

**Summary**

Against the background of the explicit data, the work “Peculiarities of Conversion of Agriculture to Capitalist Relations” reveals progressive changes that took place in agriculture of Georgia in the second part of XVIII and in XIX century, caused as a result of gradual invasion of capitalist relations.

## სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზები

**მარინა მუხრაშვილი  
თხუ ასოცირებული პროფესორი**

### სოციალური სფეროს დარგების დაზიანების პროგნოზები საქართველოში

საქართველოში 2003 წლის შემდგომი პერიოდი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება. შედარებისათვის, 1996 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მაჩვენებელი ნომინალურ გამოსახულებაში 771 მილიონ ლარს შეადგენდა, 2000 წელს – 834, 2003 წელს – 1207,1, 2004 წელს – 1930,2, 2005 წელს – 2618,6, 2006 წელს – 3822,5 მილიონ ლარს. 2008 წლის ხარჯები 1996 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 8,8-ჯერ გაიზარდა. 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებმა 6 754,1, 2010 წელს – 6972,3, 2011 წელს – 7459,3 მილიონი ლარი. 2012 წლის გეგმის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განსაზღვრულია 7940,4 მილიონი ლარის ოდენობით, რაც 2003 წლის ფაქტიურ მაჩვენებელს 6,6-ჯერ აღემატება. თუმცა, მოსალოდნელია, რომ საარჩევნო პერიოდში მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებების დაფინანსების ზრდის მაღალი ალბათობის გათვალისწინებით 2012 წლის ასიგნებების წლიური სიდიდე კიდევ უფრო გაიზრდება.

2003-2012 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების უპრეცენდენტო ზრდა შესაძლებელი გახდა რიგი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, რომელთაგან აღსანიშნავია: ბიუჯეტის შემოსულობების მნიშვნელოვანი ზრდა (შ.შ. ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის შედეგად), ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროს შეზღუდვა, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, გადასახადების აპრეფის ადმინისტრირების გაუმჯობესება და ასევე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტებისა და გრანტების ზრდა. 2008 -2011 წლებში შემოსავლებისა და შესაბამისად, ხარჯების ზრდის მნიშვნელოვანი დამატებითი წყარო გახდა ეკრობლიგაციების გამოშვება და საერთაშორისო ბაზრებზე მათი რეალიზაცია. ამის შედეგად, საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. კერძოდ, 1996 წელს სახელმწიფო დანახარჯების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 16,6, 2004 წელს – 19,6, 2005 წელს – 22,6, 2006 წელს – 27,7, 2007 წელს – 30,6, 2008 წელს – 33,8, 2009 წელს -37.7% იყო. 2010 წლიდან ეს პარამეტრიც თანდათან მცირდება. კერძოდ, 2010 წელი მან 33,5, 2011 წელი 31,3% შეადგინა. 2012 წელს გათვალისწინებულია 30.0%.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების (ასიგნებების) ფუნქციონალურ სტრუქტურაშიც 1997-2012 წლებში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილებებს. კერძოდ, სოციალური სფეროს დარგების (განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის) წილი მთლიან ხარჯებში (2008 წლიდან კი მთლიან ასიგნებებში) 1997 წლის 33,7%-დან 2008 წელს 27.4%-მდე შემცირდა, თუმცა, 2012 წლის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია მისი ზრდა- მთლიანი ასიგნებების 32.1%-მდე; ამის საპირისპიროდ ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების სფეროების წილი მთლიან ხარჯებში. კერძოდ, 2008 წელს ამ სფეროების დაფინანსებაზე მოდიოდა ასიგნებების 38%. თუმცა, 2009 წლიდან ადგილი აქვს შემცირების ტენდენციას და 2012 წლის გეგმის

მიხედვით ეს მაჩვენებელი მთლიანი ასიგნებების დაახლოებით 20 %-ს შეადგენს.

განვიხილოთ სოციალური სფეროს დარგების დაფინანსება 2008-2012 წლებში.

საქართველოში 2008 წელს **მთლიანად სოციალური სფეროს (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა)** დაფინანსებას მოხმარდა 1 851,3 მილიონი ლარი (მთლიანი ასიგნებების 27,4%), 2009 წელს - 2 040,8 (30,2%), 2010 წელის 2 197,3 (31,5%), 2011 წელს - 2 440,1 მილიონი ლარი (33,2%), 2012 წლის გეგმის მიხედვით - 2550,3 მილიონი ლარი (32,1%), რაც მშპ-ის 9,6%-ს შეადგენს. მთლიანად ამ სფეროს დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2010 წლის ფაქტიური მდგომარეობით 488 ლარს შეადგენდა, ხოლო 2012 წლის გეგმით გათვალისწინებული - 566 ლარს.

სოციალური სფეროს თითოეული დარგის დაფინანსების დონეს 2008-2012 წლებში გვიხისიათებს ქვემოთ მოტანილი მონაცემები.

2008 წლის მონაცემებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან **განათლების სფეროს** დაფინანსებისათვის გამოიყო 419,2 მილიონი ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 6,2%, 2009 წელს - 459,6 (6,8%), 2010 წელს 504 (7,2%), 2011 წელ - 550 მილიონი ლარი (7,5%), 2012 წლის გეგმით - 460 მილიონი ლარი, რაც ასიგნებების 5,8% და 1,7%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქმედების საშუალო მაჩვენებელზე დაახლოებით 2,5-ჯერ დაბალია.

2008 წლიდან ეტაპობრივად იზრდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **ჯანდაცვის სფეროზე** გამოყოფილი ასიგნებების მოცულობები. თუმცა მისი წილი მთლიან ასიგნებებში 2008 წლიდან 2010-წლამდე გაიზარდა, 2011-2012 წლებში კი შემცირდა. კერძოდ, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სფეროს დაფინანსების მიზნით გამოიყო 286 მილიონი ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 4,2% და მშპ-ის 1,5%. 2009 წელს - 331,6 (შესაბამისად 4,9 % და 1,9 %), 2010 წელს - 415, (6% და 2%), 2011 წელი-384 მილიონი ლარი (5,1% და 1,8%). 2012 წლის დედმით - 397 მილიონი ლარი (5% და 2%).

სოციალური დაცვის მუხლზე 2008 წელს მოდიოდა 1 146 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 17% და მშპ-ს 6%, ხოლო 2011 წელს - 1 445 მილიონი ლარი, (19,1% და 6,1%). 2012 წლის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 1 537 მილიონი ლარი, ასიგნებების 19,4%, მშპ-ს 5,8%. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში სოციალური სფეროს ასიგნებების მოცულობის 34 %-ობრივი მიუხედავად, ამ მუხლის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 0,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

შედარებისათვის, სასომხეთში სოციალური სფეროს დარგების დანახარჯების წილი მთლიან ხარჯებში 2010 წლის მონაცემების მიხედვით მშპ-ის დაახლოებით 11%-ს შეადგენდა. მ.შ. განათლების- მშპ-ის 3,3%-ს, ჯანდაცვის-მშპ 1,9%-ს, ხოლო სოციალური დაცვის - მშპ-ის 5,7%-ს. მაშასადამე, სოციალური სფეროს დარგების დაფინანსების დონე ამ ქვეყანაში საქართველოს შესაბამის მაჩვენებელზე მაღალია.

საქართველოში სოციალური სფეროს დარგების დაფინანსების არსებული სიტუაციის რეალური შეფასების მიზნით საინტერესოა განვიხილოთ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების **ჯანდაცვაზე** გაწეული ხარჯების მშპ-თან შეფარდებისა და ერთ სულ მოსახლეზე გაწეული დანახარჯების (აშშ დოლარებში- მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით) მაჩვენებლები 2008 წლის მდგომარეობის მიხედვით:

1. ავსტრალია - შესაბამისად 8,7% და 3 445 აშშ დოლარი,
2. ავსტრია - 11% და 4 289;
3. ბელგია - 10,9% და 3 946,
4. განადა - 11,4% და

4 363, 5. ჩილე – 8,4% და 1 186, 6. ჩეხეთის რესპუბლიკა – 2% და 2 108; 7. დანია – 1,5% და 4 348; 8. ესტონეთი – 7,0% და 1 393 (მაშინ, როდესაც 2000 წლის მონაცემები შესაბამისად 5,3% და 522 აშშ დოლარს შეაღგენდა), 9. ფინეთი – 9,2% და 3 226, 10. საფრანგეთი – 11,8% და 3 978, 11. გერმანია – 11,6% და 4 218, 12. საბერძნეთი – 9,5% და 2 724, 13. უნგრეთი – 7,4 და 1 511 14. ისლანდია – 9,7% და 3 538, 15. ირლანდია – 9,5% და 3 781, 16. ისრაელი – 7,9 და 2 165, 17. იტალია – 9,5% და 3 137, 18. იაპონია – 8,5% და 2 878; 19. კორეა – 6,9% და 1 879,20. ლუქსემბურგი – 7,8% და 4 808, 21. ექსიკა – 6,4% და 918, 22. იდერლანდები – 12% და 4 914, 23. ახალი ზელანდია – 10,3% და 2983; 24. ორვეგია – 9,6% და 5 352; 25. პოლონეთი – 7,4% და 1 394 (2000 წლის მონაცემებით – 5,5% და 583), 26. ორტუგალია – 10,1% და 2 508, 27. სლოვაკეთის რესპუბლიკა – 9,1% და 2 084 (2000 წლი – 5,5% და 604); 28. შლოვენია – 9,3% და 2 579 (2000 წლი – 8,3% და 1 453); 29. ესანეთი – 9,5% და 3 067, 30. შვედეთი – 10% და 3 722, 31. შვეიცარია – 1,4% და 5 144, 32. თურქეთი – 6,1% და 902, 33. გაერთიანებული სამეფო – 9,8% და 3 487, 34. აშშ – 17,4% და 7 960. აღსანიშნავია, რომ კრიზისამდე პერიოდში აშშ-ის საბიუჯეტო ხარჯებში მხოლოდ სოციალურ დაცვაზე, მედიქესა და და მედიქედზე (ძირითად ჯანდაცვის პროგრამებზე) მთლიანი ხარჯების 41,4% და ქვეყნის მშპ-ის 8,5% მოდიოდა. აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით 2017 წლისათვის გათვალისწინებულია ზემოთადნი შენული ხარჯების წილის მთლიან დანახარჯებში დაახლოებით 57 %-მდე გაზრდა, რის შედეგად ის მშპ-ს მოცულობაში დაახლოებით 11%-ს მიაღწევს (ამ დონის მიღწევა გათვალისწინებულია ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაციის, ძირითადად, თავდაცვის ხარჯების შემცირების გზით).

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების მიერ განათლებაზე გაწეული დანახარჯების (სახელმწიფო პლიუს კერძო) შეფარდება მშპ-თან 2008 წლის მიხედვით ასე გამოიყენება: 1. აგსტრალია – შესაბამისად 3,7% და 1,4%; 2. აგსტრია – 5,2% და 0,2%; 3. ბელგია – 6,3% და 0,3%; 4. კანადა – 4,6% და 1,4%; 5. ჩილე – 4,3% და 12,7%; 6. ჩეხეთის რესპუბლიკა – 3,9% და 0,6%; 7. დანია – 6,5% და 0,6%; 8. ესტონეთი – 5,5% და 0,2%; 9. ფინეთი – 5,7% და 0,1; 10. საფრანგეთი -5,5% და 0,5%; 11. გერმანია – 4,1% და 0,7%; 13. უნგრეთი-4,8%; 14. სლონდია – 7,2% და 0,7%; 15. ირლანდია – 5,2% და 0,3%; 16. იზრაელი – 5,9% და 1,4%; 17. იტალია – 4,5 და 0,3%; 18. იაპონია – 3,3% და 1,7%; 19. ორეა – 4,7% და 12,8%; 20. უქსექტურგი – 2,8% და 0,1%; 21. ექსიკა – 4,7% და 1,1%; 22. იდერლანდები – 14,8% და 0,8%; 23. ახალი ზელანდია – 5,4% და 1,2%; 24. ნორვეგია-7,3%; 25. პოლონეთი – 5,0% და 0,7%; 26. ორტუგალია – 4,7% და 0,5%; 27. სლოვაკეთის რესპუბლიკა-3,5% და 0,6%; 28. სლოვენია-4,8% და 0,6%; 29. ესანეთი-4,5% და 0,6%; 30. შვედეთი – 6,1% და 0,2%; 31. შვეიცარია – 15,3%; 33. გაერთიანებული სამეფო – 5,1% და 0,6%; 34. აშშ – 5,1% და 2,1%. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების საშუალო-შესაბამისად სახელმწიფო 5% და კერძო-0,9%. რუსეთის ფედერაცია-შესაბამისად-4,1% და 0,7%. ამ ქვეყნებში მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე ეროვნული შემოსავალი საშუალოდ 24 ათას დოლარს (მიმდინარე ფასებში მსყიდველობითო უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით), დასაქმების საშუალო მაჩვენებელი-შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის 67 %-ს, უმუშევრობის დონე კი- 7%-ს შეადგენდა. ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების მიხედვით სოციალურ სფეროზე გაწეული დანახარჯების წილი საშუალოდ ამ ქვეყნების მშპ-ის 21%-ს აღწევდა. მათ შორის ასაქობრივ პენსიაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-ის დაახლოებით 7%-ს შეადგენდა. ჯანდაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან

საშუალოდ იხარჯებოდა მშპ-ის 6,4%, (ხოლო ამ სფეროზე გაწეული მთლიანი ხარჯების წილი -სახელმწიფო ხარჯებს დამატებული აკრძო სექტორის დანახარჯები- მშპ-ში 9%-ს აღწევდა).

უფრო დეტალურად სოციალური სფეროს დაფინანსების მაჩვენებლები განვითარებული ქვეყნების მიხედვით 2008 წლის მონაცემებით ასე გამოიყერჩდოდა: ავსტრალია - მშპ-ის 20%, ავსტრია - 31%, ბელგია - 1%, კანადა - 25%, დანია - 35%, ფინეთი - 34%, საფრანგეთი - 33%, ერმანია - 31%, საბერძნეთი - 23%, იტალია - 28%, ნიდერლანდები - 30%, შვედეთი - 5%, დიდი ბრიტანეთი - 25%, აშშ - 25% (თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში ამ მაჩვენებლებში გათვალისწინებულია სოციალური სფეროს დაფინანსებაზე ყველა დონის ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები). საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლების კორექტირება სხვა დონის ბიუჯეტიდან გაწეული თანხების გათვალისწინებით ქვეყნაში სოციალური სფეროს დაფინანსების ზემოთ აღნიშნულ მაჩვენებლებს გარკვეული ზომით გაზრდის. მიუხედავად ამისა, საქართველოში სოციალური სფეროს დარგებზე გაწეული დანახარჯები დაახლოებით 3-ჯერ ნაკლები რჩება სხვა დანარჩენი სფეროების დაფინანსებაზე გაწეულ დახარჯებზე, მაშინ, როდესაც ზემოთ აღნიშნული ქვეყნების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურაში სოციალური სფეროს დარგებზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება სხვა დანარჩენ სფეროებზე გაწეულ დანახარჯებს. აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყნაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური სფეროს დარგების დაფინანსება საჭიროებს მნიშვნელოვან ზრდას, რაც შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციონალურ სტრუქტურაში სხვადასხვა სფეროებს შორის ასიგნებების ოპტიმალური გადანაწილების გზით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მუხიაშვილი მ. , კუსრაშვილი ქ., 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ანალიზი. ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა”. თბილისი, კერა XXII, № 6, 2004.
2. მუხიაშვილი მ.-საქართველოს ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სრუქტურის სრულყოფის მიმართულებები. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები პოსტკომუნისტურქვენებში. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბილისი, გამოცემლობა მერიდიანი, 2007.
3. მუხიაშვილი მ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შეფასება გლობალური კონკურენციის ინდექსის მიხედვით //ეკონომისტი, 2011, №1 (გვ. 44-50).
4. მუხიაშვილი მ. ეკონომიკური კრიზისების ზეგავლენა საპენსიო სისტემებზე (ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითზე) //ეკონომისტი, 2011, №2.
5. მუხიაშვილი მ. არევაძე ნ. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა- მაკროეკონომიკური სტაბილურობის ინსტრუმენტი// საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის -“ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში”-მასალების კრებული. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაბტა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამოცემლობა. თბილისი. 2011 (21-22 ოქტომბერი) (გვ. 141-146).
6. მუხიაშვილი მ. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის როდი საქართველოში გრძელვადიანი მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში //ეკონომისტი, 2011, №4.
7. OECD (2011), Education at a Glance, OECD Publishing.

8. OECD(2010), Trends Shaping Education, OECD Publishing.
9. OECD (2011), Health at a Glance, OECD Publishing.

***Muchiašvili Marina***  
*Associated professor of TSU*

## **PROBLEMS OF THE FINANCING OF SOCIAL SPHERE IN GEORGIA**

### **Summary**

In the given article the Functional Structure of Georgia's State Budget is analyzed. There is considered Policy of Financing Social Sphere (Education, Health Care and Social Security and Social Insurance) by the Government -for the period 2003-2012 years. The recommendations regarding optimization of the Functional Structure of Georgia State Budget Expenditure on the basis of analyses of the comparative data of OECD, EU and other countries of the world have been given.

## შინაგანი პრიზის

**ლადი ხურცია**  
ეკონომიკის მეცნიერებათ დოქტორი

### დიდი ბრიტანეთი ბანკორევაითი რეცესის წინაშე

მსოფლიო გლობალურ კრიზისს, რომელიც 2008 წელს არამყარი საბანკო რისკების საფუძველზე განვითარდა, მოჰყვა აფგერშოკების სერია, რომელიც ეპონომიკურ წევებში ცნობილია განმეორებითი რეცესიის სახელით<sup>17</sup>. მისი უარყოფითი შედეგები გამოიხატება წარმოების შემცირებაში, უმუშევრობის ზრდაში და დანაზოგების შემცირებაში, რაც თავის მხრივ იწვევს საბანკო რისკების ზრდას. ეკონომიკის სტიმულირების მიზნით ქვეყნების მთავრობები ატარებენ პრევენციულ დონისძიებებს, რათა შეინარჩუნონ სტაბილურობა ფინანსურ ბაზრებზე.

ფინანსურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა დიდი ბრიტანეთის საბანკო სისტემაზე. 2008 წელს მთავრობამ შეიმუშავა საბანკო სექტორის გადარჩენის გეგმა (A bank rescue package) და ამ მიზნით გამოიყო 500 მლრდ გირვანქა სესხებისა და გარანტიების გასამყარებლად. გეგმა მოიცავდა მოკლევადიან და ხანგრძლივვადიან ინსტრუქციებს და ატარებდა ნაწილობრივი ნაციონალიზაციის ხასიათს.<sup>18</sup>

საბანკო სექტორის გადარჩენის მეორე გეგმა გამოცხადდა 2009 წელს, რომლის მიზანი იყო საბანკო საკრედიტო პორტფელების ზრდა. ინტერვენცია განხორციელდა ორ ნაწილად: 50 მლრდ გირვანქა გამოიყო მსხვილი მსესხებლების საჭიროებისათვის, ხოლო გარიგებითი ნაწილი კი გამიზნული იყო სადაზღვევო გარანტიებისთვის, რათა თავიდან აცილებულიყო დიდი ჩავარდნები. სახელმწიფოს მხრიდან მოხდა წილობრივი შესვლა კომერციულ ბანკებში - 2008 წელს განხორციელებული გეგმის შედეგად მთავრობის წილი Lloyd TSB ხ ბანკში 43% იყო, ხოლო 2009 წელს ეს წილი 65% გახდა.<sup>19</sup>

ფინანსური კრიზისების თემას ეკონომიკის თეორიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა. კრუგმანის<sup>20</sup> მოსაზრებით საფინანსო კრიზისში უპირველეს ყოვლისა იგულისხმება სავალუტო კრიზისი. ამ ნაშრომის მიხედვით კრიზისი შეიძლება რამდენიმე მოდელად დაგაჯგუფოდ: პირველი თაობის მოდელი, რომელიც წარმოადგენს საგადამხდელო ბალანსის კრიზისს, მეორე თაობის მოდელი, რომელიც თავს იჩენს სახელმწიფო და კერძო სექტორში ვალების დიდი რაოდენობით დაგროვების შედეგად და მესამე თაობის მოდელი, რომელიც წარმოიშობა შიდა სახლმწიფო ვალის დაგროვების შედეგად. უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი თაობის მოდელი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სავალუტო კრიზისს, მაშინ როცა მეორე თაობის მოდელი სავალუტო კრიზისის გვერდით ასევე განიხილავს ცვლილებებს საფინანსო ბაზრებზე, სავალო და საბანკო კრიზისებს. ფინანსური კრიზისის ძირებითი ანალიზი გაკეთებულია ფ. მიშკინის შრომებში.

<sup>17</sup> განმეორებითი რეცესია (Double dip recession) ხდება მაშინ, როდესაც მსხვილი კრიზისის შემდეგ დაწყებული ეკონომიკური აღმავლობის პროცესს და მშპ-ს ზრდას ერთი-ორი კვარტალის შემდეგ კვლავ შემცირება მოსდევეს.

<sup>18</sup> Wearden, Graeme - Government to spend £50bn to part-nationalise UK's banks  
[www.guardian.co.uk/business/2008/oct/08/creditcrunch.banking](http://www.guardian.co.uk/business/2008/oct/08/creditcrunch.banking)

<sup>19</sup> Wong, Grace - U.K. unveils second bank rescue plan  
[http://money.cnn.com/2009/01/19/news/international/britain\\_bank\\_bailout/index.htm?position=2009011908](http://money.cnn.com/2009/01/19/news/international/britain_bank_bailout/index.htm?position=2009011908)

<sup>20</sup> Krugman, P. Are currency crises self-fulfilling?, NBER Macroeconomics Annual 1996

მიშკინის<sup>21</sup> მიხედვით ფინანსური კრიზისი არის საფინანსო ბაზრის დეზორგანიზაციის პროცესი, როდესაც არასწორი შერჩევისა და მორალური რისკის პრობლემები ხელს უშლიან ფინანსური რესურსების გადანაწილებას ხელსაყრელ საინვესტიციო შესაძლებლობებზე. მიშკინთანაც ფინანსური კრიზისი განიხილება როგორც რამდენიმე კრიზისის (სავალუტო, საბანკო და სავალო) ერთობლიობა. ფინანსური კრიზისი იწყება საფონდო ბაზრის ჩავარდნით. ჩავარდნას წინ უძღვის ინფორმაციის ასიმეტრიულობა (არახელსაყრელი შერჩევისა და მორალური რისკის საფუძველზე). ამას თან სდევს მორალური რისკის დონის ზრდა ფინანსური სისტემის შიგნით, რაც საბოლოოდ უთხრის ძირს ეკონომიკურ აგენტებს შორის ნდობას და იწვევს საბანკო კრიზისს. საბანკო კრიზისი ვრცელდება (მეორე თაობის მოდელის საშუალებით) სავალუტო ბაზარზე, რაც განაპირობებს სავალუტო კრიზისს. მომდევნო ეტაპზე ფინანსური სისტემის პრობლემა გადადის ეკონომიკის რეალურ სექტორში და იწვევს სავალო კრიზისს (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში), რაც ეკონომიკის დაღმასვლის დასაწყისია.

დული (2000)<sup>22</sup> თანამედროვე ფინანსური კრიზისების ძირითად პრობლემად განიხილავს ეკონომიკის ორალური სექტორის რეცესიას და შესაბამისად აანალიზებს მისი თავიდან არიდების გზებს. იგი მიუთითებს, რომ ეკონომიკური ჩავარდნის თავიდან აცილება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე თუ როგორია ეკონომიკის ვალდებულების უდელი.

Ma და Cengi (2003)<sup>23</sup> იკვლევენ ფინანსური კრიზისების გავლენას ქვეყნების შორის ვაჭრობაზე და ასევნიან რომ საბანკო კრიზისი უარყოფით გავლენას ახდენს იმპორტზე, თუმცა სანმოკლე პერიოდის განმავლობაში კრიზისი დადგებითად ზემოქმედებს ექსპორტზე. მნიშვნელოვანი მოსაზრებებია ასევე გამოთქმული ჩანგისა და ველასქოს შრომაში (2001)<sup>24</sup> სადაც გაანალიზებულია ფინანსური კრიზისების მიმდინარეობა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. აქ, ავტორების აზრით, მთავარ როლს თამაშობს საბანკო სისტემის ლიკვიდურობა ფინანსური კრიზისების პერიოდში.

განმეორებითი რეცესია აქტუალური კვლევის საგანი გახდა საექსპერტო წრებში. ამ მხრივ დიდ ბრიტანეთში გამოირჩევა კომპანია CBI, რომელიც ყოველწილურად აქვეყნებს Regular Economic Forecast<sup>25</sup>. კომპანიის წარმომადგენლების აზრით ბრიტანეთმა შეიძლება თავი დააღწიოს მოსალოდნელ კრიზისს, ისინი ასევე მიუთითებენ, რომ 2012 წელს მოსალოდნელია მშპ ზრდა 0,9%-თ 2012 წელს, ხოლო 2 %-ით 2013-ში. CBI - კვლევამ აჩვენა, რომ ბაზარზე იმატა ინვესტიციების რაოდენობამ და კომპანიებმა დაიწყეს ინვესტირება ახალ ალტურითობასა და ახალი ბაზრების მოძიებაში, რაც საბოლოოდ გამოიწვევს საწარმო სექტორის გაფართოებას. მეორეს მხრივ, საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამს სხვა საექსპერტო კომპანია BDO<sup>26</sup>, რომელიც ასევე დაბავებულია ფინანსური სიტუაციის კვლევით. BDO-ს კვლევის მიხედვით, ბრუნვები ბაზრებზე

<sup>21</sup> Mishkin F. S. Understanding Financial Crises: A Developing Country Perspective 1997

<sup>22</sup> Michael P. Dooley – A model of crises in emerging markets

[http://ucsc.edu%2Fmpd%2FEJCrisis.pdf&ei=CX2RT\\_TFJe2O4gSxktCKBA&usg=AFQjCNFbD\\_cgzSzQ96grzbirYz0BXYfBw](http://ucsc.edu%2Fmpd%2FEJCrisis.pdf&ei=CX2RT_TFJe2O4gSxktCKBA&usg=AFQjCNFbD_cgzSzQ96grzbirYz0BXYfBw)

<sup>23</sup> Zihui Ma, Leonard Cheng. The Effects of Financial Crises on International Trade

<sup>24</sup> Roberto Chang & Andrés Velasco, 2001. The 1997-98 Liquidity Crisis: Asia Versus Latin America


<sup>25</sup> CBI - <http://www.cbi.org.uk/business-issues/economy/economic-forecasts/>

<sup>26</sup> BDO - UK economy teetering on the brink <http://www.bdo.uk.com/press/uk-economy-teetering-brink>

კლებას განაგრძობს, რაც შეტყველებს კრიზისის არსებობაზე, სახეზეა ტექნიკური რეცესია, რასაც კიდევ უფრო ამჴვავებს უპროგნოზო სიტუაცია ევროზონაში.


კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი ორგანიზაცია - ECRI, რომელიც ანალიზს უკეთებს ეკონომიკურ რეცესიებს, აქვეყნებს საინტერესო პუბლიკაციებს ამ მოვლენის შესახებ. 2011 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით<sup>27</sup> რეცესია ხდება იმიტომ, რომ ეკონომიკის ზრდა შემცირდა და სხვადასხვა კრიზისები ამ რეცესიას კიდევ უფრო ამჴვავებს. ანგარიშის მიხედვით ფაქტები, რომლებიც მოგროვებულია 2011 წლის სექტემბრის შემდეგ, ადასტურებს იმას, რომ ეკონომიკის ზრდა შენებლებულია ისეთი სარისხით, რომ დაცემა გარდაუგადია და ეს სავარაუდოდ 2012 წლის ზაფხულის ბოლოს მოხდება. ECRI მიუთითებს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც სათანადოდ არ შეფასებულა საზოგადოებისგან და მათ შორის ეკონომისტების მხრიდან, მაგ., ინდუსტრიული გამოშვების წლიური ზრდის მაჩვენებლები, სულადობრივი შემოსავალი და ხარჯები, მშპ-ს ცვლილებები წლების მიხედვით.

ბოლო თვეების განმავლობაში მთლიანად ევროზონაში მშპ-ს ზრდა არასტაბილურია. ევროკავშირში შემავალი ქვეყნების მშპ-ის ანალიზის მიხედვით 2012 წელს მოსალოდნელია მშპ-ის ნულოვანი ზრდა (სურ. 1)<sup>28</sup>.



სურათი 1

დიდ ბრიტანეთში მშპ ზრდა ასევე არასტაბილურია. 2011 წლის ბოლოს მშპ 0,3%-ით შემცირდა საპროგნოზო მაჩვენებლების საწინააღმდეგოდ<sup>29</sup> (სურ. 2).



სურათი 2

<sup>27</sup> U.K. Double-Dip Recession?

[http://www.businesscycle.com/reports\\_indexes/reportsummarydetails/1073](http://www.businesscycle.com/reports_indexes/reportsummarydetails/1073)

<sup>28</sup> <http://epp.eurostat.ec.europa.eu/tgm/table.do?tab=table&init=1&plugin=1&language=en&pcode=tsieb020>

<sup>29</sup> <http://www.tradingeconomics.com/united-kingdom/gdp-growth>

მოსალოდნელია ტექნიკური რეცესია, რაც ნიშნავს იმას რომ მიმდინარე კარტალში მშპ ვარდნას განაგრძობს.<sup>30</sup>

ფინანსურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა ისეთ უძველეს საბანკო ინსტიტუტზე როგორიცაა Lloyd TSB ბანკი. 2009 წელს ბრიტანეთის მთავრობაში მმართველობაში აიღო Lloyd TSB ბანკის აქციების 65%. ამ ნაბიჯის მიზანი იყო გადასახადის გადამხდელების ინტერესების დაცვა ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერის შემცირების ხარჯზე. Lloyd TSB (RBC ბანკთან ერთად) დახმარების სახით მთავრობიდან მიიღო 40 მლრდ გირვანქა სტერლინგი, თუმცა ბანკის მდგომარეობა არ გამოსწორებულა და ამ დროისთვის მას 260 მილიარდი გირვანქის დორებულების ტოქსიკური ქონება ჰქონდა. 2010 წელს ხარჯების შემცირების მიზნით ბანკიდან 15000 თანამშრომელი დაითხოვეს.<sup>31</sup> 2011 წელს კი Moody Agency-მ Lloyd TSB -ს საკრედიტო რეიტინგი შეუმცირა.<sup>32</sup>

კერძო სექტორში მოსალოდნელია სამუშაო ადგილების შემცირება. აქ უკვე შემცირდა უკელა ის ხარჯი, რომლებიც სამუშაო ძალასთან არ იყო დაკავშირებული. ეხლა კი იგი იძულებული გახდება ხარჯები დაქირავებული მუშახელის შემცირების ხარჯზე დაზოგოს. ბანკირები, იურისტები, ბუღალტრები, საცალო მოვაჭრები ის კატეგორია, რომელთაც გათავისუფლება ემუქრებათ. ის წარმოებებიც კი რომლებიც განიცდიან აღმავლობას, აცხადებენ, რომ ისინი აიღებენ აუზას ახალი თანამშრომლების აუვანის პროცესში.<sup>33</sup>

ამგვარად, მიმდინარე პროცესები აჩვენებს რომ სახეზეა განმეორებითი რეცესიის ნიშნები. შედეგად, ფინანსურ სისტემას საფრთხე ექმნება. უმუშევრობის ზრდა და დანაზოგების შემცირება<sup>34</sup> გამოიწვევს საბანკო რისკების ზრდას, რაც ასახვას პპოვებს საპროცენტო განაკვეთების ზრდაში. ეკონომიკის სტიმულირების მიზნით მთავრობა შესაძლოა კვლავ შეეცადოს გასცეს გარანტიები საბანკო რისკებზე, ასეთმა ინტერვენციამ კი მეტისმეტი დოზირებით შეაძლოა ფინანსური სისტემა კიდევ უფრო დიდ საფრთხის წინაშე დააყენოს.

*khurtsia Lali  
TSU, PhD*

## UK IN FRONT OF DOUBLE-DIP RECESSION.

### Summary

The global economic crisis, started in 2008 on the basis of banking risks, was followed by aftershock series, known in economics as Double-dip recession. Reduced production and savings, high rates of unemployment increased risks in financial sector. In order to maintain stability in financial markets, the government carries out preventive measures to stimulate the economy. Though such intervention can cause much more negative influence on financial system.

<sup>30</sup> რა არის ტექნიკური რეცესია.

<sup>31</sup> <http://www.guardian.co.uk/business/2010/mar/03/lloyds-banking-group-eric-daniels-bonus>

<sup>32</sup> [http://www.moodys.com/research/Moodys-downgrades-12-UK-financial-institutions-concluding-review-of-systemic--PR\\_227067](http://www.moodys.com/research/Moodys-downgrades-12-UK-financial-institutions-concluding-review-of-systemic--PR_227067)

<sup>33</sup> Philip Aldrick, UK heading for first double-dip recession since 1975

<http://www.telegraph.co.uk/finance/economics/9039653/UK-heading-for-first-double-dip-recession-since-1975.html>

<sup>34</sup> ეს ტექნიკური უკვე სახეზეა, 2011 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით შინამეურნებობის ხარჯები 0,4 %-ით გაიზარდა, რაც ძირითადად დანაზოგების ხარჯზე მოხდა

## ტურიზმი

**გიული ქეშელაშვილი  
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი**

### სამართლებრივი ტურიზმის ზოდის ტანცევისაგან საძართველოში

ტურიზმის საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი დაწყია, რომლის განვითარების სტრატეგიაც ეკონომიკური მდგრადი განვითარების პრინციპებს და უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას. ტურიზმის პრიორიტეტების განსაზღვრავს ტურიზმის ექსპორტაბელურობის მაღალი დონე და ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი პოტენციალი, მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა, რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების რეზერვების არსებობა (ტურისტული პოტენციალის ბუნებრივგეოგრაფიული განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე), ტურიზმის მომიჯნავე დარგების (ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები, დაზღვევა, საბანკო საქმიანობა, აგრარული სექტორი, კვების მრეწველობა, მშენებლობა) განვითარების სტიმულირება.

WTO-ს მონაცემებით მსოფლიოში დაახლოებით 220 მილიონი ადამიანია დასაქმებული ტურიზმის სფეროში, რაც მსოფლიო სამუშაო ძალის 8.3%-ს შეადგენს. ისეთი ქვეყნებში, რომლებიც მთლიანად დამოკიდებულია ტურიზმზე (მაგალითად, კარიბის კუნძულები), მთლიანი სამუშაო ძალის 25% სწორედ ტურიზმის სფეროზე მოდის. ექსპერტთა გათვლებით, 2012 წლისათვის დასაქმება ამ სფეროში 249 მილიონ ადამიანს, ანუ მსოფლიო დასაქმების 8.6%-ს შეადგენს. ამავე დროს ტექნოლოგიური განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე. მაგალითად, დაჯავშნის კომპიუტერული სისტემის გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტული სააგენტოებისა და ავიაკომპანიების ოფისების რაოდენობა.

2010 წლის 25 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 172 განკარგულებით დაამტკიცა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სტრატეგია, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ტურიზმის განვითარებას დაეთმო. ამ სტრატეგიის მიხედვით სახელმწიფო ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმის განვითარებას ინვესტორთათვის საგადასახადო შედაგათების დაწესებისა და საკუთრებაში მიწის უსასეიდლოდ გადაცემის გზით. ტურიზმის წამყვანი ქვეყნები (საფრანგეთი, აშშ, ჩინეთი, იტალია, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, გერმანია, ავსტრია, რუსეთი, კანადა, პონგ-კონგი, პოლონეთი, საუდის არაბეთი) ტურიზმის განვითარებას ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტ არ მიიჩნევს. ხოლო ქვეყნები, რომლებმაც ტურიზმის განვითარებაზე აიღეს გეზი (ესპანეთი, მალაიზია, მექსიკა, საბერძნეთი, მაკაო, პორტუგალია), გაონომიკური დეფოლტის საფრთხის წინაშე დგანა.

პირველი ჯგუფის ქვეყნებისთვის ტურიზმი სავიზიტო ბარათია, მარკეტინგული საშუალებაა, რომელიც მსოფლიოს ხალხებს აჩვევს მათი ქვეყნის ცხოვრების წესს და სთავაზობს მათ პროდუქციას, მაგალითად, ფრანგულ თუ იტალიურ დვინოს, ამერიკულ ავტომანქანებს და სხვა ტექნიკას, ფრანგულ, იტალიურ, ჩინურ სამზარეულოს და სხვა. მეორე ჯგუფის ქვეყნებისთვის კი ტურიზმი ეკონომიკური ზრდის მექანიზმია.

World Tourism Organisation (UNWTO) მსოფლიოს წამყვანი და ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციაა ტურიზმის სფეროში. მისი სათაო ოფისი მადრიდში (ესპანეთი) მდებარეობს. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს ტურიზმის განვითარებაში. მასში გაწევრიანებულია 150 ქვეყანა და 450 ტურისტული ასოციაცია, საგანმანათლებლო ინსიტუტი და კერძო ფირმა. ტურიზმის

სფეროში მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციებია ასევე WTTC – მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობის საბჭო, International Civil Aviation Organisation (ICAO) – გაეროს სპეციალიზირებული სააგენტო, რომლის საქმიანობა მიმართულია საერთაშორისო სამოქალაქო საავიაციო სექტორის განვითარებისაკენ, International Governmental Maritime Consultative Organisation (IMCO)–გაეროს სპეციალიზირებული სააგენტო, რომელიც ორიგენტირებულია სახლვაო ტრანსპორტის სფეროში თანამშრობლობისა და ამ დარგის განვითარებისაკენ, The International Air Transport Association (IATA)–საავიაციო ასოციაცია, რომელიც რეგულაციას უწევს სავიაციო ინდუსტრიას. ამ უკანასკნელში გაწევრიანებულია მთელი მსოფლიოს საერთაშორისო ავიაბაზების 80%.

მრავალი ქვეყანა, რომელსაც სურს გლობალურ ბაზრებზე პოზიციების გამყარება, ცდილობს მიზიდოს რაც შეიძლება მეტი უცხოელი. საქართველოს სამკურნალო ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. ჩვენი ქვეყანა ცნობილია შემდეგი კურორტებით – ბორჯომი, წყალტუბო, ქობულეთი, აბასთუმანი, ახტალა, ბაკურიანი, ბათუმი, ბახმარო, მწვერე კონცხი, ნაბეღლავი, საირმე, ცემი, უწერა, ცაიში, ციხისმარი, წაღვერი, შოვი, ჯაგა და სხვა მრავალი. სამკურნალო კურორტების განვითარება აუცილებელია ადგილობრივი მოთხოვნილებიდან გამომდინარეც. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით 2009 წელს სასუნთქი თრგანოების დაავადებების დიაგნოზით 505340, ხოლო ნერგული სისტემის დაავადებების დიაგნოზით - 121 061 შემთხვევაა დაფიქსირებული. თუ მსოფლიოში ტურიზმის სფერო ყოველწლიურად საშუალოდ 4-5 პროცენტით იზრდება, სამკურნალო ტურიზმი 30%-იანი ზრდით ხასიათდება. საზღვარგარეთ მოგზაურობის მიზანს ხშირად ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღება წარმოადგენს. მოგზაურობა მოიცავს, როგორც კურორტებზე დასვენებას, ისე ქორურიულ ჩარევასა და სხვადასხვა კოსმეტიკურ ოპერაციებს.

უცხოელი ტურისტები, რომლებიც მკურნალობის მიზნით მოგზაურობენ, ირჩევენ დაბალი ღირებულების კურორტებს და უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ინდოეთი, ტაილანდი, კოსტა-რიკა, კუბა, მექსიკა და საბერეთ აფრიკა. კოსმეტიკურ ქირურგიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული პროგრამა სამხრეთ აფრიკაში 2000 წელს ჩამოყალიბდა. პროგრამას ერქვა „ქირურგია და საფარი“. აქ სამედიცინო მკურნალობა მოიცავდა კოსმეტიკურ, ორთოპედიულ ქირურგიასა და აფრიკულ საფარს. ქირურგიული პროცედურებისა და დასვენების მთლიანი ღირებულება იმაზე ბევრად დაბალი იყო, ვიდრე პაციენტი თავის ქვეყანაში მხოლოდ ქირურგული მკურნალობისათვის გადაიხდიდა.

ამ ბოლო დროს ტაილანდი სულ უფრო და უფრო მეტ პაციენტს იზიდავს. მათ აქვთ შესაძლებლობა დანიშნულების ადგილზე გამგზავრებამდე თავდაპირველად მიიღონ ვიდეო კონსულტაცია. აეროპორტში ტურისტებს ხვდებათ ლიმუზინი. ოპერაციის შემდეგ პაციენტები აგრძელებენ მკურნალობას ძვირადღირებული გამაჯანსაღებელი საშუალებებით. ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურების ფასი ტაილანდში ბევრად იაფია აშშ-სთან შედარებით. მაგალითად, სხეულის ლიპოსაქცია აშშ-ში დირს 19000 ლოდარი, სამხრეთ აფრიკაში კი - 8500 ლოდარი, რომელიც ასევე ანაზღაურებს საცხოვრებლისა და ექსპედიციის ხარჯებს. ამასთან ერთად სამედიცინო დაწესებულებების უმრავლესობა ტაილანდში თავის მომხმარებლებს კლინიკაში უფრო დიდი ხნით დარჩენასა და ექსტრა სერვისებს სთავაზობს.

მრავალი ქვეყანა, რომელსაც სურს გლობალურ ბაზრებზე პოზიციების გამყარება, ცდილობს მიზიდოს რაც შეიძლება მეტი უცხოელი პაციენტი. მაგალითად, კუბამ ადგილობრივი სამედიცინო ინდუსტრია აქცია გლობალურ

რად და ემსახურება ბევრ ლათინო-ამერიკელ მომხმარებელს. გარკვეული ლეგალური შეზღუდვების გამო ამერიკელების კუბაში გამგზავრებასთან დაკაფშირებით, კუბის სამედიცინო ინდუსტრია არ გაზრდილა ისე სწრაფად, როგორც ტაილანდში, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს კოსმეტიკური ქირურგიის დარგში.

ზღვისპირა ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების რეკლამირება უმთავრესად ინტერნეტის საშუალებით ხდება. თუმცა კმაყოფილი პაციენტი ყველაზე კარგ რეკლამას წარმოადგენს. კლინიკებს აქვთ საკუთარი ვებ-გვერდი, მაგალითად, WWW.dentistadetijuana.com, რომლის მეშვეობითაც პოტენციური მომხმარებლები იღებენ ინფორმაციას მექსიკელი სტომატოლოგებისა და მათი კვალიფიკაციის შესახებ. ინტერნეტდამთვალიურებლებს შეუძლიათ გააკეთონ არჩევანი სასურველ კანდიდატზე.

გარდა განვითარებადი ქვეყნებისა, განვითარებული ქვეყნებიც სოვაზობენ მომხმარებლებს უცხოურ სამედიცინო სერვისებს. იმის გამო, რომ გერმანიაში ჭარბადაა კვალიფიციური ექიმები, გერმანიის მთავრობა ატარებს პრომო აქციებს, რათა ქვეყანა გახდეს გლობალური სამედიცინო ცენტრი. გერმანიაში გამოსცადა უზემულო უმუშევრობა ჯანდაცვის სფეროში. გერმანული სამედიცინო მომსახურების მომხმარებლები ძირითადად მდიდრების ფენის წარმომადგენლები არიან შუა აზიიდან, აფრიკიდან, რუსეთიდან და სკანდინავიის ქვეყნებიდან. სწორედ ამიტომ დაარსეს გერმანელმა ბიზნესმენებმა სამედიცინო ცენტრები ჩინეთში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა მოიხიბლა გერმანული ინფრასტრუქტურის ხარისხით.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამედიცინო მომსახურებას აქვს მრავალი უპირატესობა, პოტენციური საერთაშორისო მომხმარებლები მაინც თავს იკავებენ უცხოეთში გამგზავრებისაგან. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია უცხოური სამედიცინო მომსახურების დაზღვევასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როცა ჯანმრთელობის დაზღვევა არ მოიცავს საზღვარგარეთ პლასტიკური ოპერაციების ანაზღაურებას. პაციენტები ყველაზე დიდ ყურადღებას მომსახურების ხარისხსა და მოცემულ ქვეყანაში პოტენციურ დავადგებებს აქცევენ. მაგალითად, ტაილანდმა დაკარგა პაციენტები SARS ვირუსის რეგიონში გავრცელების გამო.

სამკურნალო ტურიზმის განვითარებაში გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს ეკისრება. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტორების მოძიებას, შექმნას მათთვის ხელსაყრელი საგადასახადო გარემო, საკუთარ თავზე აიღოს ინფრასტრუქტურის მოწყობა. სახელმწიფო ორგანიზაციები ყოფილ საბჭოთა კავშირში აბსოლუტურად აკონტროლებდნენ ტურიზმის სფეროს. აქ სახელმწიფო ქმნიდა ტურიზმის პოლიტიკას. რაც შექება კაპიტალისტურ ქვეყნებს, კერძო და სახელმწიფო ორგანოების მიერ ტურიზმის სფეროში ჩარევის ხარისხი ყველა ქვეყნისათვის ინდივიდუალურია. 1963 წელს რომში გაეროს კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: სახელმწიფოები ვალდებული არიან სტიმული მისცენ ეროვნულ ტურისტულ აქტივობებს. ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია შუამავალი ეროვნული ტურისტული ორგანიზაციების შეშვეობით.

ყველა სახელმწიფოს აქვს სპეციალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე. ეს არის რომელიმე სამინისტროს განყოფილება, ან დეპარტამენტი, რომელსაც იურიდიული პირის სტატუსი გააჩნია. ამ სამსახურების მიზანია შექმნას ტურიზმის განვითარების საფუძველი და თავისი ქვეყანა წარადგინოს მსოფლიო ბაზარზე. ეს პროცესი მოიცავს კვლევით სამუშაოებს, ინფორმაციის გავრცელებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტურიზმის პოლიტიკასა და

პრომოუშენს, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. საქართველოში აღნიშნული ფუნქცია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს ეკისრება. მისი მიზანია საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის მიჯის პოპულარიზაცია მსოფლიოს მასშტაბით. ამ მიზნით დეპარტამენტი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში. დეპარტამენტის ინიციატივით ეწყობა გაცნობითი ტურები უცხოელი ურნალისტებისათვის, მხადვება სატელევიზიო სიუჟეტები და სტატიები ბეჭდვითი პრესისათვის, რაც ხელს უწყობს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის პოპულარიზაციას. აღნიშნული დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის პროცესში, მოძრაობების პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების დაინტერესებას შიდა ტურიზმით. მხოლოდ სახელმწიფოს, ინვესტორებისა და ტუროპერატორების კოორდინირებული მოქმედებით არის შესაძლებელი ჩვენს ქვეყნაში სამკურნალო ტურიზმის სწრაფი ტემპით განვითარება. კარგი იქნებოდა ამ მხრივ უკრაინის გამოცდილების გათვალისწინება, როცა სახელმწიფომ საკურორტო ქალაქ ტრუსკავეცში 20 წლის ვადით შექმნა „საეციალური ეკონომიკური ზონა“, რომელიც ბიზნესს და ინვესტორს ანიჭებდა საგადასახადო პრივატული ეკონომიკური ზონას“.

შიდა ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სამკურნალო ტურიზმი ბალნეოლოგიურ კურორტებზე. ამ სახის ტურიზმის მასშტაბების ზრდა შესაძლებელია საქართველოს საკურორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და რეაბილიტაციის გზით. საჭიროა ჩატარდეს ფართო სარეკლამო კამპანია ჩვენი ბუნებრივი რესურსების იმიჯის შესაქმნელად. მოხდეს მათი პოპულარიზაცია არაბულ ქვეყნებში, მცირე და აღმოსავლეთ აზიაში, ევროპასა თუ ამერიკაში. ამ ღონისძიებებმა უნდა დააინტერესოს ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები საქართველოს საკურორტო პოტენციალით. დღესდღეობით ამ მიმართულებით ბევრია გასაკეთებელი. არადამაკმაყოფილებელია ტრადიციული საკურორტო ბაზების ინფრასტრუქტურა. საჭიროა უფრო მასშტაბური სარეკლამო აქტიურება, სამედიცინო ტურების ჩართვა ტურისტული სააგენტოების ბიზნეს-პროგრამებში. საქართველოს ამ თვალსაზრისით დიდი პოტენციალი გააჩნია.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი 2011, გვ. 254-256.
2. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
3. [www.gnta.ge](http://www.gnta.ge)
4. <http://www.unwto.org/>

*Keshelashvili Giuli*

*Doctor of Economics, Professor*

#### TRENDS OF DEVELOPMENT OF HEALTH TOURISM IN GEORGIA

##### Summary

The work considers the essence and significance of health tourism. It provides the analysis of the trends of development of health tourism in Georgia and in other countries. Besides, it shows the significance of coordinated work of state structures, investors and tour operators in terms of rapid development of health tourism. The work describes the role of cooperation of Georgian and international organizations in development of tourism in Georgia.

**თამარ ბაჩიაშვილი**  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**ტურიზმი და სასტუმროების მარკეტინგთან დაკავშირებული პროცესები**

თანამედროვე ეტაპზე ტურიზმი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

საქართველო თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდგრადი მდგრადი ტურისტების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 80-იან წლებში საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან და ასევე სოციალისტური ქვეყნებიდან ყოველწლიურად 2-3 მილიონამდე ტურისტს მასპინძლობდა. „ამ პერიოდისათვის ტურისტული საქმიანობა ეყრდნობოდა ტურისტების განთავსების სახელმწიფო საშუალებებს ან პროფესიულთა საკუთრებაში მყოფ სასტუმროებს და სასტუმრო სახლებს. ტურისტული ნაკადების ორგანიზება მთელი წლის განმაგლობაში ხდებოდა ცენტრალური მინერალურ წყლებსა და სამკურნალო კურორტებზე. საქართველოში, ტურისტული მოგზაურობა, ძირითადად, ეფუძნებოდა ქვეყნის კურორტებზე დასვენებასა და რეკრეაციას“ [1, გვ.411].

90-იან წლებში ქვეყნაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ ტურიზმის სფეროს ქვეყნის ეკონომიკური ასპარეზიდან გაუჩინარება გამოიწვია.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ ქმედითი დონისძიებები განახორციელა ტურიზმის სფეროს განვითარების მიმართულებით. აშენდება ახალი სასტუმროები, რესტორნები და გასართობი ობიექტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კეების ობიექტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, აუცილებელია მოხდეს შეთავაზებული ხარისხისა და ფასის გონივრულად დაბალასება, ვინაიდან მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა შედეგს ვერ მოიტანს, თუ არ მოხდება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

როგორც ცნობილია, საქართველოში მრავალი ახალი სასტუმრო შენდება, რაც თავისთავად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია.

„სასტუმრო ინდუსტრიის ეკონომიკური წვლილი მნიშვნელოვანია გაონომიკისთვის როგორც საზოგადოებრივი მომსახურების ბიზნესის, ასევე ტურიზმის განვითარების მნიშვნელობითაც. სასტუმროს მართვისთვის განსაკუთრებული მახასიათებლებია: 1. „მაღაფუჭებადი“ პროდუქტი ანუ გაუქირავებელი ნომერი, 2. ნომრის ინვენტარი, რომელიც უკვე აღრიცხულია და შეუძლებელია მისი ადგილიდან დაბრა, როცა სხვა დიზაინის ინვენტარით სურთანაცვლება, 3. ბიზნესის დაწყებისთვის კაპიტალის დიდი რაოდენობა – ფიქსირებული ხარჯი, რომელიც მოითხოვს საწარმოს დაბალანსებულ ფინანსურ დონეს, ანუ საწარმო იყოს არაწამგებიანი, 4. ტურისტების აქტივობის სეზონურობა და ის ყველა დამატებითი პრობლემა, რომლებიც წარმოიშობა ტურისტთა შემოყვანა-გაყვანის პროცესში“ [1, გვ.60].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სასტუმროს მართვა საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს, რომლის წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სხვადასხვა მომსახურების სინქრონულად მართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგებითი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

უკრადლებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სასტუმროს ექსპლუატაციაში გაშეებამდე სასურველია შემუშავდეს მარკეტინგული სტრატეგია, ხოლო მათი ფუნქციონირებისას აუცილებელია სასტუმროთა ხელმძღვანელებმა ორიენტაცია მომხმარებელთა მოთხოვნილებების გათვალისწინებაზე აიდონ.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოს ტურიზმის ბაზრის შესახებ გარკვეული სახის ინფორმაცია არსებობს, მაგრამ ის შედარებით არასრული და ძნელად მოსაპოვებელია.

ის ფაქტი, თუ რა რაოდენობის ტურისტი შემოვიდა ქვეყნის ტერიტორიაზე, მთელი საზოგადოებისათვის არის ცნობილი, მაგრამ დასასვენებელი ობიექტების შესახებ სრული და დეტალური ინფორმაციის მიღება თითქმის შეუძლებელია, რაც, ჩვენი აზრით, ართულებს კონკურენტების ანალიზსა და ასევე ბაზრის ზუსტი მოცულობის დადგენას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიზნობრივი ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვება გამოცდილებითაც შეიძლება.

საქართველოში არსებობს კერძო სასტუმროები, რომელთა მომხმარებელების მხრიდან გაკეთებულ შენიშვნებს სასტუმროს მმართველები შეძლებისამებრ ითვალისწინებენ.

ზემოადნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მოცემული შენიშვნების დაგროვება, ორგანიზებული სახით შენახვა-გადამუშავება სასტუმროთა ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცედურას წარმოადგენს.

სასტუმროს, რომლის მიზანი გრძელვადიანი წარმატების მიღწევაა, მარკეტინგის ძირითად ამოცანად მომხმარებელთა ნდობის მოპოვება და გამართლება უნდა დაისახოს.

ჩვენი აზრით ნდობის მოსაპოვებლად ყველაზე მარტივი გზა არის მომხმარებელთა კმაყოფილების მიღწევა.

როგორც ცნობილია, სასტუმროს შეფასების ძირითად პარამეტრს მისი ხარისხი წარმოადგენს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველაზე განთქმული შეფასების სისტემა მიჩელინის ვარსკვლავებია, რომლის მიხედვით, ხუთი ვარსკვლავი ხარისხის მაქსიმალურ დონეს აღნიშნავს.

მოცემული სისტემით შეფასების კრიტერიუმი საკმაოდ ბევრი და მკაცრია, დაწყებული ოთახების მინიმალური ფართიდან, დამთავრებული სასტუმროს სპა-სალონში შეთავაზებული მომსახურების სპექტრით.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „სასტუმროების ბიზნესში სპეციალიზაციას (მომსახურების მიწოდების მხრივ) სამი მიმართულება აქვს: ორიენტაცია შეძლებულ, საშუალო შემოსავლიან და მცირე შემოსავლიან კლიენტზე დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში შეიმჩნევა სასტუმროებით, „ეკონომიკურ კატეგორიაზე“, მომსახურების მოთხოვნების ზრდის ტენდენცია, რომელიც საშუალო შემოსავლიანი ტურისტების ინტერესებს ასახავს. როგორც წესი, ესაა სამგარსკვლავიანი და, ნაწილობრივ, ოთხვარსკვლავიანი სასტუმროები“ [1, გვ. 73].

ზემოადნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მომსახურების ხარისხი, ისევე, როგორც მისი მრავალფეროვნება, მომხმარებელთა მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფასის ადეკვატური უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, ტურიზმის განვითარებასთან ერთად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სასტუმროების მხრიდან შედარებით მეტი ყურადღება დაეთმოს მარკეტინგულ ხედვას, მომხმარებელთა მომსახურების დონეს, რაც ხელს შეუწყობს მართვის ხარისხის გაუმჯობესებას.

როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტების მოთხოვნილებების უავთ დაქმაყოფილება ქართული ტურიზმის მიერ მსოფლიო ბაზარზე ღირსეული ადგილი დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

უურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მომსახურების დონის მართვა და მისი შენარჩუნება სახიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასტუმროებისთვის. ამისათვის აუცილებელია მოხდეს კადრების მართვის ეფექტიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება, მომსახურე პერსონალის სწავლებისა და მოტივირების ქმედით საშუალებებთან ერთად.

როგორც ცნობილია, მომსახურების დონის უზრუნველყოფა და მართვა აულტურული თავისებურებებით ხასიათდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სწავლების, ისევე როგორც ფორმალიზაციის დონის, კონტროლისა და მოტივირების ფაქტორები ამ თავისებურებების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს.

თანამედროვე ეტაპზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად შედარებით გაადვილდა მომხმარებლების მონაცემთა ბაზების მართვა და მათთან კომუნიკაცია.

ჩვენი აზრით, სასტუმროთა ის კატეგორია, რომლებიც მომხმარებლებს მაღალ ხარისხს ვერ შესთავაზებენ, კონკურენტულ ბრძოლაში დამარცხდებიან, ამიტომ მიზანშეწონილია შემუშავებული იქნეს ბაზარზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **მეტრეველი მ. ტურიზმის ბიზნესი (ინდუსტრია, მენეჯმენტი, მარკეტინგი).** თბილისი: სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის გამოცემებისა და ტრენინგების ცენტრის გამოცემა, 2011.

*Bachiashvili Tamar  
PhD in Economics*

## TOURISM AND THE PROBLEMS CONNECTED WITH THE HOTEL MARKETING

### Summary

The scientific article discusses the tourism and the problems connected with the hotel marketing, analyzes the necessity of developing marketing strategy for hotels management and the problems related to the service level management.

**თამარ ბაჩიაშვილი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

**ტერიზმი და სახელმწიფო პოლიტიკა**

თანამედროვე გლობალურ სივრცეში საქართველოსთვის მნიშვნელოვან პერსპექტივას წარმოადგენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარება.

საქართველოს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქვეყანას, მდიდარი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა გააჩნია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყნის რეგიონებს ეკოტურიზმის საკმაო პოტენციალი აქვს და მათი კეთილმოწყობა მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტების რაოდენობას, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წერტილ შეიძლება იქცეს.

როგორც ცნობილია, „საქართველოს ტურისტულ-საკურორტო პოტენციალს განსაზღვრავს:

1. შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რომლის სიგრძე ქვეყნის მასშტაბით 318 კილომეტრია. იგი მასობრივი ტურიზმის განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენს;
2. დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილები, რომლებიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდევა გადაჭიმული და სიგრძით 1500 კილომეტრს აღწევს. საქართველოს მთიანეთი სამთო-სათხილამურო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის უადრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის. დიდ კავკასიონზე არის მწვერვალები, რომელთა სიმაღლე 4000 მეტრს აღწევს.
3. კურორტები და საკურორტო ადგილები“ [1, გვ. 404].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობამ სწორი სახელმწიფო პოლიტიკა გაატარა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

მნიშვნელოვანი სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები განხორციელდა როგორც აჭარის, ბორჯომის, სვანეთის, ასევე კახეთის საკურორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. დაიწყო თელავის რეაბილიტაცია, რომელიც 2012 წლის შემოდგომაზე უნდა დასრულდეს.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შეიქმნა ტურიზმის დეპარტამენტი, რომელიც ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას აზარებს. იგი ხელს უწყობს საქართველოს კურორტების რეკლამირებას ადგილობრივ და უცხოურ მედიაში და სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს ტურიზმის განვითარების მიზნით.

ყველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, გაიზარდა როგორც კურორტების დატვირთვა, ასევე ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების რაოდენობა. ამაღლდა კერძო სექტორისა და ინვესტირების დაინტერესება არა მხოლოდ ქვეყანაში არსებული საპრივატიზაციო საკურორტო ობიექტებით, არამედ ასევე ახალი სასტუმროების, რესტორნებისა და გასართობი ობიექტების მშენებლობით.

საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით ქვეყანაში შემოსული თითოეული უცხოელი ტურისტი ხარჯავს 1500-1900 ლილარამდე, ასევე შედა ტურისტი ხარჯავს 500-1000 ლარამდე.

ტურისტული ხარჯები შეიძლება დაჯგუფდეს შემდგენაირად:

1. კომპლექსური ტურები;
2. განსახლება;
3. კვება;

4. ტრანსპორტი;
5. რეპრეაციული, პულტურული, სპორტული საქონელი და მომსახურება;
6. მაღაზიაში შენაძენები;
7. სხვა ხარჯები.

მოთხოვნის სხვადასხვა ფორმირებიდან გამომდინარე, ტურისტული ხარჯები შეიძლება დაგვით თუ კატეგორიად:

- ხარჯები, რომელიც ტურპაკეტზეა მითითებული;
- ხარჯები, რომლებიც სხვა ხარჯების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს“ [2, გვ. 365].

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ქვეყნის მიზანმიმართული და სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში არის შესაძლებელი ტურისტული ნაკადების ზრდა.

ბიზნესსაქმიანობის შედაგათიანი პირობების შექმნა, გლეხების დღგ-სგან გათავისუფლება, ტურისტული პროდუქტის მწარმოებლებს კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევს.

უკანასკნელი იმსახურებს ის გარემოება, რომ თუ ქვეყნის განვითარების პოლიტიკას არ შეესაბამება ტურიზმის განვითარების პოლიტიკა, ყოველივე ეს გამოიწვევს სტაგნაციური პროცესების ჩამოყალიბებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა ხელს უწყობს ტურისტული ბიზნესის განვითარებას. ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს 2011 წელს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, როგორიც არის, მაგალითად, ტურისტული ობიექტების მშენებლობაში მონაწილე კომპანიებისათვის საგადასახადო შედავათების დაწესება. ასევე სასტუმროების ინვენტარის, მოწყობილობის შემომტანი კომპანიებისათვის საბაჟო გადასახადებზე შედავათიანი ტარიფების დაწესება და სხვა.

ტურიზმისადმი ასეთმა პოლიტიკურმა მიდგომამ შეუძლებელია ქვეყანაში ტურისტული ინდუსტრიის აღმავლობა არ გამოიწვიოს.

ჩვენი აზრით, ქვეყანაში ტურისტული ინდუსტრიის აღმავლობას მხოლოდ სწორი სახელმწიფო პოლიტიკა განაპირობებს, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს ტურისტული პოტენციალის სრულ რეალიზაციას, რეგიონებში ქმნის სათანადო პირობებს არა მხოლოდ ტურიზმის განვითარების, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგრძლეობის გაუმჯობებისათვის.

უკანასკნელი იმსახურებს ის ფაქტი, რომ შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან, გამოიწვევს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, როგორიც არის, მაგალითად, სათავგადასავლო ტურიზმი, სპორტული ტურიზმი, აგროტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი (გოგირდის აბანოები, სამკურნალო ტალახი ახტალაში და ა.შ.).

ადასანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი როლს თამაშობს საქართველოს ტურიზმის ასოციაცია, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებების წარმოადგენს: საგანმანათლებლო სემინარები და ტრენინგები, პროფესიონალი გილების მომზადება, ტურისტული ინფორმაციის გავრცელება და ა.შ.

საქართველოს ტურიზმის ასოციაციის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის პროექტები ხელს უწყობენ ტურიზმის განვითარებას ქვეყანაში.

ამასთანავე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტურიზმის განვითარებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ერთ რომელიმე მიმართულებაზე აქცენტის გადატანა.

საჭიროა ერთობლივი, კომპლექსური მიდგომა, რაც სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

ხაზგასახმელია ის ფაქტი, რომ „ტურიზმი იყო და არის ცხოვრების წესის, ქვეყნის პოლიტიკური წყობის, ეკონომიკური მდგრადირების, კულტურის, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკის სხვა დარგების მიღწვევების პროპაგანდისა და რეალიზების მნიშვნელოვანი საშუალება.

პოლიტიკა თავად იქცა ტურიზმის ობიექტად. მსხვილი საერთაშორისო პოლიტიკური ფორუმებისა და თათბირების მომსახურება ტურისტული ფირმებისთვის მომგებიან საქმიანობას წარმოადგენს. ტურიზმი მაღალხინოსნებისა და პოლიტიკური დიდერებებისთვის გამოიყენება, როგორც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალება“ [1, გვ. 299].

თანამედროვე ეტაპზე ტურისტული ბაზის გლობალიზაცია ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოს, რომელიც ცდილობს დირსეულად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში და სათანადო ადგილი დაიკავოს საერთაშორისო ბაზარზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **მეტრეველი მ., ტურიზმის ბიზნესი (ინდუსტრია, მენეჯმენტი, მარკეტინგი). თბილისი: სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის გამოცემებისა და ტრენინგების ცენტრის გამოცემა, 2011.**
2. **აბასაძე ნინო. ტურისტული ხარჯების შესწავლის პრობლემები საქართველოში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში” (21-22 ოქტომბერი, 2011). თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.**

*Bachiashvili Tamar  
PhD in Economics*

## TOURISM AND THE STATE POLITICS

### Summary

The scientific article discusses the tourism and the state politics.

The article analyzes the interrelationship between the country development politics and tourism development politics and their mutual conditionality.

**მაბისტრანტებისა და ღოძტორანტების სამეცნიერო ნაშრომები**

**ირაკლი მაჯალათია  
თხუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი**

**მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტატისტიკის  
აძლევაში პროგნოზი საბართველოში**

მოსახლეობის შემოსავლები რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ უთანაბროა და განაპირობებს კიდევ სიმდიდრის არათანაბარ დაგროვებასა და მოსახლეობის ქონებრივ დიფერენციაციას, რომელიც მკვეთრად იგრძნობა გარდამავალ პერიოდში. სოციალური დიფერენციაციის პროცესი პრაქტიკულად საზოგადოების ყველა ფენას ეხება და იწვევს მათვე ინტერესების ბალანსის ცვლილებას.

მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების უთანაბრობა სხვა საზოგადოებრივ ფორმაციაშიც არსებობდა, ის გაცილებით უფრო გაღრმავდა საბაზრო კონომიკაზე გარდამავალ პერიოდში და რეფორმის მთელი სიმძიმე მოსახლეობას დააწვა.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პირობებში ხელფასისა და სარგებლის განაწილებას განსაზღვრავდა სახელმწიფო. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი შემოსავალს არავინ არ ანაწილებს, ამ შემთხვევაში შემოსავლები წარმოიქმნება კონკრეტული სამეურნეო მექანიზმის მოქმედების, სარჯებისა და ფასების საბაზრო ცვალებადობის შედეგად.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა მიზანმიმართულია მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად. მან უნდა უზრუნველყოს სოციალური სისტემის სტაბილურობა და მისი ეტაპობრივი გაუმჯობესება, რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილიც არის მოსახლეობის შემოსავლები.

შემოსავლების დიფერენციაციის ეკონომიკურ-სტატისტიკური შესწავლა და მისი ობიექტური ანალიზი დაგვეხმარება დავადგინოთ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგრადი განვითარების განაწილების კანონმიქრებანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის მაჩვენებელია ჯინის კოეფიციენტი, რომელიც ბოლო წლების მანძილზე თითქმის უცვლებლად 50%-ზე მაღალია, რაც საქართველოში ფულადი შემოსავლების არათანაბარ განაწილებაზე მიუთითებს. ფულადი ხარჯების მიხედვით კი მოცემული მაჩვენებელი 40%-ს შეადგენს. 2008 წლამდე, ერთ სულზე გაანგარიშებით, საშუალო თვიური ხარჯები აჭარბებდა საშუალო თვიურ შემოსავლებს, რაც ჩრდილოგანი ეკონომიკის არსებობაზე მიანიშნებდა. მომდევნო 2 წელში სურათი დადგითად შეიცვალა და ბოლო მონაცემებით შემოსავლებმა 19 ლარით გადააჭარბა ხარჯებს (ცხრილი №1).

საქართველოში წლების მიხედვით იზრდება მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები როგორც ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით, ისე ერთ სულ მოსახლეზე. მიუხედავად იმისა, რომ იზრდება მოსახლეობის შემოსავლები, საპირისპიროდ მცირდება მისი მყიდველობითუნარიანობა. ასე მაგალითად: 2010 წელს წლიური ინფლაციის დონე შეადგენდა 11,2%-ს, ხოლო მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა წინა წელთან შედარებით 10%-ით შემცირდა.

**საშუალო თვიური შემოსავლები და ხარჯები ერთ სულზე<sup>35</sup>  
(ლარი)**

ცხრილი №1

წლები მაჩვენებლები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
ფულადი და არაფულადი შემოსავლები, სულ	84.7	92.3	102.7	115.2	147.2	154.5	178.6
ხარჯები, სულ	100.2	101.8	113.5	123.9	150.3	150.7	159.5
ფულადი და არაფულადი შემოსავლები სა და ხარჯებს შორის სხვაობა	-15.5	-9.5	-10.8	-8.7	-3.1	3.8	19.1

მოსახლეობის ცხოვრებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე მეტყველებს საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე გაანგარიშებით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.<sup>36</sup>

ა) დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლების (ერთ სულზე) ხვედრითი წონა მთლიან შემოსავლებში იზრდება წლების მიხედვით და 2004-2010 წლების პერიოდში მისი წილი გაიზარდა 21,0%-დან 31,4%-მდე. რაც შექმნა აბსოლუტურ მაჩვენებლებს, 2004 წელს შეადგენდა 17,8, 2009 წელს – 50,2 ლარს და 2010 წელს გაიზარდა 56,1 ლარამდე. ასეთი ტენდენცია კი დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნისთვის, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში იმყოფება. დადებით მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოცემული მაჩვენებლები ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ ამ ეტაპზე მცირეა დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წონა არა მარტო მთლიან შემოსავლებში, არამედ ფულად შემოსავლებთან მიმართებითაც (2010 წელს შეადგინა 36%). შემოსავლები, მიღებული დაქირავებული შრომიდან, კერც კი უზოლდება საარსებო მინიმუმს. სამომავლოდ სამუშაო ადგილების გაზრდა და შესაბამისად ხელფასების მომატება საწინდარია დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლების ზრდისა როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მნიშვნელობით.

დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლები ქალაქში უფრო მეტია, ვიდრე სოფელში, ხოლო ეს უთანაბრობა იზრდება წლების მიხედვით. მაგ; თუ 2005 წელს დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალი ქალაქში

<sup>35</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=181&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=181&lang=geo)

<sup>36</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=175&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=175&lang=geo)

შეადგენდა 37,1 ლარს, ხოლო სოფელში 10,1-ს, 2010 წელს იგივე მაჩვენებელმა ქალაქში შეადგინა 86,5, ხოლო სოფელში 26,5 ლარი.

ბ) თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების ხედრითი წონა მთლიან შემოსავლებში ყოველ წელს მცირდება და ოუ ის 2004 წელს შეადგენდა 11,5%-ს, 2010 წელს შემცირდა 8,6%-მდე. რაც შეეხება ამავე სახის შემოსავლების აბსოლუტურ მნიშვნელობებს, ის 2004 წელს შეადგენდა 9,7, 2009 წელს – 15, ხოლო 2010 წელს – 15,3 ლარს. ასეთი სურათი განაპირობა მთლიანი ფულადი და არაფულადი შემოსავლების მნიშვნელოვანმა ზრდამ, თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების უმნიშვნელო ზრდის ფონზე. თვითდასაქმებულებს მიეკუთვნებიან თავის ხარჯზე მომუშავე პირები, რომლებიც მუშაობენ დამოუკიდებლად ან კომპანიონთან და არ იყენებენ მუდმივ დაქირავებულ მუშებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ინდივიდუალური მეწარმეობა ვერ ვითარდება იმ დონეზე, რომ მან გარკვეული სახის მატერიალური კეთილდღეობა მოუტანოს მეწარმეს.

გ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები 2004-2009 წლებში მცირდებოდა რომელც აბსოლუტური (9,1 -იდან 7,9 ლარად), ისე შეფარდებითი მნიშვნელობებით (10,7%-დან 5,1%-მდე). მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს შეიმჩნევა მცირე მატება წინა წელთან შედარებით (5,1%-დან გაიზარდა 5,9%-მდე), მაინც არასახარბიელო მდგომარეობას ვიღებთ. მოცემული ტენდენცია იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო, რომელიც ტრადიციულად აგრარულ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება და სასიათდება ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ვერ ახერხებს მის სათანადოდ ათვისებას და გამოყენებას.

თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ერთ სულზე გაანგარიშებით ქალაქში უფრო მეტია, ვიდრე სოფელში, ხოლო საპირისპიროდ სოფლად თვითდასაქმებულოთა რაოდენობა აჭარბებს ქალაქში თვითდასაქმებულებს. საქართველოში 2010 წელს გვაქს შემდეგი სახის სურათი; თვითდასაქმებულოთა ხვედრითი წონა მთლიან დასაქმებულებში სოფელში შეადგენდა 81%-ს, ხოლო ქალაქში – 31%-ს. თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლები მთლიან შემოსავლებში კი სოფელში შეადგენდა 5,1%-ს, ქალაქში – 11,3%-ს. სოფლად, ოჯახში მომუშავე წევრები, რომლებიც თვითდასაქმებულოთა უმრავლესობას წარმოადგენენ, არ არიან რეალურად დასაქმებულები. ეს ნაწილი სამუშაოს უქონლობის გამო იძულებულია ძალიან დაბალი ანაზღაურებით ან სულაც ანაზღაურების გარეშე ეწეოდეს არაკვალიფიციურ შრომას. აღნიშნული განსაკუთრებით შეეხებათ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომლის უმრავლესობასაც ძირითადად სოფლის მეურნეობაში საქმიანობის შესაძლებლობა აქვს. ამდენად, თვითდასაქმებულოთა ეს ნაწილი რეალურად დასაქმებულად არ შეიძლება ჩაითვალოს და ამის გაუთვალისწინებლობა საქართველოში უმუშევრობისა და დასაქმების შესახებ მდგომარეობის შეფასებისა მცდარ სურათს იძლევა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების 90%-ზე მეტი მოდის სოფლად და ეს მონაცემები იმის მაჩვენებელია, რომ სოფლის მოსახლეობა უმთავრესად თავის მიწის ნაკვეთზე მოწეული მოსავლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრობს, მთავარ პრობლემას კი სოფლად ამ სახის შემოსავლების შემცირება წარმოადგენს. 2006-2010 წლებში მისი ხვედრითი წონა მთლიან შემოსავლებში 16,3%-დან 12,5%-მდე შემცირდა.

დ) დადებით ტენდენციას წარმოადგენს პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარებების ხვედრითი წონის ზრდა. 2004 წელს მისი ხვედრითი წონა შეადგენდა 4,9%-ს, ხოლო 2010 წელს გაიზარდა 12,8%-მდე. ეს მონაცემები მთავრობის მიერ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების

ბაზე მიუთითებს, რაც უდავოდ დადგბით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდისათვის პენსიონერთათვის გაანგარიშებული საარსებო მინიმუმი აჭარბებდა პენსიების ფაქტობრივ მაჩვენებელს და შეადგენდა 110 ლარს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა გაატაროს მოქნილი საპენსიო სისტემა იმ პირბით, რომ ის აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს, თავის მხრივ საარსებო მინიმუმის გაანგარიშება უნდა მოხდეს დასაბუთებული ნორმების საფუძველზე.

არაფულადი შემოსავლები სოფელში უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში და ეს ლოგიკურიცაა, ხოლო საპირისპიროდ ქალაქში ფულადი შემოსავლები ჭარბობს, ამასთან ხასიათდება ზრდის ტემპით და ქალაქშა და სოფელს შორის ფულად შემოსავლებში თავს იჩენს მკვეთრი დიფერენციაცია. რაც შეეხება მთლიან ფულად და არაფულად შემოსავლებს, ქალაქში გაცილებით მეტია, ვიდრე სოფელში, ე.ი. ქალაქში შედარებით უკეთესი ცხოვრების პირობებია, ვიდრე სოფელში, რაც ძირითადად გამოწვეულია მსხვილი საწარმოო და საგაჭრო დაწესებულებების ქალაქში თავმოყრით.


არასამომხმარებლო ფულადი ხარჯებიდან აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო ხარჯების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც 2004 წელს შეადგენდა 1,7%-ს, 2005 წელს – 1,9%-ს, 2006 წელს – 1,8%-ს, ტენდენცია არ შეცვლილა არც მომდევნო წლებში და 2010 წელს შეადგინა 1,8%. სასოფლო-სამეურნეო ხარჯებს მთლიან ხარჯებში უჭირავთ მცირე ხვედრითი წონა და ამასთან, არც ზრდის ტენდენცია ახასიათებს, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს სოფლის მეურნეობის განუვითარებლობაზე. გლეხი ვერ ახერხებს გაზარდოს დანახარჯები იმ ტექნიკური და არატექნიკური საშუალებების შეძენაზე, რაც მას დაეხმარებოდა შრომის მწარმოებლურობის მატებაში.

მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხის კრიტერიუმია საოჯახო ბიუჯეტში სასურსათო საქონელზე დახარჯული საშუალებების წილი. ენგელის კანონის თანახმად, რაც უფრო მაღალია ეს წილი, მით უფრო დაბალია მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. ამასთან, თუ შინამეურნეობების შემოსავლების ზრდის კვალობაზე მცირდება სურსათზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონა, დაახლოებით იმავე დონეზე რჩება ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, საოჯახო მოხმარების საქონელზე, საობობსა და ელექტროენერგიაზე დანახარჯების ხვედრითი წონა და იზრდება მომსახურებასა და ფუფუნების საგნების შეძენაზე დანახარჯების ხვედრითი წონა, ცხოვრების დონე უმჯობესდება.

ერთი შეხედვით დადგებით ტენდენციას წარმოადგენს სამომხმარებლო ფულად ხარჯებში სურსათზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონის შემცირება, ამასთან ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მაღალია მისი წილი ფულად ხარჯებში. დინამიკაში კი შემდეგი სახის სურათს ვიღებთ; 2004 წელს შეადგინა 53,6%; 2008 წელს 45,4%; 2009 წელს 41,9%; ხოლო 2010 წელს შემცირდა 41,4%-მდე.

**სამომხმარებლო ფულად ხარჯებში შემავალი ფულადი ხარჯების განაწილება  
ერთ შინამეურნეობაზე (2010 წელი)**

დიაგრამა 1



საქართველოში ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე ვერ ვიმსჯელებთ მხოლოდ სურსათის შეძენაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონის შემცირებით, რადგან ამავე პერიოდში მცირდება ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენაზე გაწეული ხარჯები, ხოლო იმავე დონეზე რჩება საოჯახო მოხმარების საქონელზე გაწეული ხარჯები. სამაგიეროდ იზრდება დანახახარჯების ხვედრითი წონა სათბობსა და ელექტროენერგიაზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე, რასაც განაპირობებს მომსახურების გაზრდილი ფასები და არა მომხმარებელთა მოთხოვნა, საკუთარი სურვილით გაზარდონ ამ მომსახურებათა ხარჯები.

შინამეურნეობებში კვების პროდუქტების შეძენაზე გაწეული ხარჯების აბსოლუტური მნიშვნელობები ყოველ წელს იზრდება მათინ, როცა ამავე შინამეურნეობებში მცირდება ისეთი კვების პროდუქტების მოხმარება, როგორებიცა; პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, კვერცხი, ხილი, ყურძენი, ბოსტნეული და კარტოფილი, შაქარი, თაფლი, შოკოლადი და საკონდიტრო ნაწარმი. კვების პროდუქტების შეძენაზე გაწეული ხარჯების ზრდა კი მიღწეულია თითოეულ ამ პროდუქტების ზრდით.<sup>37</sup> კვების პროდუქტების მოხმარების შემცირებამ თავის მხრივ გამოიწვია მოსახლეობის მიერ საკვები ენერგიის მედიანური მოხმარების (კაალ/დღეში სულზე) შემცირება, რომელიც 2005 წელს შეადგინდა 2390 კაალ/დღეში, ხოლო 2009 წლისათვის შემცირდა 2150 კაალ-მდე დღეში.<sup>38</sup> ზემოთ მოყვანილი მონაცემების განხილვის შემდეგ, უპრიანი იქნება ოუ ვიტევით, რომ სურსათის შეძენაზე გაწეული ხარჯების ხევდრითი წონის შემცირებით მიღებული დადგებითი ტენდენცია მხოლოდ ციფრებში პპოვებს ასახვას, ხოლო რეალური სურათი გაცილებით მძიმეა.

საქართველოში შინამეურნეობათა შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე აჭარბებს საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს, რაც დადგებით მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ ნაკლოვანებებია საარსებო მინიმუმის გაანგარიშებაში, რომელიც რეალურად არ წარმოადგენს სიღარიბის ზღვარს. შესაბამისად, მოსახლეობის შემოსავლების შედარება საარსებო მინიმუმთან ვერ მოგვცემს რეალურ სურათს. 2000 წლის უცვლელი ფასებით, დეფლაციის


<sup>37</sup> იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010, გვ. 20 და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწერი 2010, გვ.50.

<sup>38</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=433&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=433&lang=geo).

გამოყენებით, რაც უდრის 1,8-ს<sup>39</sup>, 2009 წელს შინამეურნეობათა საშუალო თვიური შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შეადგენდა 85,5 ლარს (153,9:1,8), რაც მოცემულ წელს 51,2 დოლარის ექვივალენტია, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 63,3 ლარს (114:1,8), რაც 37,9 დოლარის ტოლფასია. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ბანკის დებულებით დარიბად ითვლება პიროვნება, რომელსაც დღეში შემოსავალი 2 დოლარზე, ხოლო დატაკად – თუ ერთ დოლარზე ხაკლები აქვს, მაშინ საქართველოში ყველა შინამეურნეობა საშუალო შემოსავლების მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით სიდარიბეშია, ხოლო საარსებო მინიმუმით სიდაბაკის ზღვარზე.

განვიხილოთ საარსებო მინიმუმის ცვლილებები წლების მანძილზე (დიაგრამა 2). 1997 წლიდან 2003 წლამდე საარსებო მინიმუმი იზრდება და მაქსიმალურ მნიშვნელობას 2003 წელს აღწევს – 130,7 ლარი. მომდევნო წელს საარსებო მინიმუმი 1,6-ჯერ შემცირდა, რაც გამოწვეული იყო სასურსათო კალათაში შემავალი საკვები პროდუქტების ენერგეტიკული დირებულების შემცირებით, ხოლო სასურსათო კალათის ფულადი დირებულების შემცირებამ განპირობა შრომისუნარიანი ასაგის მამაკაცის საარსებო მინიმუმის დირებულების შემცირება.

**შრომისუნარიანი ასაგის (15-დან 65 წლამდე) მამაკაცის საარსებო  
მინიმუმი<sup>40</sup>  
(ლარი)**



მომდევნო წლიდან საარსებო მინიმუმი კვლავ განაგრძობს მატებას და 2010 წლისათვის უთანაბრდება 7 წლის წინანდელ მაჩვენებელს. 2009 წელს საარსებო მინიმუმმა შეადგინა 128.8 ლარი, რაც დაახლოებით 2003 წლის ნომინალური მაჩვენებლის ტოლია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა 2009 წელს 2000 წელთან შედარებით შემცირდა 43%-ით (1/1.746), ხოლო 2003 წელს 2000 წელთან შედარებით მყიდველობითუნარიანობა<sup>41</sup> შემცირებული იყო მხოლოდ 14%-ით (1/1.166), ადვიდი მისახვედრია, რომ 2003 წლის საარსებო მინიმუმის ორალური დირებულება მეტია 2009 წლის

<sup>39</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდებული – 2010 წელი, გვ.230.

<sup>40</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდებული – 1999 წელი, გვ.73; 2000 წელი, გვ.80; 2002 წელი, გვ. 80; 2004 წელი, გვ.85; 2007 წელი, გვ.69; 2010 წელი, გვ.51.

<sup>41</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდებული, 2010 წელი, გვ. 230.

ანალიზიურ მაჩვენებელზე. აქედან გამომდინარე, ძნელია ამტბიცო, რომ ამ პერიოდში საარსებო მინიმუმის ზრდა დადგებითი მოვლენაა და ის რეალურად ასახავს სიღარიბის ზღვარს.

ტენდენცია არსებითად არ შეცვლილა არც 2010 წელს. საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების საარსებო მინიმუმის შედარება ლარებში გვიჩვენებს, რომ საქართველო სამივე მათგანს ჩამორჩება. ოფიციალური მონაცემებით სომხეთში 2010 წელს სიღარიბის ზღვარმა შეადგინა 160 (33 517 დრამი), რუსეთში – 325 (5 688 რუბლი), ხოლო აზერბაიჯანში – 217 ლარი (98,7 მანათი).

სტატიაში განხილული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობის შემოსავლების განაწილებით, საქართველო განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, სადაც ეკონომიკა ახლა იწყებს განვითარებას, ხოლო სასურსათო ხარჯების დიდი წილი სამომხმარებლო ფულად ხარჯებში, მოსახლეობის არასახარბიერო ცხოვრების დონეზე მიუთითებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბევრი რამ არის დამოკიდებული პიროვნების შემოსავლებზე, რადგან სწორედ შემოსავალი განსაზღვრავს ვინ უნდა იყოს მდიდარი და ვინ დარიბი. მართალია, ბაზრის „უხილავი ხელი“ რესურსებს ეფექტიანად ანაწილებს, მაგრამ ის ვერ იძლევა მიღებული შედეგების სამართლიანობის გარანტიას და ხშირ შემთხვევაში შედეგად ვიღებთ შემოსავლების არათანაბარ განაწილებას, რაც დაბალი ფენის წარმომადგენლებს არ აძლევს გარანტიას მიიღონ იმ მოცულობის შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მათ საშუალო დონეზე ცხოვრების შესაძლებლობას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მაკალათია ი. – სიღარიბე საქართველოში: სტატისტიკა და რეალობა (შედარებითი ანალიზი). ქურნ. ეკონომიკა და ბიზნესი. თბ., 2011 წ.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წლიწლებული. თბ., 2010 წ.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა. თბ., 2010 წ.
4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წლიწლებული. თბ., 2009 წ.
5. სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა, სტატისტიკური ბიულეტენი. თბ., 2010 წ.
6. გაბიძაშვილი ბ. – სიღარიბის პორტფელი საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2006 წ.
7. <http://geostat.ge>
8. [http://www.azstat.org/In\\_20/IN\\_20.shtml](http://www.azstat.org/In_20/IN_20.shtml)
9. <http://gks.ru/wps/wcm/connect/rosstat/rosstatsite.eng/>
10. <http://www.armstat.am/en/?nid=53&id=289>

*Irakli Makalatia  
Doctorant of TSU*

**TOPICAL PROBLEMS OF THE INCOME AND EXPENDITURE STATISTICS IN  
GEORGIA**

**Summary**

In the article „Topical problems of the income and expenditure statistics in Georgia” is considered the income and expenditure reflecting statistical indicators in Georgia.

There are calculated the average monthly incomes per capita by the types, as for the whole country as by urban and rural areas and performed the statistical analysis of the indicators.

There are calculated specific gravity of food expenditures purchase in the cash expenditure on consumption and household food purchasing expenditures.

There have been displayed the changes of the minimum wage by years. Compared living wage of the average consumer to the households income per capita of population estimates and have made appropriate conclusions.

Conducted research in the article, revealed the modern image of the incomes and expenses situations and have made appropriate conclusions.

## მიზანმდებლობასთა დოკუმენტი

### საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია



2011 წლის 21-22 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ჩატარდა ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: “ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში”.

კონფერენცია გახსნა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა,

ემდ, პროფ. რამაზ აბესაძემ.

კონფერენციას მიესალმა თსუ მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ლვედაშვილი.

კონფერენციას ესტრებოდა თსუ მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე თეა წითლანაძე და სხვა უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენლები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მრავალმა მცნიერმა.

საზღვარგარეთიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ, კონფერენციას მიესალმნენ და სამეცნიერო მოსსენებით გამოვიდნენ: რუსლან გრინბეგი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფ., დიმიტრი სოროკინი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფ.; სლავომირ პარტიკე - ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი (პოლონეთი); ლარისა ბელინსკაია - ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი (ლიტვა); გინდრა კასნაუსკიენე - ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი (ლიტვა); გიორგი სიგურა უკრაინის საკრედიტო საბანკო კაფეშირის მრჩეველი.

კონფერენციაში მონაწილეობას დებულობდნენ ასევე ბულგარეთიდან, ჩეხეთიდან, ყაზახეთიდან და სხვა.

პლენარულ სხდომაზე სამეცნიერო მოსსენებით გამოვიდნენ ასევე: გიორგი ბერულავა - ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ.; ალფრედ კურატაშვილი - ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ.; ნოდარ ხადური - თსუ სრული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი; ვახტანგ ბურდული - ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი.

კონფერენციის მუშაობა წარიმართა ასევე შემდეგ სამეცნიერო სექციებში: ეკონომიკური თეორიის (ხელმძღვანელები: ემდ, პროფ. ა. კურატაშვილი და ემდ, პროფ. მ. კვარაცხელია); მაკროეკონომიკის (ხელმძღვანელები: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ნ. არევაძე და ეკონომიკის დოქტორი, თსუ სრული პროფესორი ნ. ხადური); ფინანსების, საერთაშორისო ეკონომიკის (ხელმძღვანელები: ემპ, თსუ ასოცირებული პროფესორი ი. ნათელაური და ეკონომიკის აკადემიური დოქტორი თ. ლაზარაშვილი); ბიზნესის პრობლემების (ხელმძღვანელები: ემდ, პროფ. გ. ბერულავა და ეკონომიკის აკადემიური დოქტორი გ.

კატელია) და სექტორული ეკონომიკის (ხელმძღვანელები: პროფ. თ. ჩხეიძე და ემდ. პროფ. გახტანგ ბურდული).

კონფერენციის მუშაობის შეჯამებისას, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ გამოითქვა აზრი, რომ კონფერენცია ჩატარდა მაღალ მეცნიერულ დონეზე, მასზე წარმოჩენილ იქნა არაერთი მეცნიერული სიახლე, წინადადება და რეკომენდაცია.

კონფერენციის დღეებში ასევე გაიმართა კულტურული დონისძიებები.

### საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში



2012 წლის 10 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე მოისმინეს თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ. სხდომა გახსნა და შეიაფდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს მდივანს აკადემიკოს როინ მეტრეველს. სხდომას ესწრებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ თვევზაძე.

მოხსენება თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ გააკეთა ამავე ინსტიტუტის დირექტორმა ემდ პროფესორმა რამაზ აბესაძემ, რომელმაც ასევე პასუხი გასცა სხდომაზე დასმულ სხვადასხვა კითხვას.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ლეო ჩიქაგა და ვლადიმერ პაპავა, სოფლის მეურნეობის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ეკონომიკური კომისიის წევრი თსუ-ს სრული პროფესორი ელგუჯა მექაბიშვილი.

2011 წელს ინსტიტუტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ დასკვნა წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ავთანდილ სილაგაძემ.

სხდომა შეაჯამა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, რომელმაც ინსტიტუტის მიერ გაწეულ მუშაობას მაღალი შეფასება მისცა.



## ხსოვნა



88 წლის ასაკში გარდაიცვალა თსუ პაატა გუბაზ-შვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ვლადიმერის ძე პაპავა.

პროფესორი გიორგი პაპავა დაიბადა 1923 წელს სამტრედიაში ინტელიგენციის ოჯახში. პაპავების ეკონომიკის თაობის მისმა მამამ ცნობილმა მეცნიერმა, ეკონომიკისტ-სტატისტიკოსმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ვლადიმერ თადევოზის ძე პაპავამ.

სკოლის დამთავრებისთანავე იგი გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. მის პერიოდში მან საკუთარ თავზე გამოსცადა ტყვეობაში ყოფნისა და თვით გესტაპოს ციხის ჯურდმულების სიმწარე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი წყებს ფართო და ნაყოფიერ პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობას. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში აასუსტაგებ თანამდებობებზე.

1961 წელს იგი წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1972 წელს სადოქტორო დისერტაციას ეკონომიკურ მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად, რის შემდეგაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა სამეცნიერო თანამდებობებზე. წლების განმავლობაში იყო განვითარებულ ეკონომიკის გამგებელი თანამდებობებზე.

პროფესორი გიორგი პაპავა არის 150-მდე გამოკვეუნებული ნაშრომის ავტორი (მათ შორის, 20-ხე მეტი მონოგრაფიის) მისი მეცნიერული კვლევის სფერო მოიცავს სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკას, ორგანიზაციას, მართვის თეორიას და ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიას. მანშექმნა ეკონომიკის ახალი მიმართულება, რომელიც ქმნის საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებელთა სისიტემის მარკეტინგული მართვის საფუძვლებს. მან შექმნა მეცნიერული შემეცნების სისტემური მეთოდოლოგია „პერიოდანტულ-გენეტიკური მიღებობის“ სახით. მანვე შექმნა ეკონომიკურ მახასიათებელთა მულტიპლიკაციური მთლიანობითი სისტემა და ამით მიაღწია მენეჯმენტის ორგანიზებულობის გაზომვას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი 2009 წელს შვედეთში გამოცემული ერთ-ერთი ბოლო მონოგრაფია – „Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы“ რომელმაც აკადემიკოს პაატა გუბაზ-შვილის სამეცნიერო პრემია დაიმსახურა. 1987 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს პრემია მიენიჭა ასევე შვილთან, პროფესორ ვლადიმერ პაპავასთან, ერთად გამოცემულ წიგნს – „სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა“.

პროფესორი გიორგი პაპავა სამეცნიერო მოღვაწეობას უხამებდა წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას. მრავალი წლის განმავლობაში იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. სტუდენტი ახალაგაზრდობის აღზრდის საქმეში და ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს დირსების ორდენით.

შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის, საუკეთესო მოქალაქის, პიროვნებისა და კოლეგის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, მოწაფეებისა და ახლობლების გულში.

## 06 ვარგაცია

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული ღონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი აგლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის დირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **economics\_institute@yahoo.com, nbibilashvili@rambler.ru**

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცოდნებისათვის დაბვიპავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

### ააატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამოცემლობა

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე  
**შედავათიან ფასებში**

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

**გამოიცემა:**

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი უფრნალები

**მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14  
293 22 60; 551 10 07 04.**

**ელ-ფოსტა: economics\_institute@yahoo.com**

#### **შურნალ „ეკონომისტი“ სტატიების ყარაოდგენის ფასები**

1. შურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერგალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. შურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღიდან ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ აასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის დირექტულება 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და შურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცენებებისათვის დაბვიპაზშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

#### **GEL**

<b>მიმღები</b>	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>მიმღების ბანკი</b>	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE  
JOURNAL “ECONOMISTI”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be send to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font -AcadNusx, English text font-Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the autor for revision the date of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

**USD**

<b>BENEFICIARY</b>	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>BENEFICIARY BANK</b>	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
<b>INTERMEDIARY BANK</b>	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

**ქარნალი “ეკონომისტი”**

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

**Journal “Economisti”**

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

თუმცა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

**რედაქტორი ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato abesadze**